ნ. ბერძენიშვილი

# გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი
1966

9 (С 41)
9 (47.922)
ბ 571

ნაშრომში მოცემულია „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ძეგლებში ხმარებული გზის აღმნიშვნელ ტერმინთა ახსნა და კლასიფიკაცია; წყაროების (ნარატიული, დოკუმენტური, ლიტერატურული და ფოლკლორული) ჩვენებათა შესწავლის საფუძველზე განსაზღვრულია ფეოდალური საქართველოს მთავარ მაგისტრალურ და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა მიმართულებანი; დადგენილია სხვადასხვა ეპოქაში გზათა ცვალებადობა; შესწავლილია ცალკეულ გზათა პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის.

წინამდებარე ნაშრომი ნ. ბერძენიშვილს შეუსრულებია 1937 წელს. ავტორს იგი მოხსენებად წაუკითხავს ენიმკი-ს ისტორიის განყოფილების სხდომაზე იმავე წელს. მას განზრახული ჰქონდა ამ ნაშრომის გამოქვეყნება მცირე შესწორებებით.

ნარკვევი ძირითადად ქართლის გზებს ეხება. ავტორი გზების მიმოხილვას იწყებს ქართლიდან, რადგანაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „XII საუკუნეში ქართლი გეოგრაფიულის გვერდით საქართველოს პოლიტიკური ცენტრიც იყო. იგივე იყო ცენტრალური ხელისუფლების უმთავრესი ადგილსამყოფელიც" (იხ. აქვე, გვ. 17).

ავტორს აგრეთვე მიზნად ჰქონდა ამგვარადვე შეესწავლა საქართველოს სხვა მხარეების გზები, გზათა მშენებლობის ტექნიკა, გზის საზომები, საგზაო დასასვენებელი ადგილები და სხვა, რასაც მოწმობს ამ საკითხების შესახებ ის უამრავი ამონაწერი, მოსაზრებანი და შავი მასალა, რომელიც განსვენებული აკადემიკოსის არქივში აღმოჩნდა რამდენიმე საქაღალდის სახით. სამწუხაროდ, ამ განზრახვის შესრულება მას სიცოცხლეში არ დასცალდა.

აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივის დამმუშავებელი კომისიის დადგენილებით გადაწყდა ამ ნაშრომის გამოქვეყნება.

წყაროებისა და ლიტერატურის დამოწმების ავტორისეული წესი ტექსტში დატოვებულია უცვლელად. მეტწილად ეს დამოწმებანი ავტორს მოცემული აქვს შემოკლებით, რის ახსნასაც ვიძლევით ნაშრომის ბოლოს.

ნაშრომში სათანადო ადგილებში ჩავრთეთ ნ. ბერძენიშვილის შრომის საფუძველზე ჩვენ მიერ შედგენილი ფეოდალური საქართველოს ძირითად გზათა მიახლოებითი სქემები.

ავტორი გზების შესწავლას განაგრძობდა 1937 წლის შემდეგაც. იგი უკვე გაკეთებულს ავსებდა ახალი დაკვირვებით და მდიდარი საექსპედიციო მასალებითაც. 1950 წლის 10 ნოემბერს ნ. ბერძენიშვილს ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების სხდომაზე წაუკითხავს ერთი თავი ნაშრომისა „გზები ძველ საქართველოში" — სათაურით „კარნი". განსვენებულის არქივში აღმოჩნდა ამონაწერი ამ სხდომის ოქმიდან. აგრეთვე საილუსტრაციო მასალა, ამოწერილი სხვადასხვა წყაროდან ტერმინი „კარის" და კარით ნაწარმოებ გეოგრაფიული სახელთა შესახებ. თვითონ ტექსტი, დაწერილი ამ საკითხზე, მის პირად არქივში არ აღმოჩნდა.

ავტორის არქივში დაცული თემატური მასალიდან რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, ნაშრომს დაერთო ტექსტის ბოლოს დამატებად, ხოლო ზოგი ისეთი დამატებითი ცნობა, რაც ძირითად ტექსტში გამოთქმულ მოსაზრებას ავსებს, ძირითადი ტექსტის შესაფერისი ადგილების სქოლიოებში ჩავიტანეთ და ვარსკვლავით აღვნიშნეთ.

მ. ბერძნიშვილი
დ. მეგრელაძე

XII საუკუნის კულტურულ სამყაროში სავაჭრო-სამიმოსვლო გზათა სურათს თვით რუსთაველის თხზულება იძლევა. მაგრამ, თუ „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფია მაინც და მაინც კონკრეტული არ არის და, მაშ, ასეთივეა აქ მოხსენებული გზებიც,—სრულიად რეალურ-ისტორიულია რუსთაველის თანამედროვის ქართველი პოეტის ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ი ს კულტურული მსოფლიო, რომელიც „მოვლის“ „გაჭრილმა“ პოეტმა. საქართველოდან წასულმა მან „მოვლის“ ერანი, აქედან „წავიდის შორად“ და ინდოეთს დაიდო საზღვარი. შემდეგ „ამოვლის“ ინდოეთი, ჩინეთი, გადასჭრა ხატაეთი და გარდავიდა ხაზარეთს (ყივჩაყეთს). ხაზარეთიდან ის რუსეთს გავიდა (იგულისხმება კიევის რუსეთი). „რუსეთსაც ჩაჰყვის“ და (ზღვით) კოსტანტინეპოლს მივიდა. აქედან — „მაღრიბს“ დაყო „ჟამნი მრავალნი“, „მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი, სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი“, ამანიც, ე. ი. იემენი მოიარა დ ბაღდადზე გამოვლით („მობაღდადენი“) „ბარდავს მოვიდეს“, საიდანაც „მახარებელი“ ასწრაფა საქართველოსაკენ.

ასეთი „მსოფლიო მოგზაურები“ ამ ეპოქაში იშვიათი არ ყოფილა. მაღრიბიდან ინდოეთს მოქარავნე ვაჭრები, მექისა თუ იერუსალემის მომლოცველი პილიგრიმები, მოკარდაკარე პოეტები, პოლიტიკური ბედის მაძიებელი უფლისწულები, გმირობისა და სახელის მოტრფიალე „გაჭრილი“ რაინდები... საამისოდ ბევრის ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, რომ ეს ჩვენს ამოცანას შეადგენდეს.

მაგრამ თუ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მიმოსვლის გზები ისტორიულ-კონკრეტული არაა, სამაგიეროდ ამ გზების დახასიათება ავტორის მიერ რეალისტურია და ისტორიულად სანდო.

პოემის ცხენოსანი რაინდები, კუბოთი მოგზაური მანდილოსნები, აქლემებით მობაღდადე ქარავნები, ხომალდებით „მცორავი“ ვაჭრები, ნავებით მომზირალი მეკობრეები, მთა და გორის მოძგრაგნელი ლაშქარი თუ ქვეითი მგზავრები სთელავენ და იცნობენ გზას „ხმელისას“ თუ „ზღვისას“, „გრძელს“ და „შორს“ ან მოკლეს, „ზღვის პირისას“ და „მინდვრისას“, „ველისას“ თუ „მთისას“, „საწყინოს“ თუ „საჭიროს“, „მშვიდობისას“ თუ „საომარს“, „ვიწროს და კლდოვანს“, „შეკაფულს“ თუ „შეკრულს“, „გვირაბით“ თუ

„ხვრელით“ შესულს... მაგრამ ყოველი ქვეყანა „გზეთი“ როდია. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მოიპოვება „უცხონი რამე არენი“, რომელნიც „უდაბურნი და უგზონი“ არიან. პოემაში „გზა და ხიდი“ პედნიერების გზით წარმატების სიმბოლოა. ამიტომაც მოყვრისათვის „გზად და ხიდად“ სამსახური „იდეალური“ მოყვრობაა, ხოლო უკიდურეს უბედურებას, სასოწარკვეთას ტარიელი ასმათს ასე გამოუხატავს: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს“...

XII საუკუნის საქართველო მართლაც რომ „გზეთი“ იყო და რუსთაველს გზათა ეს სახეები უმთავრესად საქართველოს სინამდვილიდან აქვს აღებული.

მიუხედავად ამისა, გზათა შესახები ცნობები ამდროინდელ წერილობით ძეგლებში ერთობ მცირეა: ამდროინდელი მეგზურები არ შენახულა, ხოლო არასპეციალური ლიტერატურა არა თუ გზათა მიმართულების ჩვენებით და მათი დახასიათებით, არამედ მათი ზოგადი მოხსენებითაც კი იშვიათად იწუხებს თავს. მკვლევარი ამის გამო იძულებულია საკითხის შესასწავლად სხვადასხვა ხერხს მიმართოს. ისტორიულ-გეოგრაფიულ თუ ტოპოგრაფიულ მოსაზრებათა, ადგილთ სახელწოდებათა, მატერიალური ნაშთებისა და სხვა ასეთი „წყაროების“ საშუალებით აღვადგენთ იმ გზათა მიმართულებას, რომელთა არსებობასაც გულისხმობენ XI—XII საუკუნეთა წერილობითი ძეგლები.

მთელი საქართველო ღრმა ხევებად დაყოფილი ტერიტორიაა. ერთი ხევი მეორისაგან ბუნებრივად მოწყვეტილია და მათი შემაერთი საგანგებოდ გადატანილი გზა შეიძლება იყოს მხოლოდ... ხევთა მეტი თუ ნაკლები რაოდენობა ქმნის ქვეყანას, რომელიც მეორე ქვეყნისაგან ასეთივე ბუნებრივი საზღვრებითაა შემოფარგლული. მთლიანი საქართველო რამოდენიმე ასეთ ქვეყანათა კომპლექსს წარმოადგენს. ამიტომ საქართველოში გზანი „უდაბურნი და უგზონი“ იშვიათად შეიძლებოდა ყოფილიყო: ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას არ იძლეოდნენ. აქ ხევების და ქვეყნების მთლიან საქართველოდ გაერთიანება მათ შორის სამიმოსვლო გზების სათანადო განვითარებულობას გულისხმობს, მას ემყარება...

ამავე დროს იგივე ბუნებრივი პირობები ზღვარს უდებენ გზათა მიმართულებებს. საუკუნეთა მანძილზე ეს გზები ერთხელ გატანილ მიმართულებებს ინარჩუნებენ...

ასეთ ბუნებრივ არეში, საქართველოს ხანგრძლივ ისტორიულ წარსულში, მის საშინაო და საგარეო პირობათა ცვლილებების შედეგად იცვლებოდა გზები: ყრუვდებოდა ოდესმე ცხოველი, ძველად გატანილი მაგისტრალები, ჩნდებოდა ახალი გზები ან კიდევ

კვლავ გამოცოცხლდებოდნენ ოდესმე დაყრუებულ-გაუქმებულნი...

XII საუკუნის საქართველოს გზათა მთავარი მაგისტრალები უკვე IX—X საუკუნეში მოიხაზა.

დიდი ხანია დაყრუვდა ინდოეთ-რომის სავაჭრო გზა „ალექსანდრობიდან“, ე. ი. ელინისტური ეპოქის დამდეგიდანვე რომ გადიოდა კოლხეთ-იბერიაზე...

მონათმფლობელური რომის კრიზისი, რევოლუცია, რომის (და მთელი დასავლეთის) პოლიტიკური დაუფლება „ბარბაროსთა“ მიერ, არაბთა გამოსვლა მსოფლიო ასპარეზზე, ერანის პოლიტიკური განადგურება არაბთა მიერ, ბიზანტიის გამოსვლა ხანგრძლივი შინაური კრიზისიდან და მისი პოლიტიკური გაძლიერება, ხაზართა ძლიერი სამფლობელოს ჩამოყალიბება იმიერკავკასიაში, — ყველა ესენი ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო მაგისტრალების კარდინალურ ცვლილებას იწვევენ.

სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის ცხოველი კულტურული ურთიერთობის ხიდებად იქცნენ „კარნი კავკასიანთანი“, რომელთა „შებმა“-ჩაკეტვას ალევდნენ ოდესმე ძალღონეს იბერთა თუ ლაზთა მეფენი, ერანის შაჰები თუ რომ-ბიზანტიის დინასტები. ჩრდილო კავკასია დამშვიდდა, „დიდი გადასახლების“ ტალღები მიწყდა, მოხდა მოსახლეობის კონსოლიდაცია, „ჰონთა“ თუ სხვა „ბუნთურქთა“ შემოჭრის შედეგად დაზარალებული იაფეტიდები (ანუ ლეონტის თქმით, „კავკასიანნი“) კომპაქტური მოსახლეობის სახით უმთავრესად ჩრდილო-კავკასიის ზეგნებს შერჩნენ (აქაც კი მათ ოვსები შემოეჭრათ...). იმიერკავკასიის ბარი კი აჭრელდა: იაფეტიდებს აქ გვერდში ამოუსხდნენ თურქული თუ ინდო-ევროპული მოდგმის სხვადასხვა ხალხები...

პოლიტიკური მფლობელობა ხელთ იგდეს ხაზარებმა, რომელთაც საუკუნეთა სიგრძეზე სამხრეთის „არაბულ“ სამყაროსთან ხანგრძლივი მკაცრი ომების შემდეგ კულტურული, მშვიდობიანი ურთიერთობა გააჩაღეს.

დარუბანდის, დარიალის თუ სხვა „კარნი კავკასიანთანი“, „ლეკეთისა“, „თაკვერისა“, „დვალეთისა“ თუ „დასავლეთის“ გზები სამხრეთის ქვეყანათა კულტურული გავლენის საშუალებები ხდებიან შედარებით ჩამორჩენილ ჩრდილოეთში... მაგრამ „ხაზარეთიდან“ არა მარტო ბეწვეული, თაფლი, ცვილი და ტყავები შემოაქვთ და ჩრდილოურს არა მარტო მონებსა და როქის სპას იცნობენ სამხრეთში, სხვა არა იყოს რა, ჩვენ დრომდის შემონახულ კულტურულ მცენარეთა „ხაზარულობა“ საკმაო და უტყუარი მოწმობაა ჩრდილოეთის მხრით საპასუხო კულტურული გავლენისა, მისი სამხრეთ-

თან კულტურული თანამშრომლობისა (საამისო წერილობითი ჩვენებანიც შეიძლებოდა მოყვანილიყო...).

გატანილ იქნა (ვინ იცის, ოდესმე არსებული „ბაბილოვნის" გზა აღდგა) უდიდესი მნიშვნელობის სამიმოსვლო გზა ბაღდადისაკენ, საითკენაც არა მხოლოდ ახლობელი აღმოსავლეთის ნაამაგარი მიედინებოდა ხარკის სახით და საიდანაც არა მხოლოდ მრისხანე მმართველები და დამსჯელი ექსპედიციები მოევლინებოდნენ დაპყრობილ ქვეყნებს... ბაღდადი ჩქარა გახდა საშუალო საუკუნეთა კულტურისა და დოვლათის სინონიმი და „მობაღდადე" ქარავნები—ამ კულტურულ მიღწევათა მშვიდობიანი გამავრცელებელნი... XII საუკუნისათვის ბაღდადში, ხალიფას კარზედ, კარგა ხანია აღარ წყდებოდა ახლობელ აღმოსავლეთის პოლიტიკური ბედი. ამავე დროს მან XIII საუკუნის 60-იან წლებამდის სავსებით შეინარჩუნა ეკონომიური და კულტურული პირველობა „არაბულ მსოფლიოში". აყვავდნენ ბარდავი და დარუბანდი, ახლად იშვა განძა (844 წ.), გაძლიერდა შამქორი, გაიზარდა თბილისი, გამოცოცხლდა დმანისი (854 წ.), გაიხსნა და გამოცოცხლდა დიდის ხნით დაყრუებული სავაჭრო გზები ბიზანტიისაკენ. ცხოველ ნაკადულებად შემოიჭრენ ისინი ამ მხრით ხელოვნურად ჩაკეტილ საქართველოში და თან მოჰქონდათ არა მარტო ბიზანტიის შენამოქმედი (მრავალგვარი ძვირფასი ქსოვილები, საეკლესიო და სამღვდელმსახურო ნივთები, წიგნის მატერიალური მასალა, საღებავები... ბერძნული სწავლა-მეცნიერება), არამედ დას. ევროპის (ჩრდ. იტალიის ქალაქების) ნაწარმოებიც, იარაღი, ქსოვილები (და ეს უმთავრესად ე. წ. „ჯვაროსნულ ლაშქრობის" დროიდან). გამოცოცხლდა ქანცმილეული ან უკვე ვერანად ქცეული დაბები, ქალაქები (არტაანი, არტანუჯი...), იშვა „ახალქალაქები" (ახალქალაქი, ახალციხე...), ასევე გამოცოცხლდა და ზრდამატების გზით სწრაფად წინ წავიდა მეზობელი სომხეთის ქალაქები (არზნი, კარი, ანისი...), ძველს საზღვისპირო ქალაქებს ახლებიც შემოემატა (ხოფათი, ბათომი...).

გამრავლდა და კიდევ უფრო გაცხოველდა აღმოსავლეთის გზები. „მობაღდადე" ქარავნებს „მობალხენი" ეჯიბრებიან. მრავლად შემოდის შორეულ ინდოეთის, კულტურული შუა აზიისა და ერანის ნაწარმოებნი: ქსოვილები, ოქროქსოვილები, ოქროს ზოდები, ფოლადი, იარაღ-საჭურველი, ძვირფასი ქვები და სხვა სამკაულები. ნელსაცხებელი, ტკბილეული, ძვირფასი ჭურჭელი და სხვ...

ბაღდადი, მარანდი, ბუხარა, ქაშანი, იეზდი, ალაბი, ბადაშხანი, გილანი, ყაშმირი, ხვარეზმი, ბასორა, სალმასი, მისრი, მერდინი, თავრეჟი და სხვა მრავალი ქალაქ-ქვეყნების სახელები ამ ადგილებიდან შემოსულ ნაწარმოებთა სინონიმებად იქცნენ ან კიდევ ასეთ

ნაწარმოებთა დამზადების წესის შემცველი ცნებები წარმოშვეს...

მაგრამ აღმოსავლეთის ამ გზებით ლაშქარსა თუ ქარავნებს მარტო ომი და სავაჭრო საქონელი როდი შემოჰქონდათ. მათ თან მოჰქონდათ აღმოსავლეთის სულიერი კულტურის უმაღლესი მიღწევებიც: მსოფლმხედველობა, მეცნიერება, პოეზია, — ეს ერთად ერთი უფასო, მაგრამ ფასდაუდებელი მისართმევი უცხო ხალხთათვის...

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო თავის ისტორიულ წარსულში არასოდეს ისეთ ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოში არ მოქცეულა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა X—XII საუკუნეებში, არასოდეს ის ასეთს ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობაში არ ყოფილა ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან, როგორც ეს იყო X—XII საუკუნეებში... ამ დროინდელი საქართველო კულტურულ მსოფლიო ცენტრში იყო მოქცეული. გასაგებია, რომ ის ოთხივე მხრივ გზებით დაიქსელა...

მაგრამ ამ გზების გატანის მთავარი სტიმული მაინც ქვეყნის შინაგანი განვითარება იყო.

როგორც ცნობილია, საქართველო X საუკუნის დასასრულისათვის ერთ ფეოდალურ მონარქიად იქცა—(აქ მცირე გამონაკლისს ჩვენი თეზისისათვის მნიშვნელობა არა აქვს). თითქმის ორი საუკუნის სიგრძეზე წარმოებდა „ბრძოლა გაერთიანებისათვის", ე. ი. მიმდინარეობდა ისტორიული მოვლენა, პროცესი, რომლის მომწიფება საქართველოს ცალკეულ კუთხეთა ერთ ფეოდალურ ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებას გულისხმობდა. რა თქმა უნდა, ეს იყო პროცესი ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ე. ი. ისტორიული (საამისო ცნობა-მაგალითების მოტანა საქართველოს ამ საუკუნეთა ისტორიის მოთხრობა იქნებოდა...).

მაგრამ IX—X საუკუნეთა ისტორიულ მოვლენებში ამაზე მეტიც იგულისხმებოდა. ერთობ ცხოველი ჩანდა ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობა, ურთიერთით პოლიტიკური დაინტერესებულობა... ასე რომ, რომელ სამთავროსაც (სულ ერთია, ის სომხური იქნებოდა თუ ქართული) პოლიტიკური ბედი გაუღიმებდა და თავის მეტოქეებს გაიერთიანებდა, ის უმალ აუცილებლად შეეცდებოდა მეზობელ ქვეყნების შემოერთებასაც... ამრიგად, ამიერკავკასიის შემცველი XII საუკუნის საქართველო უკვე X საუკუნის ეკონომიურსა და პოლიტიკურს მოვლენებში იყო ნაგულისხმევი... ლეონტი მროველის ხალხთა მონათესავეობის თეორია ასეთ დროს მრავალმეტყველ და დიდმნიშვნელოვან იდეოლოგიურ ფაქტორად შეიძლებოდა გამომდგარიყო...

„გაერთიანების ხანის“ საქართველოს ცალკეული ნაწილები თანაბარი სისწრაფით და ინტენსივობით არ ვითარდებიან. სხვებს თითქო წინ დასავლეთ საქართველო („აფხაზეთი“) უსწრებს. მან ყველაზე ნაკლებ განიცადა არაბთა პოლიტიკური ბატონობის სიმძიმე. IX საუკუნიდან ის ფაქტიურად გათავისუფლდა ბიზანტიის ყმობიდანაც და დამოუკიდებელ პოლიტიკის სარბიელზე გამოვიდა.

მეორე ქართული ერთეული ძირითადად ბერძენთა საყმოს წარმოადგენდა. ეს იყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა „სახლი“. გავერანებულსა და ნაწილობრივ დენაციონალიზებულ პროვინციებში შექმნილი „ბაგრატიონთა სახლი“ მეტად ხელსაყრელ პოლიტიკურ-გეოგრაფიულს პირობებში მოექცა IX—X საუკუნეებისათვის. ის გზასაყარზედ აღმოჩნდა ბიზანტია—სომხეთ—ქართლსა და „აფხაზეთს“ შორის.

ქართლიდან კოლონიზაციის, ადგილობრივთა რენაციონალიზაციისა (ტაო, ბასიანი) და ასიმილაციის (ნიგალი, ეგრი...) პროცესების შედეგად X საუკუნისათვის ეს ქვეყანა უკვე ქართული იყო. ამავე დროს ის სწრაფად დაწინაურდა ეკონომიურად. ასე რომ X საუკუნის დასასრულისათვის ქართულ-პოლიტიკურ ერთეულებს შორის ის პირველობას სამართლიანად ექიშპებოდა „აფხაზეთსა“ თუ კახეთს.

კახეთმაც რთული სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პროცესი გაიარა. ჯერ კახეთ-კუხეთი გაერთიანდა; X საუკუნის დასასრულისათვის კი უკვე სავსებით შემზადდა პირობები ჰერეთ-კახეთის შეერთებისათვის. ეს მოძმე ჰერულ მოსახლეობის ასიმილაციის აღიარებას ნიშნავდა. წარმოიშვა „რანთა და კახთა“ სამეფო „აფხაზეთისა“ და ტაო-კლარჯეთის მეტოქე „საქართველოს გაერთიანების“ საქმეში...

იყვნენ სხვა უფრო მცირე ერთეულებიც... და მცხეთის საკათალიკოზო ეკლესია. უკანასკნელი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღნიშნულ ფეოდალურ პროცესში...

ქართულ ამ პოლიტიკურ ერთეულებს შორის უკვე IX საუკუნიდანვე იწყება ბრძოლა „ქართლსა ზედა“. თითოეული მათგანი მთელის ძალ-ღონით ცდილობს ხელში ჩაიგდოს საქართველოს (და ამიერკავკასიის) ეს „ცენტრი“ და შემდეგ ყველა თავის მოქიშპეებს პოლიტიკური ანგარიში გაუსწოროს. რა თქმა უნდა, საუკუნეების მანძილზე ასეთი პოლიტიკური ურთიერთობა საამისო ეკონომიურ საფუძვლებს, საამისო ეკონომიურ ურთიერთობას გულისხმობს. IX—X საუკუნეთა ქართული, სომხური, ბერძნული და არაბული წყაროები საკმაო მასალას იძლევიან იმისათვის, რომ სრულის საფუძვლიანობით ვამტკიცოთ ეკონომიური ურთიერთობის სიცხოველ-

ლე, როგორც ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს, ისე მთელს ამიერკავკასიის ქვეყნებს შორისაც.

X საუკუნეში უკვე გვაქვს შემკრებლობითი ცნება „საქართველო", რაც საუკეთესო მოწმობაა იმისა, თუ ეკონომიურისა და პოლიტიკური პროცესის გვერდით როგორ იქმნებოდა სათანადო იდეოლოგია... შემკრებლობით შინაარსის ასეთსავე ცნებას გულისხმობს და თავისი დროისათვის მის სრულიად საკმაო იდეოლოგიურ დასაფუძვლებას იძლევა X საუკუნისავე საეკლესიო მოღვაწე და მაღალნიჭიერი მწერალი გიორგი მერჩულე. მან ქართული ენის კულტურული გავრცელებულობა გამოაცხადა „ქართლის" საზომად.

ამავე ეპოქაში ჩამოყალიბდნენ მეზობელ სომხეთის პოლიტიკური ერთეულები: ანისის, ყარსის და სხვა სამეფოები...

ქართულმა მზარდმა ფეოდალურმა საზოგადოებამ, ასაკისდა შესაფერისად, ადვილად გადალახა არაბთა პოლიტიკური ბატონობის სიმძიმე. შემფერხებელ ძალთაგან განთავისუფლებული ის სწრაფის განვითარებით წავიდა წინ და XII საუკუნის დასასრულისათვის მოწიფულობას მიაღწია.

ისტორიკოსი ვახუშტი (XVIII ს.) თავის ისტორიულ გეოგრაფიაში ოთხმოცდაათამდე ქალაქს უჩვენებს საქართველოში. ამ რიცხვის ასზედ გადაჭარბება ადვილად შეიძლებოდა... რა თქმა უნდა, ეს ქალაქები ვახუშტის დროს ყველა ცოცხალი და მომქმედი როდია*. მრავალი მათგანი, ზოგი ადრე, ზოგი უფრო გვიან, გამქრალია. ჩვენ დღეს გვაქვს საშუალება ყველა ეს ფეოდალური (თუ წინაფეოდალური) ხანის ქალაქი მათი ასაკისდა მიხედვით დავალაგოთ და ჩვენ მივიღებთ, რომ არც ერთ დროს ფეოდალურს (თუ წინაფეოდალურს) საქართველოში გარკვეული ხანის მონაკვეთზე იმდენი ქალაქი არ წარმოშობილა, რამდენიც წარმოიშვა IX—XII საუკუნეთა მანძილზე. მეორეს მხრით, არც ერთ დროს მეცხრამეტე საუკუნემდელ საქართველოში იმდენი მომქმედი, ე. ი. ცოცხალი ქალაქი არ ყოფილა, როგორც ეს იყო XII საუკუნის დასასრულისათვის. ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ერთ ფეოდალურ მონარქიად გაერთიანება, მისი ეკონომიურისა და სოციალ-კულტურული ზრდა-განვითარების შედეგად რომ მოხდა,

---

*ფრიად საყურადღებო ფაქტია: ნაგვიანევ ხანაში საქართველოში ფეოდალებს ქალაქები არ აქვთ: გორი, ცხინვალი, ალი, თელავი, თბილისი სამეფო ქალაქებია...

საგულისხმოა რომ როსტომმა ახალქალაქი სამეფო ქალაქადააშენა. ის შემდეგ თარხნიანთ მიისაკუთრეს. ზოვრეთიც ციციაანთ შერჩათ, ახალგორი—ქსნის ერისთავთ, დუშეთი—არაგვის ერისთავთ, დმანისი—ორბელთ.

მაგრამ ყველა ესენი „მცირე ქალაქებია".

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სამიმოსვლო გზების სათანადო გან-ვითარებულობის გარეშე. ქალაქთა ეს სიმრავლეც ამის ყველაზედ უკეთესი თვალსაჩინო მოწმობაა. აღნიშნული ქალაქები ზოგი „დი-დი“ იყო და „კარგი“, ზოგი „მცირე“, ზოგი „მოზღუდვილი“ იყო და „მაგარი“, ზოგი კიდევ „უზღუდო“... უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით საყურადღებოა. ქალაქი ამ დროს ეწოდებოდა არა მაინცდამაინც ზღუდე შემოვლებულს და შიდა ციხით დაცულ მო-სახლეობას, არამედ უპირველეს ყოვლისა ისეთ სავაჭრო-სახელოს-ნო პუნქტს, რომელსაც განსხვავებით სოფლისაგან „ქალაქის გან-წყობილება“ და „მართველობა“ ჰქონდა. „ქალაქში“ ზღუდის მო-მენტი ამ დროისათვის უკვე დიდი ხანია არაარსებითად იყო ქცე-ული... ქალაქის არსებითი ნიშანი ეხლა მისი მოსახლეობის საქმია-ნობისა და ორგანიზაციის (ვაჭრობა-ხელოსნობა, ქალაქის განწყო-ბილება-მართველობა) განსხვავებულობაში იყო. აი, ეს „დიდი“ თუ „მცირე“ ქალაქები დაკავშირებული იყვნენ საგანგებო გზებით გა-რეშემო სანახებთან, რომელთა საალებ-მიცემო მოთხოვნილებას ისინი აკმაყოფილებდნენ,—უახლოეს თუ უშორეს ქვეყნებთან, მათ ცენტრებთან...

ურთიერთობა საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის მას შემდეგ კიდევ უფრო უნდა გაცხოველებულიყო, რაც დიდი ისტო-რიული პროცესი—საქართველოს ერთ ფეოდალურ მონარქიად გა-დაქცევა—წარმატებით დამთავრდა.

და ეს ასეც მოხდა. ჩვენ მოგვეპოვება არა მარტო იმის ცნობე-ბი, რომ XII საუკუნეში, გაერთიანებულ საქართველოს კუთხეებს შორის, მის ქალაქებს შორის დიდი ქარავნები მიმოდიან, ან კიდევ ეკლესია-მონასტრების მოღვაწენი სერავენ კუთხიდან კუთხემდის საქართველოს ზედაპირს თავიანთ სამეურნეო თუ „სასულიერო“ საქმეებზე მიმომავალნი. ჩვენ არა მხოლოდ ის ვიცით, რომ მოყ-მეები მიმოიქცევიან სასახლიდან სასახლეში, „კარიდან“ „კარზედ“, არამედ ვიცით ისიც, რომ საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში, კიდიდან კიდეში, მთიდან ბარში, სოფლიდან სოფელში, დადიან მე-ვენახენი, კალატოზები და სხვა „მისდური“-მუშაკები, რომელთაც „უცხოებასა მუშაკობაჲ“ აქვთ ერთად ერთ „ნუგეშინის საცემლად“, „რათა მოირეწონ დასარჩენელი“ თავიანთ „სახლეულთა“.

ასეთი განვითარებული ურთიერთობის გვერდით სამიმოსვლო გზებით უზრუნველყოფას არანაკლებ მოითხოვდა ცენტრალურ ხე-ლისუფლების ორგანიზაციაც ისეთ „ვრცელს ქვეყანაში“, როგორიც იყო გაერთიანებული ფეოდალური საქართველო (ასეთი წარმოდ-გენისანი იყვნენ თავიანთ ქვეყნის სიდიდეზე მაშინდელი საქართვე-ლოს პოლიტიკური მესაჭენი) პოლიტიკურ ცენტრისათვის აუცი-

ლებელი იყო რათა შეუფერხებელი და ჩქარი მიმოქცევის საშუალება არსებულიყო თემიდან თემში, თუ თემებიდან ცენტრში, რათა „დარბაზის კარით“ „წარვლენილ მოხელეთ“, მალემსრბოლთ თუ მეფის ლაშქარს საჭირო სისწრაფით შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობანი, რათა ცენტრალურ ხელისუფლებას შეძლებოდა უზრუნველეყო „ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი“.

მოკლედ: სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური და ეკონომიური პირობები გაერთიანებულ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დღის წესრიგში უსვამდნენ გზების მშენებლობის საკითხს.

და ჩვენ მოგვეპოვება წერილობითი ცნობები, რომ სამეფო ხელისუფლება XII საუკუნეში ეწევა გზათა სათანადო მშენებლობას. დავით აღმაშენებელმაო, — მოგვითხრობს მისი მემატიანე, — „რაოდენნი ხიდნი (გასდვნა) მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი საწყინოდ სავალნი ქუაფენილ ყუნა“. მაგრამ არანაკლებ დამაჯერებლად მოწმობენ გზათა მშენებლობას, აღნიშნულ საუკუნეებში, უცხოურ წერილობით წყაროების გვერდით ჩვენ დრომდის მოღწეული სათანადო მატერიალური ხასიათის ნაშთები: ხიდები, ქარვასლა-ფუნდუკები, „გაჭრილები“, კლდე-კარები...

არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ საგზაო სადგურები (არაბ. „მანძილები“) თავისი მოწყობილობით (სადგომით, მომსახურეობით, ცხენებით) დიდის ხნით ადრე იყო ჩვენში მონღოლთა მიერ სახელგანთქმულ „იამების“ შემოღებამდის. მონღოლთა „დამსახურება“ აქ მხოლოდ ისა ჩანს, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობის ბუნებრივი ზრდის შედეგად წარმოშობილი ეს ქართული სადგურები მონღოლთა მფლობელობის დამყარების შემდეგ და მათ ხელში („იამებად“ ქცეულნი) გზის ახლო მოსახლეობის ეკონომიური განადგურების მიზეზი შეიქმნენ, რასაც შედეგად მოჰყვა გზისპირა მოსახლეობის აყრა-გაქცევა და დიდი სავაჭრო გზა-შარების გაუდაბურება... ჩვენ, რასაკვირველია, ამით იმის თქმა სრულიადაც არ გვსურს, თითქო ძველი ქართული საგზაო სადგურების მომსახურება ახლო მოსახლეობას არ აწვა კისრად, პირიქით, რამდენადაც ნაგვიანევი ხასიათის წერილობითი ცნობები მოწმობენ, გზების თუ მგზავრთა შენახვა-მომსახურება გზისპირა მოსახლეობის ვალდებულებას შეადგენდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საგზაო მოვალეობა მონღოლებამდის ჯერ კიდევ არ იყო ისეთი აუტანელი სიმძიმისა, როგორც ის მონღოლთა ბატონობის პირობებში შეიქმნა.

XII საუკუნის საქართველოს გზების მიმართულებათა დასადგენად ჩვენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგანგებო წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება. ამისდა მიუხედავად ჩვენ ამ გზების ზოგად მიმართულებათა დადგენის საშუალება გვაქვს. იმ დროინდელს წერილობით ძეგლებში უხვი ცნობები მოიპოვება ცალკეულ პირთა თუ ლაშქართა მიმოსვლის შესახებ. ასეთ ცნობებში ჩვეულებრივ ნაჩვენებია მოქმედების დასაწყისი და დასასრული პუნქტები. იშვიათ შემთხვევაში მათ შორისი რომელიმე პუნქტიც. ასეთს ჩვენებებზე დაყრდნობით, ჩვენ სხვადასხვა ხერხებით ვცდილობთ დაახლოებითი მარშრუტების დადგენას. საგანგებო ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობის არარსებობის გამო ჩვენ იძულებული ვართ აწინდელ გზათა აღწერილობებს მივმართოთ. ასეთ ნაშრომს შეუძლია ძვირფასი სამსახური გაუწიოს მკვლევარს, მით უფრო თუ შემსრულებელს ოდნავ მაინც ისტორიისა სცხია რაიმე და აწინდელი მარშრუტების აღწერისას სრულიად უყურადღებოდ არ სტოვებს ძველი გზების ნაშთებს (სამწუხაროდ, იშვიათ გამონაკლისს გარდა, ამ „მარშრუტთა“ შემდგენელი სამხედრო პირები ისტორიით ასეთი დაავადებისაგან შორს არიან: იმპერიალისტური მეფის რუსეთის სამხედრო მოხელეებს სანაქებოდ არ ჩაეთვლებოდათ ადგილობრივ ხალხთა ისტორიით მეცნიერული დაინტერესებულობა...).

ძველი გზების მიმართულებათა დასადგენად უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ეს უკვე აღვნიშნეთ, დღევანდლამდის შემონახულს მატერიალურ ძეგლებს, მათ ნაშთებს: ქალაქები, ციხეები, დიდი ტაძრები, სასახლე-ნასასახლევები, ქარვასლები, ხიდები, კარები, კლდე-კარები, გაჭრილები... გზათა მიმართულების არა-ნაკლები მაჩვენებელი არიან ადგილთა სხვადასხვა სახელწოდებანი: „ხიდი“-საგან ნაწარმოები სახელები („ხიდის თავი“, „ნახიდური“, „ოხერხიდა“, „ტინისხიდი“, „ხიდისკარი“, „გატეხილი ხიდი“...), „ყელი“, „ჩასავალი“, „კარი“, „ზეკარი“, „კლდეკარი“, „შიდაკარი“, „საყარაულო“, „საბაჟო“, „ნებოძირი“, „მისაქციელი“. ყველა ამისდა მიუხედავად, ისტორიული გზების დადგენა საჭირო ზედმიწევნილობით მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება შესრულდეს, რაც ჩვენ გვექნება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული მეცნიერული აღწერილობა. ვახუშტ ბატონიშვილის მიერ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში წამოწყებულს ასეთს სამუშაოს დღევანდლამდისაც კი ღირსეული გამგრძობი არ აღმოჩენია. ვახუშტის გამოწვევა საბჭოთა საქართველოს ისტორიულმა მეცნიერებამ უნდა მიიღოს და ამ დარგის მუშაკები დიდს, მაგრამ მარტოხელა მეცნიერს კოლექტიური შრომით უნდა შეეჭიბრონ... ასეთს პირობებში ჩვენ მიერ სახელდახელოდ დამუშავებული ეს თემა, რა თქმა უნდა, მსხვილი შეც-

ლომებისაგან—მცირეს რომ თავი დავანებოთ––დაზღვეული ვე' რ იქნება.

* * *

XII საუკუნის საქართველო ფრიად ვრცელი ქვეყანა იყო. მისი პოლიტიკური საზღვრები ამიერკავკასიის გეოგრაფიულ ფარგლებს სცილდებოდა ყოველის მხრით—აღმოსავლეთით, სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით თუ ჩრდილოეთით. ასე რომ კავკასიონის კარები თუ ზეკარები, შარვანისა, რანისა თუ სომხეთის გზები რუსთაველის დროინდელი საქართველოს შიდა გზები იყო.

მიუხედავად ამისა, მაშინდელი საქართველოს ჩვენ მიერი მიმოხილვა თანაბარი არ იქნება. საკუთრივ საქართველოს გზებს ჩვენ უფრო ზედმიწევნით განვიხილავთ. დანარჩენ ქვეყნებისას კი მხოლოდ მთავარ გზა-შარებს ვუჩვენებთ. ამას გვაიძულებს ამოცანის სპეციფიკური პირობები.

გზათა მიმოხილვას ჩვენ საგარეო მარშრუტების შესწავლით განზრახ არ დავიწყებთ, მიუხედავად ასეთი შესწავლის ტექნიკური მოხერხებულობისა, რათა უნებურად ხელი არ შევუწყოთ იმ მცდარ შეხედულების განმტკიცებას, თითქო ჩვენი ქვეყნის განვითარება-წინსვლისა თუ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ამ სატრანზიტო გზების მოქმედება ან დახუთვა ყოფილიყოს.

მიმოხილვას ჩვენ ქართლიდან დავიწყებთ. სხვა რომ არა იყოს რა, ამ წესს ის გამართლება აქვს, რომ XII საუკუნეში ქართლი გეოგრაფიულის გვერდით საქართველოს პოლიტიკური ცენტრიც იყო. იგივე იყო ცენტრალურ ხელისუფლების უმთავრესი ადგილსამყოფელიც.

მაგრამ „ქართლი“ შედარებით აწინდელთან ვრცელ ქვეყანას ერქვა. მასში დღევანდელ ქართლს გარდა, რომელსაც იმ დროს „შიდა ქართლი“ ეწოდებოდა, შედიოდა „ზემო ქართლი“, ე. ი. მდინარე მტკვრის აუზის ზემო ნაწილი, და „ქვემო ქართლი“—ალგეთ-ქცია-დებედას აუზი.

ჩვენ „შიდა ქართლით“ დავიწყებთ.

ქართლის გზათა გამოსავალ პუნქტად ჩვენ თბილისს ავიღებთ. ჩვენი ეს წესი, რა თქმა უნდა, იმას არ გულისხმობს, თითქო თბილისი ამ დროს ის ადგილი იყო, სადაც თავს იყრიდა საქართველოს ყველა გზა: ფეოდალური ქვეყნის „ცენტრი“ ასეთი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობისაგან ერთობ შორს იყო. მაგრამ თბილისის მნიშვნელობა საქართველოს სხვა პუნქტებთან შედარებით მაინც უპირატესი იყო.

ფეოდალურ საქართველოს გზები, ეკონომიურის თვალსაზრისით, არა რომელიმე ქალაქიდან გამოდის, არამედ სასოფლო-სამეურნეო რაიონიდან. ქალაქს ფეოდალურს ხანაში საერთოდ და კერძოდ ჩვენში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ისეთი სამეურნეო მნიშვნელობა მოპოვებული, რომ ის ოლქის ეკონომიურ ცენტრად მიგვეღო. ასეთი ცენტრი არ არსებობდა. ის სოფლებში იყო განთესილი... ამიტომ გზების შესწავლისას უფრო სამართლიანი იქნებოდა მთელი საქართველო ასეთ სამეურნეო რაიონებად წარმოგვედგინა. მაგრამ თუ ასე არ მოვიქეცით, ეს იმის შიშით, რომ ქალაქთა ეკონომიური მნიშვნელობის უნებური მიჩქმალვა არ მოგვსვლოდა. ქალაქები, მართალია, იმ მნიშვნელობისა არ იყო, რომ „ყველა გზას იქ მოეყარათ თავი", მაგრამ თითოეულ სოფელთან შედარებით ერთობ უპირატესი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. ხოლო ეკონომიური განვითარების ტენდენცია ხომ იქით იყო მიმართული, რომ ეს ქალაქები ნამდვილ ეკონომიურ ცენტრებად ქცეულიყო. ამიტომ საქართველოს ასეთ სამეურნეო ერთეულებად (უქალაქებოდ) წარმოდგენა რეალური მდგომარეობის ხელოვნური გამარტივება შეიძლება გამოსულიყო...

თბილისიდან დასავლეთისაკენ გზები მიდიოდა როგორც მტკვრის მარჯვენა, ისე მარცხენა ნაპირით. პირველი ეს იყო **გზა თბილისიდან გორამდის.** მის მიმართულებას კარგად არკვევს პუნქტები: დიღმის კარი, დიღმის ველი, ნაქულბაქევი, დევის ნამუხლი—„კლდე გაპრილი გზად", მუხათგვერდი, არმაზი თავის საბაჟოთი, ძეგვი თავის ქარვასლით, კავთისხევი სამეფო სასახლით, ქალაქი ახალქალაქი, დოესის მინდორი და სოფელი ხიდისთავი, რომელმაც ეს სახელი, უნდა ვიფიქროთ აქ მდინარე მტკვარზე ქალაქ გორს გასასვლელი ხიდისაგან მიიღო*.

* ტფილისიდან რომ გზა მტკვრის მარცხენა ნაპირით იყო (ისევე როგორც მის მარჯვენა ნაპირით) ამის არა ერთი მოწმობა მოიპოვება. ევსტათე მცხეთიდან ტფილისს წაიყვანეს „და ვითარ წიაღ ხდეს **ველად** და მიიწნიეს წინაშე ჯუარისა მცხეთისასა, აღიპყრნა ხელნი წმიდამან ევსტათი და თქუა: (ილოცა). საბინინი, ევსტათეს მარტვილობა, 316.

მცხეთის ჯვარი ამ დროს კიდევ **ველად** იყო. ე. ი. აქ ნაშენობა ჯერ კიდევ არ იყო.

მაგრამ აქ საინტერესოა სხვა გარემოება: მცხეთიდან თბილისისკენ გზა მცხეთის ჯვარს როგორ გაუვლიდა? თუ აქ ეს ჯვარი იგულისხმება, ჩვენ რომ ვიცით, მაშინ უნდა დაუშვათ რომ გზა მცხეთიდან არაგვზე ხიდით მიდიოდა (შეიძლება ამის მოწმობა იყოს სოფელი ჯაჭვი, რომელიც სადღაც არაგვის მარცხენა მხარეზეა ნაგულისხმევი. შეიძლება ამ სოფლის სახელიც ამ ხიდთან იყოს დაკავშირებული?...) ეს გზა მაშინ აგრეა წარმოსადგენი: მცხეთა არაგვი, ჯაჭვი, ჯვარი და აქედან ავჭალისაკენ.


ნაჭარმაგევი
გორი
ხიდისთავი
მუხრანი
დოესის მინდორი
ახალქალაქი
კავთისხევი
ძეგვი
მცხეთა
არმაზი
მუხათგვერდი
ნაქულბაქევი
თბილისი

აღნიშნული მარშრუტის შესახები ისტორიული ცნობებია:

XI საუკუნის 30-იან წლებში „ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას ძემან... მუხადგუერდს გამოიტყუეს თბილელი ამირა ჯაფარ და შეიპყრეს“ (ქცა, 258).

XI საუკუნის 40-იან წლებში მეფე ბაგრატ დასავლეთ საქართველოდან „მოვიდა ქართლს და მოვიდეს სხუანი მქმობელნი ბერნი ტფილელნი. წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი ცხენოსანნი დიდმისა ველსა და ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული უმედეულსა... შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი“ (ქცა, მატ. ქ-ა, 261). 1433 წლის საბუთით, მეფე ალექსანდრე I მცხეთის ეკლესიას შესწირავს არმაზის ციხეს გლეხებით და აქაურ ბაჟს: „ასე რომე ქარავანი შედმა მივიდოდეს და თუ ჩამოღმა მოვიდოდეს და სითცა მოვიდოდეს, ტვირთსა ზედან ორსა თანგას აიღებდით“ (ქრონ. II, 239).

ამ გზას გულისხმობს ეპიზოდიც XVI საუკუნის 20-იანი წლიდან: გურიელის მიერ მოხისს ძლეული ქართლის მეფე დავითი ტბილისს მოვიდა. ლაშქარი შეიყარა და ნიჩბისს ა[illegible]და, საიდანაც ის მუხრანს მდგომ გურიელზე აპირებდა ლაშქრობას (საქ. ცხ. გამ. ზაქ. ჭ., 21). 1561 წელს ქართლის მეფე სიმონ და კახი ბატონიშვილი გიორგი ციხედიდს შეიყარნენ თბილისზედ გასალაშქრებლად. ქალაქი ამ დროს ყიზილბაშთ ეჭირათ. „ამისი მცნობელი შავერდი სულტანი (განჯისა) წარმოემართა სპითა“ და მეფისკენ მიიწევდა. „ხოლო დარაჯნი მეფისანი გერმანოზიშვილი ფარეშით და სხვითა მისიანითა იდგნენ დევის ნამუხლარსა ზედა, არამედ ღამესა მას აღდგომისასა ავიდნენ მუხთაგვერდს, რათა ისმინონ დღესასწაული და ყოფასა მათსა მუნ შემოვლეს ყიზილბაშთა და დაესხნენ უეცრად მეფესა სვიმონს“ (საქ. ცხ. გამ. ზაქ. ჭ., 39).

1609 წელს ყირიმელი თათრები შემოიჭრნენ ქართლში. ნიაბის ბოლოზე, სხერტის ჭალაში მათ ომი აჭკიდეს ქართველებმა გიორგი სააკაძის მოთაველობით. თათრები აჰყვნენ გზას. დოესის მინდორში მიმავალნი ისინი დაინახა გორიდან მომავალმა ტერტერამ. „მსწრაფლ უკუნ იქცა და აჰყარა ხიდი გორისა“ (საქ. ცხ. გამ. ზაქ. ჭ., 55). ჩანს ხიდი ხისა ყოფილა.

XVII საუკუნის 40-იან წლებში ქართლის ფეოდალთა ერთი ჯგუფი როსტომ მეფის წინააღმდეგ გამოვიდა. შეთქმულთა პაემანის თანახმად ნოდარ ციციშვილი „მოვიდა სპითა დოესს და მოელოდა“. როსტომ მეფემ ტფილელები გაიწვია. საღამოს გავიდა, მცხეთის საბაჟოსთან „აღლუმი ნახა“, ე. ი. ჯარი გასინჯა. შუა ღამეს მეფე ჯარით უკვე კავთისხევს იყო, სადაც მას

მოურავის შვილი იორამ შემოეყარა. აქედან წასული გათენებისას მეფე **ხოვლეთის ბოლოს** მივიდა. აქ მეფეს ნოდარის მოკეთენი, ჩხეიძენი შემოებნენ. მეფეს გაემარჯვა. ამის შემდეგ როსტომ **გორს** გავიდა (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ., 303).

ამავე გზის პუნქტები მოიხსენიება ვახტანგ VI სამეფო დასტურლამალის მბ (42) თავში: „გზების შენახვისათვის“: „უნდა შეინახონ... მუხათგვერდელთ, ნაქულბაქეველთ და დიღმელთ ვიწროები, მუხათგვერდის გზა (ოუ აქ სამხრეთიდან მთით გადმოსასვლელებზე არ არის საუბარი)... დოველთ და ქუაკრელთ—ჴიდი“ (ცნობა გორის ხიდს შეეხება).

დასასრულ, ავავე გზას შეეხება 1666 წლის ცნობა ქვითკირის ჴიდის“ შესახებ დიღომში. უეჭველია, ეს დიღმის წყალზედ გადებული ხიდია (ისტ. საბ. IV, 45).

შიდა ქართლს მტკვრის მარცხენა ნაპირით XII საუკუნეში ნაჭარმაგევ მუხრანის გზა ჩამოუდიოდა.

ნაჭარმაგევი XII საუკუნეში საქართველოს მეფეთა განთქმული სასახლე-სადგომი იყო. „საზამთრო“ სადგომ-სასახლე იყო მუხრანიც, მეფე დიმიტრის მიერ აღშენებული. გზის მიმართულებას ამ ორ პუნქტს შორის კარგად დაადგენს ჩვენს დრომდის შემონახული გეოგრაფიული ტერმინი „საბაჟო“. „იგოეთის პირდაპირ—წერს პ. კარბელაშვილი—ერთის ვერსტის მანძილზე არის ღვთისმშობლის ძველი საყდარი და გარშემო ნანგრევნი. ამ ადგილს ვერ ასცდებოდა უწინ თბილისიდან ქართლისაკენ წამსვლელ-მომსვლელი. მცხეთიდან მუხრანზედ მიდიოდა ძველი სავაჭრო გზა. ამიტომ უძველეს დროითგან აქ იყო გამართული „საბაჟო“ და ამილახორის მოხელენი იღებდნენ ბაჟს. დღესაც მთელი რეხის ხეობა „საბაჟოს“ უწოდებს ამ ადგილს“ (საქ. სიძ. III დამატ., 13). მუხრანიდან „ღართისკარით“ ეს გზა მცხეთას მიდიოდა და მცხეთის ხიდს გასული მტკვრის მარჯვენა ნაპირის გზას უერთდებოდა.

მუხრანიდანვე გზა ქსნის პირით მტკვარზე მიდიოდა, სადაც კოწახურას ფონზე გასვლით (ნიჩბისის წყლის შესართავთან) იმავე მარჯვენა მხრის გზას უერთდებოდა. ამ ფონისა და შტოს მნიშვნელობას, სხვა არა იყოს რა, მათივე მოდარაჯე „მტკვრის ციხე“ მოწმობს (აგებული XVI საუკუნის ათიან წლებში).

დასახელებული პუნქტები ერთობ მეტყველი სახელებია და საისტორიო წყაროებში არა ერთგზის მოხსენებული.

მცხეთის ხიდის შესახებ უძველესი ცნობა რომაელთა პირველი შემოსვლის ხანისა მოგვეპოვება. რომის სარდალ პომპეუსსა და იბერიის მეფე არტაგს შორის ომის დროს, უკანასკნელს, თავდაცვის

მიზნით, მცხეთის ხიდი დაუწვავს (ჩანს, ხიდი ხის ყოფილა). შემდეგ მასვე აუშენებია ის (Латышев, 1, 612).

შემდეგი ცნობა დაცული აქვს ქართლის მოქცევის ავტორს. ამბავი შეეხება IV საუკუნეს ქ. შ. ურბნელები მცხეთას მოვიდნენ. „მიიწიეს ქალაქსა და დაისადგურეს მათ წიაღ მოგუთასა ჴიდსა ზედა" (ქცა, ლ., 69). სად იყო ეს ხიდი უფრო ნიშანდობლივ ჩანს იმავე ავტორის მეორე ცნობიდან. ელიოზ ურიის სახლი „იყო დასავლეთ მოგუთასა ჴიდსა ზედა" (ქცა, ლ., 82). მაშ ეს „მოგუთა" და „ჴიდი მოგუთისა" ყოფილა ქალაქის დასავლით. შემდეგ ამ ხიდის მშენებლობა ვახტანგ გორგასალს მიეწერება. ერანთან ომის სამზადისში „ვახტანგ განაფართა ჴიდი მოგუთისა ვიდრე სამეოც მჴარ ქცევისათვის მას ზედა სპათასა" (ქცა, ჯ., 159). ეს ცნობა ზღაპრული ჩანს. ზეპირგადმოცემა, შეიძლება ხალხური ლექსის სახით, უნდა ვიფიქროთ, ჰქონდა ჯუანშერს წყაროდ...

მცხეთის ხიდი, XI საუკუნეში, მეფე ბაგრატ III-ის კახეთს ლაშქარობასთან დაკავშირებით იხსენიება. ტაოდან „აფხაზთა და ქართველთა" მეფე თრიალეთზე გამოვლით მცხეთას მოვიდა. „განვლო ჴიდი მცხეთისა, მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი, დადგა თიანეთს და იწყო შემუსრა კახეთისა" (ქცა, მატ. ქ-ა, 242).

მცხეთის ხიდს იხსენიებს იოსებ ტფილელიც თავის „დიდმოურავიანში". ნოსტედან ლტოლვილი გიორგი სააკაძე მცხეთის ხიდს მოადგა. ხიდზე მცველები იდგნენ: მოურავის შეპყრობა ჰქონდათ ნაბრძანები. გიორგი შებმას აპირებდა. მხლებელთ არ ურჩიეს. მათი საუბრიდან ჩანს თითქო, რომ მცხეთის ხიდი ამ დროსაც ხისა ყოფილა („მათ მითხრეს, თუ ზოგთა დახოც, ზოგთ გარდგიგდონ ფიცარია"...).

ვახტანგის „დასტურლამალი" მცხეთის ხიდის შენახვას ზუმბულიძეებს ავალებს.

1742 წელს მცხეთის ხიდი ჩავარდნილი ყოფილა. „ქალაქიდამ ღამე გაიპარა გივი ამილახორი. რა მივიდა მცხეთას ამილახორი, ჩამოეგება არაგვის ერისთავი ბეჟან ჯარით. ხიდი მცხეთისა ჩავარდნილიყო და ნავტიკები მზათ დაახვედრა". გავიდნენ (საქ. ცხ. პაპუნა ორბ., 63).

„ლ ა რ თ ი ს კ ა რ ი". იყო თუ არა აქ ოდესმე ხელოვნური კარი ჩვენ არ ვიცით (საფიქრებელია კი: მცხეთის ჩასაკეტი კარი ჩრდილოეთის მხრით, ამას გულისხმობს ლეონტი მროველის წყაროც—იხ. ქცა, ლ., 40), მაგრამ რომ ეს სახელწოდება აქ გზას, გასავალს უჩვენებს, ეს ცხადია.

XI საუკუნის 65-ან წლებში „ლართის იწრო" სწორედ გზად იხსენიება. ბაგრატ მეფის ლაშქარმა „წილკნის გვერდს" დაამარცხა

განძის ამირა ფადლონ. „და მოადგა ფადლონის ლაშქარი გაქცეულთ ხრამსა ნარეკუავისასა“. აქედან ჯარი წავიდა „იწროსა ღართისასა“. აქაც „შემოესწრეს წინა“ მეფის მოლაშქრენი და „მცირედი ვინმე გაესწრნეს“ (ქცა, მატ. ქ-ა, 272—273).

მარაბდის ომის (1624 წ.) შემდეგ გიორგი სააკაძემ სასტიკი პარტიზანული ომი გააჩაღა ერანელთ წინააღმდეგ. „გამოვიდა ღ ა რ თ ი ს კ ა რ ს მოურავი, შ თ ა ხ ე რ გ ა გ ზ ე ბ ი, ამაგრებდა ზემოქართლს“ (საქ. ცხ. ზაქ. პ. გამ., 64).

XVIII საუკუნეში ღართისკარი მოთარეშე ლეკთა საბუდარი შეიქნა. ის ფაქტიურად ჩაკეტილი იყო. ერეკლეს ღონისძიებათა შედეგად ღართისკარის გაწმენდა ლეკთაგან და ამ გზის გახსნა შესაძლებელი გახდა.

ღართის კარს მისვლამდის, მცხეთიდან გამოსავალს ამ გზას სდარაჯობს ბელტის (ბებრის-ბელტის) ციხე...

ნაჭარმაგევ-მუხრანის გზის რაიონში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდა ქალაქი უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე, რომელიც X—XI საუკუნეში განსაკუთრებული მნიშვნელობისა ხდება: ის ამ დროს ქართლის პოლიტიკური ცენტრია. (თბილისი ჯერ კიდევ არაბ ამირას ხელშია და თავისი ოლქით ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს). უფლისციხე აღნიშნული გზის პირას არაა. ის ამ გზის სამხრეთითაა მტკვრის მარცხენა კლდოვან ნაპირზე. ამ ქალაქთან არც ხიდი ჩანს მტკვარზე. როგორც დიდ ლიახვის ჴალიდან, ისე აღმოსავლეთიდანაც უფლისციხეზე საგანგებო მისასვლელი გზები უნდა ყოფილიყო. ამას გულისხმობს უფლისციხის შესახები არა ერთი ცნობა.

სოფ. ნადარბაზევიდან უფლისციხეზე მიმავალი გზა ერთს „კლდეკარს“ გაივლის. უფლისციხეს ეს „კლდეკარი“ ერთის კილომეტრით თუ შორავს... გაჭრილი კლდე ორი მეტრი განის, ას მეტრამდის სიგრძით. სიღრმე ზოგგან 5—6 მეტრს აღემატება... ამისი გაკეთებისა ადგილობრივთ არაფერი ახსოვთ. ყველაფერი მოწმობს, რომ ეს „კლდეკარი“ იმ დროის საქმეა, როცა უფლისციხე დიდმნიშვნელოვანი პუნქტი იყო...

ქალაქ გორის ჩრდილოეთით, ნაჭარმაგევის ახლოს, მდინარე ლიახვის პირზედ იყო რ ე ხ ი. VI საუკუნეში აქ „ქალაქი“ ჩანს. ის ერანის მარზპანის სადგომია (საქ. სამ., 215).

რეხის მდებარეობას მთავარ გზაზე გულისხმობს მატიანე ქართლისაჲ: არაბთა სარდალი მოჰამედ ხალილისძე „მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა და მისცა მას ქართლი. გამოვიდა საჰაკ ამირა ტფილელი ლაშქრითა და დადგა რ ე ჴ ს, ხოლო მუჰამედ და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე. და

მოვიდეს კახნი გარდამანელნი მუელად საჰაკისსა. შეიბნეს რეკს და იბრძოლეს. და იყო ბრძოლა ძლიერი მათ შორის. არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი. ვიდრემდის გაიყარნეს. და აიყარა მოჰამედ და წარვიდა ბარდავად“ (ქცა, მატ. ქ-ა, 220).

„ადგილი რეხი“ მდინარე ლიახვის პირზე მოხსენებული აქვს ლეონტი მროველსაც II—III საუკუნის ქართლის ამბების მოთხრობისას. აქ ის გარკვევით ლიხთიქითიდან და სამცხიდან მომავალ გზაზედ ათავსებს მას.

...„ხოლო სომეხნი და ბერძენნი და მეგრელნი შთავიდეს შიდა ქართლს და მუნ მიეგებნეს ქართუელნი და სპარსნი მდინარეს ზედა, რომელსა ჰქვიან ლიახუი და მუნ იქმნა ბრძოლა მათ შორის ადგილსა, რომელსა ეწოდების რეჯი“ (ქცა, ლ., 40) ლეონტის რეხი, როგორც აქედან საფიქრებელია, ქალაქად არ წარმოუდგენია.

აქ აღწერილი გზით დადიოდნენ ლიხთიქიდან კახეთს. და ეს განსაკუთრებით მანამდის, სანამ თიანეთს ჯერ კიდევ არ დაეკარგა კახეთის „ცენტრის“ მნიშვნელობა და სანამ თბილისი თავისი ოლქით ცალკე პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა.

X საუკუნეში, როცა აფხაზეთი და კახეთი იბრძვიან „ქართლსა ზედა“, აფხაზთ მეფენი გიორგი, ლეონი ამ გზით ლაშქრავენ კახეთს ან კიდევ მის სანაპიროებს (ქცა. მატ. ქართლისა, 231, 233, 234) და პირუკუ, კახეთის ქორიკოზები ამავ გზით მოდიან უფლისციხეზედ (იქვე, 238).

კახეთ-მუხრან-ნაჭარმაგევის გზას გულისხმობს შემდეგი ეპიზოდი XI საუკუნის ათიანი წლებიდან. ბაგრატ III-მ „წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს“. კახთა ქორიკოზმა ეს არ ინება და ბაგრატს შემოუთვალა: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენს შორის დამჯერებელ მკლავი და ჰომი. ხოლო მე წ ი ნ ა მ ო გ ე გ ე ბ ო ქ ს ა ნ ს ა ზ ე დ ა“. ბაგრატ მეფე ამ დროს ღლივს (ჯავახეთს) იყო. მან „აწვია სპათა აფხაზეთისათა და ქართლისათა და თვით წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ხიდი მცხეთისა და მოერთნეს თანა ა ფ ხ ა ზ ნ ი და ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი, დადგა თიანეთს და იწყო შემუსრა კახეთისა“ (ქცა, მატ. ქ-ა, 242).

ცხადია, კახთა ქორიკოზი ქსანზე წინ მიგებებას არაგვ—მუხრანის გავლით აპირებს. აგრეთვე „აფხაზნი და ქართველნი“ ბაგრატს „მოერთნეს“ მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა „გავლო ხიდი მცხეთისა“. აშკარაა: ბაგრატის დამხმარე ჯარს ნაჭარმაგევ—მუხრანის გზა გამოუვლია.

XVII საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები. იმერთა მეფე ალექსანდრე ლტოლვილი გორს მოვიდა. „ერეკლე მეფე დიდის დიდებით

მორთვითა და საქართველოს ჯარით მ უ ხ რ ა ნ ი ს გ ზ ი თ გორს წაბრძანდა მეფის ალექსანდრეს სანახავად და მეფე ალექსანდრე თავისის ჯარით ყ ვ ა ვ ი ს ს ა ყ დ რ ა მ დ ი ს ი ნ წინ მიეგება". ამრიგად, მუხრანის გზა გორისაკენ ყვავის საყდარს გაივლიდა (საქ. ცხ. ფარსადან გორგიჯანიძე, 352).

ლიხთიქითიდან კახეთში მისასვლელი ეს ყველაზედ მოკლე გზა მას შემდეგაც არ ყრუვდება, რაც კახეთის პოლიტიკური ცენტრი დიდიხანია მეტად დაშორდა თიანეთს და თელავსა და შემდეგ ზაგემსა და გრემში გადაინაცვლა. ამ გზით წავიდა ფერსათ—სამცხით შემოსული გურიელი 1520 წელს, რომელმაც დაამარცხა მ ო ხ ი ს ს ქართლის მეფე დავით და მ უ ხ რ ა ნ ს შეეყარა სტუმრის შესახვედრად წამოსულ კახთა მეფე ლევანს (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ., 29). ამავე გზით მოვიდა იმერეთიდან 1615 წელს კახეთს შაჰ-აბასისაგან ლტოლვილი თეიმურაზი. იმერთა ლაშქარმა ის ა რ ა გ ვ ი ს პ ი რ ა მ დ ი ს მიაცილა.

გორი და მისი რაიონი შიდა ქართლის ბუნებრივი ცენტრია. XI საუკუნეში აქვე იყო შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრიც—უფლისციხე. გზებიც ოთხივე მხრით შემოდიოდა ამ რაიონში.

თვით გორი, როგორც ქალაქი, ნაგვიანევად წარმოქმნილი ჩანს. უფლისციხე, რექი—ამ რაიონის ძველი ქალაქებია. გორი, ქრცხინვალი, ატენი, თამარაშენი „ახალქალაქთა" ასაკისაა (ამავე დროსია შიდა ქართლის ახალქალაქიც თეძმის ხეობაში). შეიძლება ვიფიქროთ, რომ გორი იგივე „ნადარბაზევია". დავით II გორს საგანგებო ყურადღება მიაქცია. მან აქ ვაჭართა მოსახლეობა ხელოვნურად გაძლიერა... მდინარეთა ხეობებით და შემდეგ „ზეკარებით" თუ „კარებით" მიდიოდა აქედან გზები დვალეთს, ლიხთიმერეთს (რაჭას, არგვეთს), სამცხეს, თრიალეთს.

„გზა დვალეთისას" იცნობს ლეონტი მროველი. ამაზასპის მეფობაშიო, ე. ი. II ს. „გარდამოვიდეს ოვსნი დიდნი სპანი გ ზ ა ს ა დვალეთისასა, ხოლო ვერა ცნა ამაზასპ მეფემან გარდამოსულვა ოვსთა ვიდრე გარდამოსულამდე მთისა და მოვიდეს რა ოვსნი იგი დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსუენებად და არა სადა განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქსა მცხეთისასა შემუსრვად მოსრულ იყუნეს... მოვიდეს ოვსნი ჩრდილოს კართა ქალაქისათა, რომელ არს მუხნარი" (ქცა, ლ., 40).

დვალეთს მიმავალ გზის ერთ ნაწილს „გ ზ ა ა ჩ ა ბ ე თ ი ს ა" ეწოდებოდა. XIV საუკუნის 90-იანი წლები იყო. თემურ ლენგი სასტიკად ანადგურებდა ქედფიცხელ ქართველებს, რომელთაც თათრების უღლის კისერზედ დადგმა არ სურდათ. ამ დროს „ესმა დვალთაგან ღალატი ქსანთ ერისთვსა": დვალები თავის მხრით ქარ-

გზა დვალეთისა



თველ ფეოდალთა უღელს ვერ ითმენდნენ. „განრისხნა და განილაშქრა მათზედა, და შემოვიდა (ქსნის ერისთავი) გზასა აჩაბეთისასა... და მოაოჴრა სრულიად დვალეთი" (ქცა, გაგრძელება I, 867).

დვალეთის გზით ბრუნდებოდნენ XII საუკუნეში თამარის ქმრობის მაძიებელი, მაგრამ დაწუნებული „ოსთა მეფეთა შვილნი". „წარსრულთა თჳსად მამულად, ერთსა მათგანსა შეემთხვია მოუთმენელი სურვილი და სიყუარული თამარისი, რომლისათჳს ვერღა რა შემძლე შივარდა საგებლად ბნედასა შინა, მიიწია აღსასრულად ნიქოზს საყდარსა შინა წმიდისა რაჟდენისსა" (ქცა, ისტ. და აზ., 417). როგორც ძველად (XII საუკუნიდან), ისე XVII საუკუნის დასაწყისში დვალეთი ქართლის სამეფოში შემოდიოდა. XVII ს. პირველ მეოთხედში მის მოურავად გიორგი სააკაძე იყო. შაჰაბასის მიერ ქართლის დარბევით იმედმოცემული დვალეთი განდგა „და არა მოსცეს დვალთა ბეგარა მოურავსა. გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა (დაბეჭდილია შეცდომით: „ბეგარა"), შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყუნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს" (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ., 64).

ვახუშტი აღნიშნავს: „ხოლო ბეის ხევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავკასი. და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა ზახას და დვალეთს" (გეოგრაფია, 78).

ან კიდევ:

„კვალად ამ ზრამაგის ხევის სათავიდამ გარდავალს ზეკარზედ გზა ქართლის დიდ-ლიახვზედ" (გეოგრაფია, 115).

ან კიდევ:

ვახტანგ VI 1711 წელს „აღიმხედრა სპითა შესვლად ოვსეთს და შევიდა და შემუსრა პკოშკნი. მოწვა და მოსტყვევნნა ურჩნი. ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟდელის ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული... დაიპყრა დვალეთი და დასდევა ხარკნი და გორს მდგომი იშვებდა და იხარებდა" (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ., 119).

ამრიგად, ეს გზა დვალეთისა ნიშანდობლივ ირკვევა: მცხეთა, მუხრანი, რეკი (ნაჭარმაგევი), ფხვენისი, ნიქოზი (ნიქოზის საეპისკოპოსოს შეადგენდა ლიახვის ხეობა დვალეთით) ცხინვალი, კეხვი (ციხე), გუმთა (ციხე). აქედან მდინარე ფაწას და შემდეგ ბეის ხევით გზა გადალახავს ზეკარას უღელტეხილს და მდინარე გინათით და შემდეგ ზახას ხეობით ნარას ჩაუვლის, გუმთადან დვალეთისაკენ მეორე გზაც მოქმედებდა მდინარე დიდი

ლიახვისა და შემდეგ როკის წყლის პირით (სხლები, ჯავა, კოშკა, როკი). როკის გადასავლით ეს გზა მდინარე ზახას ხეობაში შედიოდა. აქ მას უერთდებოდა კობიდან თრუსოს ხეობით წამოსული გზა. ნარას მისვლამდის ეს შეერთებული გზა ზეკარაზე გადმოსულ გზას უერთდებოდა. ნ ა რ ა ხ ი დ ს ს დ ა რ ა ჯ ო ბ დ ა. აქედან საშივე გზა ზახას ხეობით ზრამაგას ჩადიოდა და რაჭიდან კედელაზე (აწ მამისონზე) გადმოსულს „თაკვერის გზას" უერთდებოდა. ზრამაგიდან ეს გაერთებული გზა კ ა ს რ ი ს ხ ე ვ ი თ (აწ არდონი) კ ა ს რ ი ს კ ა რ ს გაივლიდა და ვალაგირის ჩავლით თერგის ხეობაში შედიოდა.

იმისთვის, თუ რა ურთიერთობაში იყო დვალეთი XII საუკუნის საქართველოსთან, საკმაოა, რომ „ქვემო ზრამაგა არს კასრისა და ქღელეს წყლებს შესართავს შუა და ციხე დიდი ფრიად მაგარი. ი ტ ყ ვ ი ა ნ ა ღ შ ე ნ ე ბ უ ლ ს ა თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს ა გ ა ნ" (ვახუშტი, გეოგრაფია, ჯანაშვილის გამ., 190).

ამასვე მოწმობს ქვემოთ მოყვანილი წარწერა ნარის ეკლესიაზე—ქ ა რ თ უ ლ ა დ შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი.

საქართველოდან დვალეთში სამი სხვა გადასავლითაც შედის გზები: ორი რაჭა-კუდაროდან (გადას. კაზი ხოხ და ძედო) და ერთიც ჯავის ხეობიდან (გადასასვლელი კუტახი).

დვალეთზე, როგორც ასეთ გზასაყარზე, მიუთითებს „ნარს სოფელს ნუზლა საყდარზე დაწერილი ლექსნი (ქ. ქრ. II, 178 და პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 95. ფ. გოგიჩაიშვილის გამოცემა)

> ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი ჩარჯონიძე ქახილანი
> ოს ბაყათარ, დავით სოსლან, ოთხ სამეფოდ მებრძოლანი
> . . . . . .
> ჩვენ გვიპირავს მიმავალთა მომავალთა
> ოთხის კუთხის ვიწრო გზანი
> კ ა ს ა რ ა ზ ე სიმაგრე გვაქვს და საბაჟო
> აქ გვიპირავს ხ ი დ ი ს კ ა რ ი...

ამ წარწერას თ. ჟორდანია 1326 წლისად ჰგონებს.

* * *

ლიხთამერეთს ლიხთიმერეთთან, ბუნებრივია, არა ერთი გზა აკავშირებდა. მართალია, მრავალი მათგანის შესახებ ჩვენ წერილობითი ცნობები არ შემოგვენახვია, ან უკეთ, ასეთი ცნობები აქამდის ამოკრებილი არაა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული სხვა საშუალებანი უფლებას გვაძლევენ (მატერიალური ძეგლები, ტოპონიმიკა) ამ გზათა უმრავლესობის შესახებ ვამტკიცოთ, რომ ისინი ძველიდანვე უნდა არსებულიყვნენ.

ქართლიდან ზემო რაჭას (და სვანეთს) პირდაპირი გზა რომ უნდა არსებულიყო, ამას ამტკიცებს VI საუკუნის დიპლომატიური მოლაპარაკება, რომაელებსა და ერანელთ სვანეთის გამო რომ ჰქონდათ გამართული.

იბერია-სვანეთის უშუალოდ შემაერთი გზის გარეშე ხოსრო შაჰის მოთხოვნილება სვანეთის ერანისადმი მიკუთვნების შესახებ ყოველივე აზრს მოკლებული იქნებოდა.

სვანთა მიმოსვლაზე ზემო რაჭის გზით ქართლში მიუთითებს აგრეთვე XVI საუკუნის ცნობილი სარჩელი ჯაფარიძეებსა და სვანებს შორის...

ამავე გზის არსებობას გულისხმობს ის ფაქტიც, რომ ზემო რაჭა ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა.

ვახუშტიმ კარგად იცის, რომ რაჭიდან კუდაროს და წონას, ხოლო „აქიდამ და კუდაროდამ გარდავალს გზა ქრცხინვალის ხეობასა ზედა, დვანის ხეობასა ზედა, ქართლში" (გეოგრაფია, 286 ჯან-ლის გამოც.). რაჭა-ცხინვალის გზა გაიარა ვახტანგ VI ემიგრაციამ—1400-მდის კაცმა—1724 წელს. ვახტანგის მხლებელთ შორის იყო თვით ვახუშტიც.

შიდა ქართლიდან ზემო რაჭაში რამოდენიმე გზა შედის. ყველაზე მარჯვე—ესაა ლიახვის აუზიდან ჯეჯორის ხეობაში გარდამავალი გზები. 1. ცხინვალი—კეხვი—ფაწა (მდინ. ფაწა), მდინარე ქეშელთა—ლეთის ზეკარი, მდინარე ჯეჯორას ხეობით ონისაკენ; 2. ცხინვალი — კეხვი — ფაწა — ჯავისთავი — ზამთარეთი — არაშენდა — ჩასავალი — მდინარე ჯეჯორას პირით ონისაკენ; 3. ცხინვალი — ფაწა — ერწო — ჯეჯორას პირით ონისაკენ.

ვახუშტით, ერთ ამ გზათგანს ლიბის გზა ეწოდებოდა.

1688 წელს ქართლში ყაენის მიერ ერეკლე I გამეფების გამო „გიორგი მეფე მოვიდა ქრცხინვალს და მუნიდამ წარვიდა რაჭას ლიბის გზასა ზედა და მთიდან გამოუტევნა ქართველნი მცირეთაგან კიდე" (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ., 91).

„გზა დასავლისა" წყაროებში არა ერთგზის იხსენიება. ზოგჯერ ის იმიერკავკასიიდან ლიხთიმერეთში შემავალ გზას ნიშნავს, ზოგჯერ კიდევ ლიხთამერეთიდან შემავალს.

XIII საუკუნის 60-იან წლებში მეფე დავით ლაშას ძე მონღოლებს აუჯანყდა. ულაუ ყაენი ფიქრობდა სასტიკად დაესაჯა აჯანყებულის ვაჟი, გიორგი უფლისწული. ყაენის მეუღლე ტონღუზ ხათუნი შემდეგით უსაბუთებს ლმობიერებას განრისხებულ ყაენს: „ძმა შენი, დიდისა ყაენისა ბათოს შვილი მრავალს მოციქულსა უგზავნის და დიდთა ნიჭთა აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ა, რამეთუ ორივე ჴელთა შინა მისთა არს“ (ქცა, ჟ. ალ., 681).

IX საუკუნის 50-იან წლებში არაბთა დამსჯელი ლაშქარი ბუღა თურქის მეთაურობით ქართლში დათარეშობდა. „თევდოსი მეფე აფხაზთა გამოვიდა წინა აღდგომად მისსა, დადგა კუერცხობსა... ბუღა... წარავლინა ზირაქ სპასალარი თჳსი და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა. და შეებნეს და გააქცივნეს აფხაზნი... და თეოდოსი მეფე წარვიდა მეოტი გ ზ ა ს ა დ ა ს ა ვ ლ ი ს ა ს ა“ (ქცა. მატ. ქ-ჲ, 221). უკანასკნელ შემთხვევაში არა ჩანს: „გზა დასავლისა“ ერთი გარკვეული გზის სახელი იყო, თუ ლიხთიქითს მიმავალ ყოველ გზის შესახებ ითქმოდა. აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთისკენ მიმავალი გზები, რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირი მნიშვნელობისა არ იყო. უპირატესობაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიმართულებას ჰქონდა. ამისდა მიხედვით სახელი „გზა დასავლისა“ შეიძლება გარკვეულს დროს ასეთი უპირატესობის მქონე გზას განკუთვნებიყო.

შიდა ქართლიდან ყველაზე ჩრდილოეთით ცხინვალ-წონას გზა შედიოდა ყვირილას ხეობაში (ცხინვალი-თამარაშენი-კეხვი — ფაწა-აბანო-წონა-ყვირილას პირით თავქვე). გარდა ვახუშტის ცნობისა (იხ. ზემოთ) ჩვენ ამ გზის შესახებ არა ვიცით რა.

ამ გზის გარდა ვახუშტისავე აღნიშნული აქვს: „მუხაურის ბოლოს ეყრების ფცის წყალს ხტანის ხევი... ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა წოდებული გომართა, აწ ცარიელი. მ უ ნ ი დ ა მ წ ა რ ვ ა ლ ს გ ზ ა ლ ო ხ ო ი ს ი ს მ თ ა ს ა ზ ე დ ა დ ა პ ე რ ა ნ გ ი ს მ თ ა ს ა ზ ე დ ა. გ ა რ დ ა ვ ა ლ ს ი მ ე რ ე თ ი ს ჴ ა ლ ა ს ა შ ი ნ ა“ (ვახ. გეოგრაფია, 80). დვანის წყლით გზა პერანგაზე აღნიშნულია აწინდელ ხუთ ვერსტიან რუკაზეც: ბრეთი-დვანი-ავნევი-ერკნეთი-წორბისი-ყორნისი-პერანგა-დარკა-ჴალა-ჩიხა.

ასეთი მარშრუტის ძველადაც არსებობას უნდა მიუთითებდეს ვახუშტის მიერვე აღნიშნული: „წორბის ზეით ამ (ე. ი. დვანის) წყალზედა მთასა შინა არს ციხე საქართლისა, მაგარი“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 116). ეს მაგარი ციხე „მთასა შინა“ სხვას არაფერს სდარაჯობდა აქ, თუ არ გზას.

ამას უნდა ადასტურებდეს პაპუნა ორბელიანის შემდეგი ცნობა: 1742 წელს ზემო ქართლი გამდგარი იყო გივი ამილახორის მეთაურობით. ქართლის ხანი გორს იდგა. „შეჯდა ხანი, მივიდა საქართლის ციხესა. (ციხის) აქეთ სულ მოაოხრეს. დაატყვევეს ურიცხვი და ჩამოვიდნენ გორს“ (საქ. ცხ. პაპუნა ორბ., 67).

წერილობითი ცნობა ამ გზის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. არც ვახუშტი აღნიშნავს მას. უკანასკნელის მიერ ნაგულისხმევი

მარშრუტი კი ფცას წყლით მიდის. ის შემდეგია: ატოცი (მონასტერი) აქედან გზა შიდა ქართლის ბარში მრავალ შტოდ მიდის—ოქონა (მონასტერი)—თიღვა (მონასტერი)—ძაღინა (ციხე-სასახლე) — საყარაულო—ოჟორა (მონასტერი)—ხტანა (აქვე ახლოს მუხაური—ქალაქი)—გომართა (ეკლესია)—ლოხოისის მთა—პერანგას მთა—ჭალა—ჩიხა—საჩხერე.

ვახუშტის მიერ ნაჩვენებ ამ მარშრუტს უნდა გულისხმობდეს X საუკუნის ერთი ისტორიული ეპიზოდი: 980-იან წლებში ბაგრატ III აფხაზეთს გაამეფეს. „შემდგომად ამისა გარდამოვიდა ქართლს მეფე ბაგრატ, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თიღვას. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდამოსლვა მისი. იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისისა", ბაგრატს გაემარჯვა, „მოვიდა უფლისციხეს და აიღო ციხე დედისაგან" (ქცა. მატ. ქ-ა 239).

აქ მოხსენებული თიღვა ზემომოყვანილი მარშრუტის ერთ-ერთი პუნქტია. ზედამოღრისის თავს გზის შეკვრა ქართლის აზნაურების მიერ მოწმობს, რომ თიღვიდან მარჯვე გზა უფლისციხისაკენ ამ ადგილას უკვე სტოვებდა ფცის წყლის ხეობას და დვანის წყლის ხეობისაკენ გადმოდიოდა.

ამ გზის მეორე პუნქტს უკვე ყვირილას ხეობაში მოიხსენებს ერთი IX საუკუნის ისტორიული ეპიზოდი. „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დიმიტრისი, ძე ლეონისა, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრისი, რომელსა ერქუა ბაგრატ... და ცოლმან მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა"... (ქცა, მატ. ქ-ა, 223).

ამ ცნობით ჩიხა ლიხთიქიდან ქართლისაკენ მომავალ გზაზედ მდებარე საერისთავო საჯდომი ჩანს და, მაშასადამე პოლიტიკურად მნიშვნელოვანი, უნდა ვიფიქროთ, ამ დროს ჩიხა შემდგომდროინდელ საჩხერეს მაგიერობას სწევს. დასასრულ, ამ გზის მესამე პუნქტი დასახელებულია 1632 წლის ამბებთან დაკავშირებით. როსტომ ხანი დავითის ძე და ერანის სპასალარი როსტომ სააკაძე ყიზილბაშთა ლაშქრით ხუნანს მოვიდნენ. თეიმურაზ I საფურცლეს დადგა და ლაშქარს იყრიდა. მას გადაუდგნენ მუხრანბატონი ვახტანგ და ზარათიანნი, „ესე ვითარებისათვის ვერღარა წინააღუდგა თეიმურაზ სპარსთა და წარვიდა იმერეთს. მცნობმან სპასალარმან წარმოუყენა სპანი. ესენი ეწივნენ პერანგის მთასა ზედა ხიზანთა, მოსრნეს და ტყვე-ჰყვეს და შემოიქცნეს ტფილისს". (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამოც., 70).

მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით, ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია,

# გზები შიდა ქართლიდან - იმერეთში



რომ ეს გზა XI—XII საუკუნეებშიაც არსებობდა. სხვა საკითხია თუ როგორი მნიშვნელობისა იყო ის ამ დროს.

საისტორიო მასალათა გადაკითხვიდან შთაბეჭდილება ისეთია, რომ XII საუკუნეში მთავარი გზა ამ მარშრუტზე სამხრეთით უნდა ყოფილიყო.

ცნობები ამერეთიდან იმერეთს გარდასავალთა შესახებ XI — XII საუკუნეში ფრიად მრავალია. სამწუხაროდ მეტად იშვიათია მათ შორის ისეთი, რომლის მიხედვით ამ გზის მიმართულების ზედმიწევნითი დადგენა შეიძლებოდეს. ამოცანას დიდად გააადვილებდა, რომ ჩვენ გვცოდნოდა სახელდობრ რომელ ადგილს გულისხმობენ წყაროები „ლიხთა“ დასახელებისას.

ვახუშტით, ლიხთიმერეთს აღმოსავლით „უმდებარებს მთა მცირე ლიხისა, ხოლო მთა ლიხისა მდებარებს ჩრდილოდამ სამხრით, კავკასიდამ ლადომდე“ (გეოგრაფია, 257). ლიხი აქ, როგორც ვხედავთ, მთელს მთაგრეხილს ეწოდება. ასეთივე შინაარსით ხმარობს ამ სიტყვას დავითის ისტორიკოსი. დავითის მეფობის დასაწყისსო „იყო... საზღუარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა“ (ქცა, დავ. ისტ., 288). მაგრამ იგივე ავტორი მეორე ადგილს „ლიხთა“ ქვეშ არა მთელს მთაგრეხილს, ან მის ნაწილს, არამედ სრულიად გარკვეულ პუნქტს ამ მთაგრეხილზედ გულისხმობს: 1120 წელს ზამთარში დავით მეფე აფხაზეთს იყო. თურქები მტკვრის პირთა ჩამოდგნენ. მეფე „წამოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა. გარდაათხრევინა ლიხნი, სადა გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მჴარი სამი, დახუდა მზად სპა მისი. პირველ ჰამბავისა ქართლისა ცნობამდე დაესხა ხუნანს“ (ქცა, ც-ბა მეფეთ მეფისა, დავითისა 305). ასევე გარკვეული პუნქტი იგულისხმება სხვა ცნობებშიაც: 1190 წელს დიდგვარიანთ ერთმა ჯგუფმა მეორე ჯგუფის წინააღმდეგ გაილაშქრა. აჯანყებულთა ერთი ნაწილი გ ა რ დ ა მ ო ვ ი დ ე ს მ თ ა თ ა ლ ი ხ ი ს ა თ ა ამწყუედელნი და ამაოჴრებელნი ქართლისანი, მოვიდეს ნაჴარმაგევამდის და გორამდის“ (ქცა, ისტ. და აზმ., 437). მონღოლთადმი დამორჩილების შემდეგ „მეფე რუსუდან გ ა რ დ ა მ ო ვ ი დ ა ლ ი ხ ი თ და მოვიდა ტფილისად“ (ქცა, ჟ. აღმ., 609). კახაბერ რაჭის ერისთავი ნარინ დავითს აუჯანყდა, ის ეუბნება აბაღა ყაენს: „უკეთუ ჰნებავს ყაენსა შურისგებად დავით მეფესა ზედა, მე მისთჳს მოვსრულ ვარ. ვიცნი გ ზ ა ნ ი შ ე ს ა ვ ა ლ ნ ი და წარვასხამ ლაშქართა და ვჰგონებ, რომე მეფე ჴელთ ვიგდო... შეკრბეს სიმრავლე ლაშქრისა სამი ბევრი და გამოვლეს თრიალეთი და გარდავლეს მთა ლიხისა და ზედა დაესხნეს ქუთათის აბანოსა შინა მყოფსა მეფესა“. (ქცა, ჟ. აღმ., 713) რომელი გარკვეული პუნქტი იგულისხმება მოყვანილ შემთხვევებში?

პერანგას გადასავალს გარდა ლიხთამერეთს იმერეთთან აერთებს ზემოჯვარის — ქარტოხის, დედაბერასი, რიკოთის, სურამის და „ციხისძირის“ (უკანასკნელი ტერმინი ჩვენმიერია) გადასავლები.

ორი უკანასკნელით გზები ჩხერიმელას ხეობაში შედის, სხვა დანარჩენნი კი—ძირულას ხეობაში.

ყველა ეს გადასავალი ადვილად გადასალახავი მაღლობებია. ასე რომ, თუ სხვა პირობებით არა, ამით რაიმე უპირატესობას ურთიერთის წინაშე ვერ დაიჩემებენ.

დავითის ისტორიკოსს დაცული აქვს ერთი ცნობა, რომელიც თითქო გარკვეული დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს. დავითის მეფობის დასაწყისშიო „სადგომი სამეფო წაღულის თავსა“ (V. წაღვლის თავი) იყოვო. დავით მეფეს ამ დროს მხოლოდ ლიხთიქითზე მიუწვდებოდა ხელი; ლიხთაქეთ თურქები ბატონობდნენ. დავითი შიდა ქართლში ფესის მომაგრებას ცდილობდა. ამ მიზნით სამეფო კარის სადგომი წაღვლის თავს დაუდვია. უეჭველია, ეს პუნქტი ლიხთიმერეთში გარდამავალ გზაზედ უნდა ყოფილიყო. ეხლა, თუ წაღვლის მდებარეობას გავითვალისწინებთ, ეს ცნობა თითქო იმასაც გვეუბნება, რომ ლიხთიქითთან შემაერთი მთავარი გზა ამ ხანებში ძირულას ხეობაში შედიოდა (ხეფინის ხევში), მაგრამ არა რიკოთის გადასავლით (ე. ი. სურამიდან), არამედ ჯვარ-ქარტოხის ან დედაბერას გადასავლით.

მეორე ასეთი ნიშანდობლივი ცნობა უფრო ნაგვიანევია. ის სიმონ I მეფობის დროისაა. ქართლის მეფემ 1590 წელს იმერეთს ილაშქრა. მან დაიპყრა ციხეები სვერი, კაცხი, სკანდე, ქუთაისი, კვარა. ქუთაისიდან ის ოფიშქვითს მივიდა. აქ ომი წააგო. ივლტოდა. კოლბეურს გამოიარა. ლტოლვილ მეფისა და გლეხის ქალის საუბრიდან ჩანს, რომ სიმონს კოლბეურზე გაუვლია ქუთაისზე გალაშქრებულსაც. აშკარაა, ქართლის მეფე ჯარით ჯვარის გადასავლით. მისულა კოლბეურს (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამოც., 49), უნდა ვიფიქროთ, ქართლიდან მომავალმა მეფემ ალზე გაიარა.

ალზე, როგორც პუნქტზე, საიდანაც ერთის მხრით თბილისს, ხოლო მეორეს მხრით ქუთაისს მოდიოდა გზა, მოწმობს XV საუკუნის დასაწყისის ცნობა. ქუცნა ამირეჯიბი ულუმბისადმი შეწირულობის წიგნში ალელთ სამოურაო გადასახადების მოხსენებისას ამბობს, რომ მათ მართებთ „უ ლ ა ყ ი  ა ქ ი თ  თ ბ ი ლ ი ს ა მ დ ი  დ ა  ი ქ ი თ  ქ უ თ ა ი ს ა მ დ ი“ (ქრონ. II, 210).

კიდევ უფრო ნიშანდობლივია XVII საუკუნის ცნობა: ვახტანგ მეფემ 1661 წელს იმერეთს ლაშქრობა გადაწყვიტა. ის წავიდა, „დადგა ალს“. მისი მოწინააღმდეგე ვამეყ დადიანი კი წამოვიდა და საჩხერეს დადგა. ალიდან „გარდავლო მეფემან მთა ლიხისა“. და-

დიანი გაიქცა. მეფე მოადგა სკანდეს, შემდეგ წარვიდა და აღიღო ქუთაისი" (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ., 78—79). ვახტანგ მეფე დიდის ლაშქრით ალიდან რომ საჩხერეს მდგომ დადიანზე მისულიყო, მას აუცილებლად უნდა გაევლო ჯ ვ ა რ-კ ო რ ტ ო ხ ი ს გ ა დ ა ს ა ვ ლ ი თ კ ო ლ ბ ე უ რ ი.

ალი—საჩხერეს და აქედან ქუთაისს მიუთითებს არჩილის ცნობა:

შაჰ-აბასისაგან ლტოლვილი თეიმურაზ და ლუარსაბ:

გარდავლეთ ლიხი, მივედით ადგილთა იმერელთასა
გიორგი მეფე მობრძანდა სამყოფსა წერეთელთასა.
წინ მოგვეგება გვესალმა საჩხერეს, ადგილს ველთასა,
დავივანენით სამყოფსა მუნ სახლსა კარგთა ქველთასა.
მიგვიპატიჟა ქუთაისს, მუნ ტახტსა მეფეთ დგმულებსა.
არჩილიანი II, 476.

შაჰნავაზიანში ვახტანგ V მარშრუტი (პირველი ლაშქრობისა) შემდეგია:

მ თ ა ს ა გ ა რ დ ა ჰ დ ა, მაშინვე მიეგებოდა ყველანი
კოლბეურს დასცეს კარავი, აივსო იგი ველანი
აქედან... ს ა ზ ა ნ ო ს დადგა ხელმწიფე...

ალიდან ლიხთიმერეთს გზა ორი გადასავლით მიდიოდა: ჯვარკორტოხისა და დედაბერასი (ანუ ულუმბის). პირველი მიმართულებით გზა კოლბეურს გაივლიდა. კოლბეურიდან ის ერთის მხრით საჩხერეზე, ხოლო მეორეს მხრით სვერზე მიდიოდა. ხსენებული გზის უკანასკნელ მიმართულებაზე უნდა მიუთითებდეს ერთი XI საუკუნის ცნობა. 1068 წელს თურქების, კახთა და სომეხთა მეფეებისა და ტფილელი ამირას ჯარები შემოესივნენ ქართლს. „გარდავიდა მარბიელი მისი არგვეთს, მ ი უ წ ი ე ს დ ა ა რ ბ ი ე ს ვ ი დ რ ე ს ვ ე რ ი ს ც ი ხ ე მ დ ე"... (ქცა, მატ. ქ-ა, 271).

თვით ციხე სვერი და საბაჟო ამ მიმართულების გზის კარგი მაჩვენებლებია.

დედაბერას (ულუმბის) გადასავლის გზას ქართლიდან უწლევის ციხე სდარაჯობდა. ეს გზა მონასტერ ულუმბას ჩაუვლიდა და ძირულის ხეობით (ხეფინის ხევით) მიდიოდა შორაპნისაკენ. ამ მიმართულების გზის პირდაპირი წერილობითი ცნობები ჩვენ ხელთ არ მოგვეპოვება. შეიძლება ამ გზის მაჩვენებელი იყოს ულუმბის მონასტრის დანგრევა თემურ ლენგის მიერ. საქართველოს მედგარ წინააღმდეგობით ცოფმორეული დამპყრობელი 1400-იან წლებში ლიხთიმერეთის გადასაბუგავად დაიძრა და გზად ულუმბას მონას-

ტერი ისე დაანგრია „რომელ საძირკუმლიცა არა დაშთომილიყო" (ქრონ. II, 209). დედაპერას გადასასვლელზე უნდა მიუთითებდეს XVII საუკუნის ერთი სახალხო ლექსიც (გამომცემელს ლექსის სათაურად აღნიშნული აქვს „თეიმურაზის ლექსი", ჩანს, ლექსი XVII საუკუნის ცნობილ მეფე-პოეტს თეიმურაზს მიეწერება):

> უ ლ უ მ ბ ი ს  მ თ ა ს ა  გ ა დ მ ო ვ დ ე გ  ჩემ საიმედოდ გულისა,
> დ ა ვ ხ ე დ ე  ქ ა რ თ ლ ი ს  ქ ვ ე ყ ა ნ ა ს  ღვთისაგან კურთხეულისა,
> დ ა ვ ა გ დ ე  ქ ა ჯ თ ა  ქ ვ ე ყ ა ნ ა  ტალახით გამბასრულისა
> ვინც იყოს მათი მოყვარე, იყოს მაჰმადის რჯულისა.

(პეტრე უმიკაშვილი, სახალხო სიტყვიერება, 1, 286. ფ. გოგიჩაიშვილის გამოცემა).

თეიმურაზი ლიხთიქითიდან მოდის. ის ულუმბის მთას გადმოდგა, ქართლს დახედა, „ქაჯთა ქვეყანა" (sic) დააგდო.

შემდგომ ორ გადასავლისაკენ გზები სურამზე გაივლიან. ერთი მათგანი რიკოთის გადასავლით ძირულას ხეობაში შედის. მეორე გზა სურამიდან ფონაზე გავლით (სურამის გადასავალი) წიფას ჩადის და ჩხერიმელას პირით შორაპნისაკენ მიდის. ამ მდინარის პირით ამერის ლიხთიმერეთთან შემაერთი გზის შესახებ ვახუშტიც მოწმობს: „მლაშეს ზეით ჩხერიმელაზედვე არს სამხრით ჩხერის ციხე მაგარი და მტრისაგან აუღებელი. ჩ ხ ე რ ი ს ზ ე ი თ  ა რ ს  გ ზ ა ქართლს მიმავალი" (ვახუშტი, გეოგრაფია, ჯან. გამ., გვ. 160). ამ გზის არსებობასვე მოწმობს ზემოდასახელებული ჩხერის ციხე და გეოგრაფიული ტერმინი „ნებოძირი" (უკანასკნელი ტერმინი, თუ ის მართლა საგზაო ბოძს უკავშირდება, უნდა ძველი დროის გზას მოწმობდეს...).

ჩვენთვის საინტერესო ხანაში ფონა-რიკოთის გადასავალთა მნიშვნელობაზე ლაპარაკი ძნელია სათანადო პირდაპირი მოწმობათა არ არსებობის გამო. თუმცა ის გარემოება, რომ ქართლის ერისთავების ადგილსამყოფელი XII—XIII საუკუნეებში ,სწორედ სურამია (და არა კასპი, კლდეკარი, უფლისციხე, ან კიდევ ქვათახევი), მოწმობს სურამის გარკვეულ უპირატესობაზე შიდა ქართლის სხვა პუნქტებს შორის. ნაგვიანევი ხანის ცნობები ჩხერიმელას ხეობით სურამზე გზის არსებობის შესახებ არა ერთი მოიპოვება.

ვახტანგ ბატონიშვილს სახლეული ჰყავდა იმერეთს ხ ა რ ა გ ე უ ლ ი ს ციხეში (ჩხერიმელას ხეობაში). თითონაც იმერეთს ხიზნობდა. ყაენმა მას ქართლში საუფლისწულოები დაუბრუნა. ვახტანგი წამოვიდა. ალს მოვიდა. შემდეგ, როცა მამული მიიღო „მოვიდა ს უ რ ა მ ს ვახტანგ და მოიყვანა ცოლი და ძენი თვისნი და სახლეულნი". (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ., 102, 105).

ან კიდევ, 1741 წელს „დადიანმა და აბაშიძე ზურაბ გადმოიყვანეს ჯარი ურუმისა. გარდმოაგდეს მეფე (ალექსანდრე). აიყარა თავის დედაწულით და მივიდა ციხესა ჩხერისასა. მიუყენა თავის მისანდომნი კაცნი და თითონ ასიოდე კაცით გარდმოვიდა სურამს" (საქ. ცხ. პაპ. ორბ., 60).

ჩხერისა და ხარაგეულის ციხეებიც ხომ ამ გზის მოდარაჯე სიმაგრეებია.

დასასრულ, ქვიშხეთ-ციხისძირით გარდამავალი გზა. სხვა ჩვენებებიც რომ არ გვქონოდა, თვით ეს სახელი „ციხისძირი" და აქამდის დაცული ციხე ამ გზის გადმოსავალს, საკმაოდ უჩვენებენ უკანასკნელის მიმართულებას. მოიპოვება XIII საუკუნიდან ორი ცნობა, საიდანაც საფიქრებელი ხდება, რომ ლიხთიქითიდან ქართლში სწორედ ამ უკანასკნელი გადმოსავალითაც შემოდიოდნენ.

XIII საუკუნის 60-იან წლებში მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული ულუ დავითი დის. საქართველოდან „წარმოვიდა და მოვიდა ქვიშხეთის ბოლოსა და სურამს შუა. დადგა და მოუწოდა ენუქ არქაუნს" (ქცა, ჟ. აღმ., 682).

1289 წელს ხუტლუბუღა სადუნის ძე მონღოლთა ყაენის ბრძანებით ქუთაისში წავიდა მეფე დავით ნარინის ძის, ვახტანგის მოსაყვანად საქართველოში გასამეფებლად. „და ვითარ იხილა ხუტლუბუღა (მეფემან დავით), მოუწოდა სპათა თჳსთა, წარმოემართა, თანა წარმოიტანა ძე მისი ვახტანგ. გარდმოვიდა და დადგეს ტასის კარს, ქვიშხეთის მინდორსა". აქედან ვახტანგ და მისი მხლებელნი „წარმოვიდეს მსწრაფლ და მეფე დავით შეიქცა ქუთაისს" (ქცა, ჟ. აღმ., 743).

* * *

შიდა ქართლს ზემო ქართლთან **ხეობის გზა** აერთებდა. თბილისიდან სამცხეს მიმავალი გზა გორიდან მტკვრის მარცხენა ნაპირს მისდევდა. უეჭველია ეს გზა უძველესი დროიდანვე არსებობდა, თუმცა წერილობითი მისი კონსტატაცია ჩვენ საკმაოდ ნაგვიანევი დროიდან შეგვიძლია მხოლოდ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორის ცნობით დვინიდან ლტოლვილი ნინო „მთათა ჯავახეთისათა" მოიწია. აქედან „წარემართა და მიჰყუა წიაღ კერძო მდინარისა მის... სადა იგი შეემთხუა სიძნელე გზათა და სიფიცხლე. შეეშინა მჴეცთაგან და ფრიადნი ჰირნი ვიდრე მოწევნადმდე ადგილსა მას, რომელსა იწყების წყალი იგი აღმოსავალით დინებასა კერძ და მიერითგან იქმნა ლხინება მისთანა, რამეთუ პოვნა მუნ მოგზაურნი, რომელთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა, რომელსა ეწოდების ურბნისი" (ქცა, ლ. 69). ამრიგად, ამ

დროს, ე. ი. ცნობის ავტორთა წარმოდგენით IV საუკუნეში, სამცხიდან ხეობით გამოსული გზა ურბნისში მოდიოდა. ამავე დროს ეს გზა ხეობაზე საშიშ გასასვლელად ითვლება. შემდგომი ხანის ცნობებიდან საჭიროა რამოდენიმე მაგალითი ამ გზის ხასიათისა და პუნქტების აღსანიშნავად.

X საუკუნის 80-იან წლებში „აფხაზეთის" პოლიტიკური საქმეები აირია. ქართლის ერისთავმა იოანე მარუშისძემ დავით კურაპალატი მოიწვია ტაოდან. უკანასკნელიც „წარმოემართა ძალითა თჳსთა ყოვლითა და მოვიდა ქართლად". უფლისციხეს შემომდგარი კახელები „წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი"... „მოვიდა დავით კურაპალატი, ჩამოდგა ქუახურელთა. მიეგება წინა ქართლის ერისთავი მარუშისძე. აღიღო მისგან ციხე (ე. ი. უფლისციხე) და მიუბოძა ბაგრატს და მამა მისსა გურგენს" (ქცა, მატ. ქ-ბ, 236). დავით კურაპალატი რომ სამცხისა და ხეობის გზით „მ ო ვ ი დ ა ქართლად" და არა თრიალეთზე გადმოსვლით, ეს სწორედ ამ „მოვიდა" ზმნიდან ჩანს: თრიალეთზე გადმოსულის შესახებ ავტორი, მოსალოდნელია, იტყოდა, „ჩამოვიდა". დავით კურაპალატმა, ჩანს, შემდგომ დროინდელ გორთან მტკვრის ხიდი გაიარა და უფლისციხეს მდინარის მარჯვენა ნაპირიდან (ქუახურელნი) მოადგა.

XIII საუკუნის სამოციან წლებში მეფე დავით ლაშას ძე მონღოლებს აუჯანყდა. სამცხეს გადავიდა. მონღოლებმა დამსჯელი ექსპედიცია გამოგზავნეს. ის შიდა ქართლში დადგა. აჯანყებულ მეფისა და სარგის ჯაყელის ჯარი სამცხიდან „წარმოემართნეს და დადგეს ხევთა (შინა მტკვრისათა). ...„აღიყარა სარგის ქვევთად და წარავლინა წინამბრძოლნი კაცი რჩეული და გამოცდილი ათას ხუთასი მჴედარი... წარემართნეს და გავლეს კიდი ახალდაბისა. იყო ყინელი და ზამთარი... განვიდეს სივიწროისაგან წინამავალნი". აქ ისინი შეეყარნენ თათრებს. ბრძოლაში თათრები დამარცხდნენ. „ესრეთ ძლიერად ბრძოდეს მესხნი, რომელ მცირედნიღა განერინეს და შეიხვეწნეს რაზმსა შინა არღუნისსა შინდარას გორისასა" (ქცა, ჟ. ა., 672—673).

შემდეგ არღუნმა დაამარცხა მესხნი. თათრებმა სდევნეს დამარცხებულნი „ახალდაბის კიდამდე გინა უმეტესცა"... აქედან არღუნი „შეიქცა გამარჯვებული, ხოლო სარგის და მესხნი მოვიდეს მეფეს წინაშე ა წ ყ ვ ე რ ს მეყვისთათვის მტირალნი" (იქვე, 674).

XIII საუკუნის 80-იანი წლები იყო. „არღუნ წარმოემართა სამცხეს ხილვად სარგის ჯაყელისა. შემოვლო სომხითი, ტფილისი და ქართლი მჴედრითა ორითა ბევრითა... და უგრძნეულად მივიდა სამცხეს და დადგა აწყურს" (ქცა, ჟ. ა., 723). როგორც ვხედავთ,

XIII საუკუნის ამ ცნობებიდან გორი—აწყურის გზის შემდეგი პუნქტები ირკვევა: გ ო რ ი, ვ ი წ რ ო, ე. ი. ტ ა შ ი ს კ ა რ ი, ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს ხ ი დ ი, ხ ე ვ ნ ი, ა წ ყ უ რ ი.

სამცხიდან ხეობის გზით შემოვიდა თემურ ლენგი 1387 წელს ქართლში განვლო ის და თბილისს გარს შემოერტყა.

, ნაგვიანევი ხანიდან ჩვენ არა ერთი ცნობა მოგვეპოვება ხსენებული გზის შესახებ. XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ყვარყვარე ათაბაგი თავისი ქვეყნის სახელის აღსადგენად შაქს წავიდა. შაქიდან შემოქცეულმა ათაბაგმა „შემოვლო ყარაია, გამოვლო მუხრანი. მოვიდა შიდაქართლს". აქ გზაზე გადაუდგნენ შიდა ქართლელნი და ციციანნი. ომი მოხდა არადეთს.

ამ გზის კიდევ ერთ პუნქტს არკვევს 1520 წლის ერთი ეპიზოდი: ქართლის მეფე დავით ლევან კახბატონს მტრობდა. გ ო რ ს მდგომს დავითს ამბავი მოართვეს, რომ „გამოვლო გურიელმან მამია მწეობითა ათაბაგისათა მთა ღადო, რათა შემწე ეყოს ლევანს დავით მეფესა ზედა"... მეფე დავით ომით წავიდა გურიელზე: „ეწყო მ ო ხ ი ს ს ძლიერად. იძლია დავით მეფე და მოვიდა ტფილისს".

აშკარაა: ყვარყვარე ათაბაგმა არადეთზე გავლით ხეობა შეიარა, ხოლო გურიელი ხეობის გზით გამოსული, მ ო ხ ი ს ს მოადგა.

ხეობის გზის შესახებ ცნობები პაპუნა ორბელიანსაც მოეპოვება. 1744 წელს, როცა ყიზილბაშთაგან გამდგარი გივი ამილახვარი სურამის ციხეში იდგა „გარდამოვიდა უსუფ ფაშა დიდის ჯარით. ჩ ა მ ო ი ა რ ა ხ ე ო ბ ა ზ ე, მოვიდა და დადგა ს უ რ ა მ ს" (საქ. ცხ. პაპუნა ორბ., 87). შემდეგ, რაკი გორი ვერ აიღო „აიყარა უსუფ ფაშა რუისიდამ (სურამიდან ის რუისს ჩამოსულიყო) შ ე ი ა რ ა ი ს ე ვ ხ ე ო ბ ა ზ ე და მივიდა ა ხ ა ლ ც ი ხ ე ს... შეუკრეს ავალიშვილების კაცთ გზა, ვითაც ს ა ჭ ი რ ო გ ზ ე ბ ი არის, დახოცნეს ურუმნი და დააგდებინეს ზარბაზნები. აიტანეს პ ე ტ რ ე ს ც ი ხ ე შ ი" (საქ. ცხ. პაპ. ორბ., 89).

1745 წელს ამილახვრიშვილი დიმიტრი, ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს ც ი ხ ე შ ი რომ იყო გამაგრებული, წამოუვიდა გივის და ციხე თეიმურაზ მეფეს გადასცა. ამავე ხანებში ხეობის მებატონეს ქაიხოსრო ავალიშვილს ხელში ჩაუვარდა ისაყ ფაშისაგან გივი ამილახვრისადმი მოწერილი „წიგნი იმედისა". ავალიშვილმა წერილი თეიმურაზ მეფეს მიართვა. „გაგზავნა მაშინვე ბატონმა საამ და პაპუნა უზბაში საბარათაშვილოს ჯარით ხ ე ო ბ ი ს გ ზ ე ბ ი ს შ ე ს ა კ რ ა ვ ა დ". ცოტა ხნის შემდეგ „წარვიდა, ხეობაზე რომ ქართლის ჯარი იყო, ახალციხისა ქვეყანასა. აიღეს ც ი ხ ე ს ა კ ი რ ი ს ა" (იქვე, 103). ყველა ამ ცნობიდან ჩვენ შეგვიძლია ხსენებულ გზის შემ-

დეგი მიმართულების დადგენა გორიდან—აწყურამდის: გორი, ტი-ნისხიდი, ურბნისი, რუისი, არადეთი, მოხისი, ტა-სის კარი, ახალდაბა (ხიდი—ციხე). პეტრეს ციხე,

ხეობის გზა

(შიდა ქართლიდან ზემო ქართლში)



აწყური. ამავე გზას იცავდნენ ციხეები ყვიბისისა და ჭო-ბის ხევისა, რომელთაც იგივე პაპუნა ორბელიანი მოიხსენიებს. 1757 წელს „მოვიდა ათასი ლეკი ქვეითი ავალიშვილების მამულში

ხ ე ო ბ ა შ ი, აიღეს ყვიბისის ციხე, მერმე მიადგნენ ჰობის ხევს ციხესა. მიეშველა მეფე თეიმურაზ ქართლის ჯარით. დადგა თითონ ჭვიშხეთს, უთავა ამილახვარი. მოუსივა ჯარი. მიაშველა ციხეს. განეცალნენ ლეკნი უომრად" (ibid., 238).

ზემოხსენებული ციხე კი ამ გზიდან ცოტა მოშორებით უნდა ყოფილიყო, აღმოსავლეთით. ხეობისა და ზოგიერთი ზემოხსენებული პუნქტების შესახებ ვახუშტის მოეპოვება ცნობები თავის გეოგრაფიაში: „ხოლო ტაშის კარის სამხრით ჩამოვალს დასავლეთიდამ მთა მახვილოსი ცხვირ-ცხვირად და აღმოსავლიდამ ყერძენის მთის წვერი და მოავიწროვებს მტკვარს კლდითა. აქ მოვიწროვებულსა შინა არს გ ა ნ ს ა ვ ა ლ ი კ ა რ ი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ ხეობასა შინა სავალი... ამის მიერ ეწოდა ტაშის კარი (ესე არს ქვის კარი"—იზიარებს ხალხურ ეტიმოლოგიას მეცნიერი ისტორიკოსი). მოხსენებული აქვს ვახუშტის „ახალდაბა მცირე ქალაქი მტკვრის ამიერ და იმიერ. მოსახლენი ქართველნი და ურიანი. აქა არს ხიდი მტკიცე, ახალდაბის სამხრით არს ციხე მაღალს კლდესა ზედა დიდნაშენი და მაგარი" და შემდეგ: „ნუას მოერთვის (მტკვარს) შავწყალი. ნუას ზეით ჰალის პირისპირ სამხრიდამ ერთვის მტკვარს ღლვაშის ხევი. გამოსდის კოდიანის მთას. მას ზეით არს მტკვრის კიდესა ზედა სამხრით პ ე ტ რ ე ს ც ი ხ ე ფრიად მაგარი და შეუვალი მტრისაგან... არის ესე მტკვრის ხეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მ ა გ ა რ ი და შ ე უ ვ ა ლ ი მ ტ რ ი ს ა გ ა ნ".

ამ ამონაწერებიდან ისიც ცხადია, რომ გ ზ ა ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს ზ ე ვ ი თ მ ტ კ ვ რ ი ს მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ნ ა პ ი რ ს მ ი ჰ ყ ვ ე ბ ო დ ა დ ა ა რ ა მ ა რ ც ხ ე ნ ა ს, რ ო გ ო რ ც ე ს ე ხ ლ ა ა რ ი ს.

ხეობაში ჰ ა ლ ი ს პირისპირ (ე. ი. აწინდელ ბორჯომში) ამ გზას შემოეყრებოდა თრიალეთიდან გუჯარეთზე გამოვლით და თორის წყლით მოსული გზა. ამ გზას მოწმობს „ს ა დ გ ე რ ი ს ს ა ბ ა ჟ ო", XVII—XVIII საუკუნეების საბუთებში რომ მოიხსენება. თორის წყლის ხეობაში ამავე გზას უნდა მიუთითებდეს განთქმული მონასტერი XII საუკუნის წარწერით კიმოთისმანს და ციხეთა მთელი რიგი: თ ო თ ხ ა მ ი „გუჯარეთის ჩრდილოთ მაღალ მთის თხემსა ზედა", მ ო მ წ ვ ა რ ა ს, ს ა რ ბ ი ე ლ ა ს ზ ე ი თ დ ა ლ ე წ ი ს ა „სარბიელას ხევის თავს". ვახუშტი მისთვის ჩვეული დაკვირვებით აღნიშნავს ამ ხეობის ოდესმე მოშენებულობას. ძველს წერილობით წყაროთა ცნობებს ის შენობა-ეკლესიათა თუ ციხეების ნანგრევთა სიდიდე-სიმრავლეზე ამოწმებს...

უკვე ვახუშტის დროს, ისე, როგორც დღეს, „თორის წყლის ხეობას" სახელი შეცვლილი ჰქონდა. დასაწყისში (კიმოთის მანამ-

დის) მას ს ა დ გ ე რ ი ს, ხოლო შემდეგ გ უ ჯ ა რ ე თ ი ს ხეობა ეწოდებოდა: „გ უ ჯ ა რ ე თ ი ს გ ზ ე ბ ი“ დამოწმებული აქვს პაპუნა ორბელიანს. 1745 წელს სურამში მჯდომ აჯანყებულ გივი ამილახვარს ისაყ ფაშა ახალციხიდან მოშველებას ჰპირდებოდა. თეიმურაზ მეფემ გაგზავნა „პაპუა უზბაში საბარათაშვილოს ჯარით ხეობის გზების შესაკრავად“ და „ციციშვილი ფარსადანიც გაისტუმრეს ჯარით და გ უ ჯ ა რ ე თ ი ს გ ზ ე ბ ი შეუკრეს“ (საქ. ცხ. პაპუნა ორბ., 103).

(გუჯარეთზე, როგორც ეს ამ ამონაწერიდანაც ჩანს, მარტო თორის წყლის ხეობით არ მიდიოდა გზა—გუჯარეთი აქ თითქოს თემის სახელია, მართლაც, აქ თავს იყრიან ძამას და ტანას სათავეები. ამ მდინარეთა ხეობებით კი გზები ჯავახეთ-თრიალეთიდან მარჯვედ შედიოდა შიდა ქართლში...).

ჯავახეთიდან გზა, უეჭველია, თ ო რ ზ ე დ ა ც გ ა დ მ ო დ ი ო დ ა. თორი მთელი ამ ხეობების პატრონთა (თორელთა) მთავარსადგომი იყო. შ ა ვ ი წ ყ ლ ი ს ხ ე ო ბ ი თ ეს გზა ს ა დ გ ე რ ს ჩამოუვლიდა და მტკვრის ხეობის გზას უერთდებოდა. უ ზ ნ ა რ ი ა ნ ი ს ც ი ხ ე ამ გზას იცავდა.

გზა გორიდან ხეობისაკენ უეჭველია მტკვრის მარჯვენა ნაპირითაც მიდიოდა (გორი, ხვედურეთი, ქარელი, სამწევრისი, წრომი, ხცისი, ხოვლეთი, ბრბონა, სატივე, ახალდაბა), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გზა უფრო ნაკლები მნიშვნელობისა იყო. მის შესახებ ჩვენ მხოლოდ ნაგვიანევი ცნობები მოგვეპოვება. მტკვრის ორივე მხრით სავაჭრო გზას უსაცილოდ მოწმობს ვახტანგ V-ის 1661 წლის „გარიგება“, რათა გორის მებაჟეებმა მათ მიერ აღებული ბაჟების მესამედი კათალიკოზის მებაჟეს მისცენ. „რაც ქალაქიდამე, გინა სომხითსაბარათიანოდამე ანუ თრიალეთიდამე და ან კახეთიდამე ქართლით გ ა ღ მ ა-გ ა მ ო ღ მ ა მგზავრმა შეიაროს... რაც გორის მებაჟემ ბაჟი აიღოს, მესამედს ბატონის კათალიკოზის მებაჟეს ნუ დააკლებს“ (საქ. ც. არქივი ფ. 1448, საბ. № 1033).

* * *

შიდა ქართლი ქვემო და ზემო ქართლს არა მარტო თბილისი—გორისა და გორი—აწყურის გზებით უკავშირდებოდა. თრიალეთის მთებიდან გამოსული მდინარეები: ძამა, ტანა, თეძამი, კავთურა და ნიჩბისის წყალი მათი შენაკადებით ქმნიდნენ ხეობებს, რომლებიც შიდა ქართლს ბუნებრივად აკავშირებდნენ თორ—თრიალეთ—მანგლისთან. თორ—გუჯარეთი, თრიალეთი და მანგლისი კი გზასაყარი ქვეყნები იყვნენ, საიდანაც არაერთი მარშრუტი შიდა ქართლში შემოდიოდა სწორედ ამ ხეობებით. სხვადასხვა დროს ამ გზების

მნიშვნელობა ერთნაირი არ იყო. ზოგჯერ რომელიმე მათგანი გარკვეულს პოლიტიკურ პირობებში (მაგალითად X—XI საუკუნეებში) სამაგისტრალო გზის ხასიათს იღებდა და მისი მნიშვნელობაც ამისდა შესაფერისად იზრდებოდა, ზოგჯერ კიდევ მხოლოდ ადგილობრივ მნიშვნელობის გზად იქცეოდა ხოლმე.

აღნიშნული გზები მარჯვე და უმოკლესი მარშრუტები იყო, რომლებითაც შიდა ქართლი ქვემო ქართლს მისი მოსაზღვრე ქვეყნებით (სომხეთი) და ჯავახეთს უკავშირდებოდა. ამავე დროს საშუალო საუკუნეების სავაჭრო სატრანსპორტო საშუალებანი (აქლემების თუ ცხენების ქარავანი) ან კიდევ ლაშქართა სახეობა (მხედრობა თუ ქვეითობა) კარგად ეგუებოდნენ აღნიშნულ გზათა მთიანსა და ვიწრო ხეობიან პირობებს. ასე რომ ამ გზების ეკონომიური თუ პოლიტიკური მნიშვნელობა მას შემდეგაც არ გამქრალა, როცა განსაკუთრებული პოლიტიკური პირობები ხელს აღარ უწყობდა მათ სიცხოველეს.

ჩვენებანი ამ გზების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება, როგორც X—XII საუკუნეებიდან, ისე ნაგვიანევ ხანიდანაც. X საუკუნეში „იყო ერისთავად კლდეკართა რატი და ჰქონდა ც ი ხ ე ა ტ ე ნ ი ს ა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლისისხევი და სკჳრეთი“ (ქცა, მატ. ქ-დ, 240). კლდეკარის ერისთავის ასეთი მფლობელობა, რა თქმა უნდა, ამ სამფლობელოს ნაწილების დამაკავშირებელ გზებს გულისხმობდა და მათ ემყარებოდა. კერძოდ, ამ დროს უკვე არსებული ციხე ატენისა სწორედ შიდა ქართლიდან თრიალეთს მიმავალ ერთ-ერთი გზის მოდარაჯე პუნქტი იყო (XI საუკუნეში, როგორც ცნობილია, აქ ატენში ქალაქი აღმოცენდა). სამწუხაროდ, საბოლოოდ დღემდის დაუდგენელია, თუ სად იყო ციხე ძამისა, რომ ჩვენ შეგვძლებოდა ერთი ისტორიული ეპიზოდის სწორი გეოგრაფიული გაგება. ვახუშტი ძამის ციხეს ძოვრეთის ციხეს უიგივეებს. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ძამის ციხეს და მონასტერს ძოვრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით იმერხევის სათავეში უჩვენებს (იხ. საქ. ისტორიული რუკა)... პროფ. ალ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულ საქართველოს გეოგრაფიულ რუკაზე პუნქტი ძ ა მ ა აღნიშნულია მდინარე ძამას ნაპირზედ სამხრეთ-დასავლეთით ძოვრეთსა და ციხისვვერდიდან (არც რუსულ ხუთვერსიან რუკაზე და არც 1930 წლის „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ დაყოფაში“ ასეთი პუნქტი ნაჩვენები არაა). ყოველ შემთხვევაში უდავოა: ძამის ციხე მდინარე ძამის ხეობაში უნდა ყოფილიყო ამავე ხეობით მიმავალ გზაზედ.

X საუკუნის მეორე ნახევარში დემეტრე აფხაზთა მეფის წინააღმდეგ „უხმეს კაცთა ვიეთმე ამის ქუეყანისათა“ საბერძნეთში

წყოფ აფხაზთა უფლისწულს თეოდოსეს გამეფებას შეჰპირდნენ. „გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს და დადგა მარგისმერეს. უხმობდა მესხთა აზნაურთა, იკრებდა ლაშქართა... ხოლო დემეტრე მეფემან წარავლინა ლაშქარი თჳსი. დაესხნეს უგრძნეულად და გააქციეს თეოდოსი და წარვიდა ქართლს და მიმართა ადარნასე ძამელსა მთავარსა. შეიყუანეს იგი ძამის ციხესა და მუნით გამოღმართ ეძიებდა საქმესა თჳსსა“ (ქცა, მატ. ქ-ა, 234). დემეტრეს ლაშქარი ძამის ციხეს შემოერტყა. სამი თვის ალყის შემდეგ მორიგდნენ: თეოდოსიმ ბრძოლაზე ხელი აიღო და „წარვიდა წინაშე დავით კურაპალატისა“ ტაოს... მოყვანილი ეპიზოდიდან არა ჩანს, უფლისწული თეოდოსე რა გზით მივიდა ძამის ციხეში ან კიდევ რა გზით დაბრუნდა ტაოს. მეორე ეპიზოდი XIV საუკუნის დასაწყისისაა. ამ დროს ძამის ციხე გამრეკელ კახაძის ხელშია. გამრეკელი თორის სდუზერენია, შვილი ცნობილი ახალქალაქის ერისთავის კახა თორელისა. თორის ფეოდალის მიერ ძამის ციხის დაპატრონება დამახასიათებელია და ჩვენი მიზნისათვის ნიშანდობლივი. ისე როგორც კლდეკართა (თრიალეთის) პატრონი ბაღვაშები ტანას ხეობით მოიწევდნენ შიდა ქართლისაკენ და ატენს ეუფლებოდნენ, თორელებიც ძამას ხეობის გზას (თუ გზებს) მიჰყვებიან და ძამის ციხის დაჭერით ხსენებულ ხეობას თავიანთ სახლს შემოუმტკიცებენ.

XIV საუკუნის დასაწყისს ძამის ციხეს შემოადგა ბაყათარ ოსი, რომელსაც გორი დაეჭირა და თავის მფლობელობის გავრცელებას გაღმა მხარსა და თრიალეთში ლამობდა. მან წაართვა ძამის ციხე თორის პატრონს და თრიალეთიც არა ერთგზის დალაშქრა, სანამ სამცხის მთავარმა ბექამ არ ალაგმა მონღოლთა მიერ ხელშეწყობით თავგასული დამპყრობელი (ქცა, ჟ. აღმწ., 777 შენ.). თითქო ირკვევა: გორის ხელში ჩაგდების შემდეგ ოსები ძამის ხეობით გაღმა მხარს შეესივნენ და თორ-თრიალეთისაკენ მიიწევენ. ამ ხეობისა და გზის ხელში ჩასაგდებად მათ უნდა ძამის ციხე წაართვან თორელებს. ამ ხეობის ხელში ჩაგდებით ბაყათარ საშიში შეიქმნა მესხეთის მთავრისათვის, რომელიც წამოვიდა და იმავ ძამის ციხის აღებით ოსთა შემდგომი წინსვლა შეაჩერა. ნაგვიანევი ცნობები ამ გზის შესახებ უფრო ნიშანდობლივი მოგვეპოვება.

ერანის ხელისუფლება ქართლის მეფეს გიორგის უწყრებოდა და მის საწინააღმდეგოდ კახთბატონს ერეკლეს უჭერდა მხარს. 1695 წელს „მოვიდა ქალბალი-ხან ხუნანს სპითა დიდითა. მიეგება მას ერეკლე მეფე, ხოლო გიორგი დადგა დიდგორსა ზედა... საზარალიხან და ქალბალი-ხან შემოვლნეს სომხითი, დბანის-ხევი და დასდგნენ ყარაბულაღს. და გიორგი მეფეცა მივიდა და დასდგა

კლდეკარს“. აქ გიორგის თავადებმა დაუშალეს შებმა, შინაგამცემელ ექმნეს... ყარაბულახიდან წარმოავლინეს „ქაიხოსროს ლოპინა (ციციშვილი)“ სპითა. ამან გარმოვლო მთა თორისა გუჯარეთსა ზედა და დასდგა გ ვ ე ძ ი ნ ე თ ს“. მეფე გიორგი კლდეკარიდან მოვიდა კ რ კ ო ნ ს, „აჰყვა დედაწული... და წარვიდა იმერეთს“ (საქ. ცხ., 101).

გუჯარეთიდან (ძველი თორიდან) საციციანოში გარდამავალ გზებს ვახუშტიც ასახელებს თავის გეოგრაფიაში. „ძამის ხევს გვეძინეთის დასავლით მოერთვის ჴევი აბუხალოსი. აქიდამ გარდავალს გზა გუჯარეთის რაჭის ხევზედ“... „აბუხალოს დასავლით გარდავალს გზა გუჯარეთს“ (გეოგრაფია, 55).

ძამის ხეობით მიმავალი გზა გაუვლიდა ციხეებს: ს ა მ წ ე ვ რ ი ს ს, მ ძ ო რ ე თ ს, გ ვ ე ძ ი ნ ე თ ს. გვეძინეთში გზა განშტოვდებოდა. ერთი ძამასვე მისდევდა. მას ახალს გზასაყარზედ ციხე ს ხ ლ ე ბ ი სდარაჯობდა (პროფ. ალ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ რუკაზე „სხლების“ ადგილას ნაჩვენებია „ძ ა მ ა“, რუსულ ხუთვერსიან რუკაზე კი ეს ადგილი უსახელოდაა დატოვებული). მეორე შტო აბუხალოს წყალს მისდევდა. აბუხალოს დასავლით, გუჯარეთს გადასვლამდის ამ გზას ა ლ ე რ ს ი ს (თუ ალეწის) ციხე მეთვალყურეობდა. გუჯარეთში გადასული კი ის ც ი ხ ე მ ო მ წ ვ ა რ ა ს რაიონში იყო.

ქალაქი ზოვრეთი ძამას ხეობაში, ისე როგორც ატენი ტანას ხეობაში, ნიშანდობლივია. კიდევ უფრო ნიშნეულია ჩვენი ამოცანისათვის, რომ X საუკუნეში ამ ხეობის აზნაურთ „აზნაურნი საზუერელნი“ ეწოდებათ. აქედანვე ჩანს, რომ ეს „საზუერე“ ამ ხეობაში X საუკუნეზედ გაცილებით წინა დროის წარმონაქმია (X საუკუნეში ტერმინი „ზუერი“ დიდი ხანია უკვე „ბაჟით არის შეცვლილი). საზვერე კი სავაჭრო გზის გარეშე წარმოუდგენელია. დასასრულ ვახტანგ V-ის ზემოთ დასახელებული „გარიგება“ ბაჟების შესახებ, რომელიც „ძუელითგან ხელმწიფეთაგან“ გარიგების განახლებას წარმოადგენს, პირდაპირ ასახელებს ქართლში „თრიალეთიდამე“ მომავალ სავაჭრო საქონელს: „რომელმაც მგზავრმა თრიალეთიდამე მზოვრეთს ზედათ და ან ქუეშეთ ჩამოიაროს, იმისც ბაჟის მესამედი კათალიკოზისა არის“, ან კიდევ: „რაც... მგზავრმან... მზოვრეთსა და მას ქუეშეთ თრიალეთიდამე ჩამოიარაოს, რაც გორის მებაჟემ ბაჟი აიღოს, მესამედს ბატონის კათალიკოზის მებაჟეს ნუ დააკლებს“.

ვახტანგ V-ის გარიგების წიგნი, როგორც ვხედავთ, ითვალისწინებს სავაჭრო გზებს თრიალეთიდან არა მარტო ზოვრეთზე, არამედ მის „ქუეშეთ“ და „ზედათაც“. უეჭველია, გამოთქმაში „ზოვრეთის

ზედათ“ იგულისხმება გვერდინეთ-ციხისგვერდიდან და სხლებიდან (ძამა), გარდამავალი გზები ხცისსა და კრისისხევს, ხოლო გამოთქმაში „მზოვრეთს ქუეშეთ“ იგულისხმება თრიალეთიდან ველის (ვერის — ნ. ბ.) ციხეზედ (პროფ. ივ. ჯავახიშვილით: „ძამის ციხე“) გამოვლით (იმერხევის ხეობის სათავეში) წამოსული გზები ზღუდერს, ხვედურეთს თუ სკრას.

გზა თრიალეთიდან ტანას ხეობით აგრეთვე არა ერთგზისაა დამოწმებული. თრიალეთის პატრონი, ქართლის ერისთავი ლიპარიტ მეფე ბაგრატ IV ებრძოდა... 1045 წლის ახლო დროს „გამოიყუანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი სამეფოთა (ე. ი. კონსტანტინეპოლით) ბერძნეთა მეფისა ლაშქრითა, მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს; მოადგეს ატენს“ (ქცა, მატ. ქ-ა, 260). მოყვანილ მოწმობაში „ზემო ქუეყანა“ შემდგომდროინდელ საათაბაგოს ეწოდება. გამოთქმა „ჩამოვიდეს ქართლს“ შეეფერება, როგორც ხეობით, ისე თრიალეთიდან ჩამოსულს. მაგრამ ამ „ჩამოსული“ ლაშქრის მიერ პირველ თავში ატენის „მოდგომა“ გვაფიქრებინებს, რომ „ზემო ქუეყნიდან“ ლიპარიტი და დემეტრე თრიალეთზე გამოვლით ლაშქრობენ ქართლს. ამ მოსაზრებას მხარს ის გარემოებაც უჭერს, რომ თრიალეთი ლიპარიტის ძირეული სამფლობელო და საყრდენი იყო მისი ბაგრატთან ბრძოლის დროს და აქედან გადმოსვლა შიდა ქართლის ცენტრში მისთვის უფრო მარჯვე და მოხერხებული იყო. თუ ეს ასეა, მაშინ ლიპარიტ-დემეტრეს ეს ლაშქრობა თ რ ი ა ლ ე თ-ტ ა ნ ა ს ხ ე ო ბ ი თ ა ა საგულვებელი.

XII საუკუნის დასაწყისს დავით II სასტიკად ებრძვის თურქთა ჩამოსახლების ცდას საქართველოში და სულ უფრო და უფრო ავიწროებს მათ. 1110 წელს, როცა ქართველებმა „სამშვილდე აიღეს, მას წელსა მოვიდა ძალი სულტნისა და ყოველი თურქმანობა კაცი ვითარ ს-ჩ, უგრძნეულოდ სიმარჯუეთ, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა, ცნა რა მოსულა მათი, მიმწუხრ თრიალეთს ღამე ყოველ წარვიდა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესე ოდენნი დახუდეს მას წინაშე. ცისკარსა მოვიდეს თურქნი“... (ბრძოლა მოხდა და თურქები ივლტოდნენ). ქცა, დავ. ისტ., 297. ეს გზაც თითქო აშკარაა: ნაჭარმაგევი—გორი—ტანას ხეობა, თრიალეთი. მთელი ეს გზა ლაშქარს ერთს (ზაფხულის) ღამეს გაუვლია. თრიალეთიდან ქართლში და პირუკუ მიმოსვლის ცნობები ჩვენ არა ერთი მოგვეპოება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ცნობები იმდენად ნიშანდობლივი არ არიან, რომ შეიძლებოდეს დადგენა, თუ სახელდობრ რომელი ხეობით მოხდა ესა თუ ის მოგზაურობა. მაგალითისათვის: XII ს. 60-იანი წლები. ანისს თურქთა კოალიცია შემოადგა. მეფე გიორგიმ

ცნა ესე... „ნაჭარმაგევსა, სახლსა სათამაშოსა შინა"... მსწრაფლ წარვიდა და „გარდამავალი მთათა შთავიდა შირაკად" (ისტ. და აზმ., 369—370).

ან კიდევ:

XIII ს. 60-იანი წლები. მონღოლთა უფლისწული თეგუთარ, აბაღა ყაენის წინააღმდეგ შეთქმული, ქართლში მოემწყვდა.—დასავლეთ საქართველოში შემავალი გზები მას ნარინ დავითმა ჩაუხერგა. აბაღამ სირმონ ნოინი გამოგზავნა ლაშქრით თეგუთარის წინააღმდეგ. „მოვიდეს თ რ ი ა ლ ე თ ს, მოუწოდეს მეფესა დავითს (ულუს—ნ. ბ.) და სპათა მისთა. რამეთუ მეფე სნეულობდა მას ჟამად და წარმოავლინა ყოველნი მთავარნი მისნი სირმონთანა და შ თ ა ვ ი დ ა ს ი რ მ ო ნ ქ ა რ თ ლ ა დ და ცნა თეგუთარ მოსვლა სირმონისი, წინა განეწყო... (ქცა. ჟ. აღმწ., 700).

მარშრუტი თრიალეთიდან ქართლში ტანას ხეობით არაერთგზის არის ნაგულისხმევი ან პირდაპირ დასახელებული ნაგვიანევ წყაროებში. ამ გზით წაიყვანეს გორიდან ლორეში ვენეტიკის ელჩები XV საუკუნეში. ამ გზით წავიდა ერევანს და იქიდან ისპაანს ქართლის მეფე გიორგი 1695 წელს. იმერეთს ლტოლვილი მეფე გიორგი დაბრუნდა, „ალს მოვიდა. აქედან წარუძღვა მეჰმანდარი დიდითა პატივითა, ჩავლო ქართლი, შევლო ატენი, განვლო თრიალეთი, აბოცი და მივიდა ერევანს" (საქ. ცხ. ჟაქ. ჭ-ძის გამ., 102). XVIII საუკუნეში ლეკები მრავალგზის მიდიან შიდა ქართლიდან (სურამიდან) საციციანოზე გავლით თრიალეთსა თუ სომხით—საბარათიანოში ან კიდევ თრიალეთს (წალკას) მსხდომნი ჩამოდიან და არბევენ საციციანოს თუ ზემო ქართლს. ერთი ამ ეპიზოდთაგან უფრო ნიშანდობლივია და ტანას ხეობით მიმავალ გზის ერთ-ერთ პუნქტს ასახელებს. 1743 წელი იყო. ნადირშას წინააღმდეგ აჯანყებული გივი ამილახორი ლეკების დასტებს უსევდა ერანის შომხრე სათავადოებს. „გამოვიდა ლეკის ჯარი (სურამიდან) საციციანოზე ჩამოიარეს. გაუსივა ჯარი აჯიხანმა. მოვიდა ლეკის ჯარი, ბ ო ბ ნ ა ვ ი ს თავს ჩამოხდენ. აქ მოხდა ომი (საქ. ცხ. პაპუნა ორბ., 78). ბ ე რ ი ს ც ი ხ ე (თუ ვერის), ა ტ ე ნ ი ს ც ი ხ ე, ც ი ხ ე კ ი კ ა ნ ა თ ბ ე რ ი ამ ხეობით შემავალ გზის დასაცავი თუ საექსპლოატაციო პუნქტებია. ამავე ხეობაში შემავალ გზებს უდგანან წ ე დ ი ს ი ს და ვ ე რ ი ს ციხეებიც.

დასასრულ, ვახტანგ VI თავის დასტურლამაში ტანას ხეობის გზას (თუ მის ნაწილს) ბ ა თ ლ ო მ ი ს გ ზ ა ს უწოდებს და დაადგენს: „უნდა შეინახონ საკაძემ, გლურჯიძემ და ატენელთ და იმ ხეობამ ბათლომის გზა" (დასტურლამალი, 22).

თრიალეთ—მანგლისიდან შიდა ქართლში თ ე ძ მ ი ს ხ ე ო-



ბით მომავალი გზები სამი სხვადასხვა პუნქტიდან გამოდიოდა: თეძმის სათავიდანვე, კლდეკარიდან და მანგლისიდან. პირველი მათგანი გამოივლიდა ჭ ვ ა რ ე ბ ს, დ ე დ ა ც ი ხ ე ს, ხ ე ვ დ რ მ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ს, რკონის მონასტერს, რკონის ციხის რაიონში შემოდიოდა; მეორე მარშრუტი კლდეკარიდან ს ა ლ ო მ ი ა—ს ა მ ა ჭ ა ლ ო ზ ე ჩამოვლით რკონის ციხესვე ჩამოდიოდა; მანგლისიდან მესამე მიმართულებ: „გ ო ს ტ ი ბ ი ს თ ა ვ ს" გამოივლიდა და იმავ რკონის ციხის რაიონში აღმოჩნდებოდა. რკონის ციხიდან გზები მიდიოდა: თეძმის კალაპოტით; ხეობიდან გასავალს ამ გზას „მაღალს კლდესა ზედა, ჩაგარი, მდინარესა ზედა თეძმისასა" ზენადრის ციხე უდარაჯებდა; აქედან გზა ხსნილი იყო დოესის მინდვრით გორისაკენ (ქვახრელ-უფლისციხისაკენ) ან კიდევ ახალქალაქით თბილისისაკენ. მეორე გზა რკონის რაიონიდან, ეს „ქვენადრის გზა" იყო; ის მდინარე თეძამის მარჯვენა ნაპირზე იკვ — ჩაჩუბეთ — ქვენადრისზე გამოივლიდა და ერთაწმინდა — ახალქალაქში შემოდიოდა. თეძამის მარცხენა ნაპირით ფიცეს — საორბისზე მესამე გზა მიდიოდა.

ძველი დროის წერილობითი ჩვენებანი ამ გზების შესახებ ჩვენ არ ვიცით. ერთად ერთი მაგალითი, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ძველი დროიდან, უდავო არაა. XI საუკუნის 65-იანი წლები იყო. ქართლის მეფე ბაგრატმა სამშვილდის მეფეს კვირიკეს სთხოვა ქალი (ძმის ასული) თურქთა სულტნის ალფარსლანისათვის გასაგზავნად. სამშვილდის მეფემ ეს არ ისურვა. ბაგრატმა „აბირნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა და სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალას და აცნობეს ბაგრატს და წარვიდა ქუახრელთად მსწრაფლ და მოგუარნეს პყრობილნი კ ლ დ ე კ ა რ თ ა ქუეშე". (ქცა, მ. ქ-ა, 269).

„ქუახრელთად მსწრაფლ" „კლდეკართა ქუეშე" მისვლა ყველაზედ მარჯვედ ბაგრატ მეფეს თეძმის პირით—რკონით—სამაჭალო—სალომიათი შეეძლო.

მიუხედავად წერილობით მოწმობათა ნაკლებობისა ამ გზების ძველი დროიდანვე არსებობა ჩვენ არ გვეეჭვება. X—XII საუკუნის ძეგლები: კრკონი (ტაძარი), იკვი (ეკლესია), საორბისი (ეკლესია), ახალქალაქი (XVII საუკუნეში აღდგენილი), ჩოჩეთი (ეკლესია), მეტეხი (XII საუკუნეში გადაკეთებული) და უეჭველო ნაგვიანევი (ეს ციხეთა რაზმი) დედა ციხე, კრკონის ციხე და ზენადრისის ციხე (საბაჟო საყარაულო—საბოლიებით და ხიდებით) უდავოდ მოწმობენ როგორც ამ გზების არსებობას, ისე იმ გარემოებასაც, რომ განსაკუთრებით ცხოველი ეს გზები X—XII საუკუნეებში იყო, ე. ი. იმ დროს, როცა თრიალეთი აგრე დიდმნიშვნელოვანი

პროვინცია იყო ფეოდალური საქართველოს ეკონომიურსა და პოლიტიკურს ცხოვრებაში.

ერთ-ერთი ამ გზის ძველადვე არსებობის, ყველაზედ უფრო დამაჯერებელი მოწმობა ეს თვით გეოგრაფიული სახელი კ ლ დ ე- კ ა რ ნ ი და IX საუკუნეში აქ აგებული ციხეა. არსებობდა თუ არა ძველ დროსვე გზა კლდეკარზე გავლით გოსტიბე—ცხირეთზე ან ვარჯაან—თვალადზე, ჩვენ არ ვიცით: საამისო მოწმობანი არ გაგვაჩნია, თუმცა ამის სასარგებლოდ მოსაზრებათა მოყვანა არაერთის შეიძლებოდა...

ლაშქრით კლდეკარიდან კრკონს და აქედან ქვემოთ მგზავრობის ერთად ერთი მოწმობა ჩვენ 1695 წლიდან მოგვეპოება. ქართლის მეფე გიორგი ლაშქრით კლდეკარს იდგა. ზურტაკეტში ყარაბულახს კი მისი მოწინააღმდეგენი—ქალბალიხან ყიზილბაშებით და ნაზარალიხან იდგნენ. რაკი დარწმუნდა, რომ საქმე წაავო (თავადები გადაუდგნენ), „მეფე გიორგი კლდეკარიდან მოვიდა კრკონს... აჰყარა დედაწული და წარვიდა იმერეთს“ (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ., 100). თეძმის ხეობით მომავალ გზების შენახვას ვახტანგ VI საჯავახიანოს ავალებს: „უნდა შეინახონ“ „საჯავახიანომ მელესის და თავიანთ გზა“ (დასტურლამალი, 22).

მელესი თეძმის მარჯვენა ნაპირზე მდებარე პუნქტია ქვენადრისა და ჩაჩუბეთის ხაზზე. „მ ე ლ ე ს ი ს გ ზ ა“ ამიტომ შეიძლება იგივე ზემოდასახელებული „ქვენადრის გზა“ იყოს. მეორე გზას ვახტანგი „ს ა ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ო ს გ ზ ა დ“ გულისხმობს. ეს უნდა თეძმის მარცხენა ნაპირზე ფიცეს-საორბისით ხოვლეზე მიმავალი გზა იყოს.

შიდა ქართლიდან მანგლისისაკენ გზები რამოდენიმე მიმართულებით მიდიოდა.

1. ახალქალაქ—ცხირეთზე, 2. მდინარე კავთურის ხეობით (თვალადი — წინარეხი — ბოტისი; ან თვალადი — წინარეხი — ქვათახევი — ციხე კავთა). ნიჩბისის ხევით (ოხერა — ნიჩბისი — ციხე-კავთა) და ძეგვის ხევით (ძეგვი — ხეკორძი — კოშკი); ციხე კავთა, როგორც ჩანს, კონტროლს უწევდა მანგლისიდან შიდა ქართლში მიმავალ მთავარ გზებს ნიჩბისზე და თვალადზე (ვახუშტით: თვალივი). როგორც ნიჩბისი, ისე თვალადი მეფეთა სადგომი ადგილი იყო.

მანგლისიდან შიდა ქართლში და პირუკუ მიმოსვლის მოწმობანი ჩვენ არა ერთი მოგვეპოვება როგორც ძველი, ისე ნაგვიანევი დროისაც. ლეონტი მროველით ჯერ კიდევ IV საუკუნეში, როცა ახლად მოქცეულ მირიან მეფეს რომის კეისარმა კონსტანტინემ გამოუგზავნა იოანე ეპისკოპოსი, „მღუდელნი და ხურონი ფრიად მრავალი“, „ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქვან ერუშეთი და

დაუტევნა მუნ ხურონი საქმედ ეკლესიისა და დაუტევნა განძი და სამსჯუალნი უფლისანი და წარმოვიდა და მოვიდა მ ა ნ გ ლ ი ს ს და იწყო ეკლესიასა, დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი" (ქცა, ლ. მრ. 99). აქედან კეისრის წარმოვლენილები მცხეთას მოვიდნენ და გარეუბნის ეკლესია ააშენეს (იქვე, 99).

XI საუკუნის ათიან წლებში ბაგრატ III კახეთის წინააღმდეგ ლაშქრობს. ტაოდან ის „წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გ ა ი ა რ ა თ რ ი ა ლ ე თ ი, გ ა ვ ლ ო ხ ი დ ი მ ც ხ ე თ ი ს ა და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი, დადგა თიანეთს და იწყო შემუსრვად კახეთისა" (ქცა, მატ. ქ-ა, 242).

თრიალეთზე გამოვლით, კახეთს ლაშქრობას აპირებს დავით კურაპალატიც. X საუკუნის 80-იანი წლები იყო. ქართლის აზნაურებმა უღალატეს მეფე ბაგრატს, უფლისციხე გასცეს. „ცნა ესე კურაპალატმან (დავით),... გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა, მ ო ვ ი დ ა თ რ ი ა ლ ე თ ს შ თ ა ს ლ ვ ა დ კ ა ხ ე თ ა დ და რაჟამს ცნეს კახთა... მოუპყრეს პირი ზავისა" (ქცა, მატ. ქ-ა, 238).

თრიალეთიდან კახეთს პირდაპირი გზა, ზემოთ მოყვანილ ეპიზოდების ხანაში, ეს მ ა ნ გ ლ ი ს-მ ც ხ ე თ ი ს გ ზ ა ი ყ ო. მანგლისიდან დიდგორისა თუ სხალდიდის გადალახვით გზები მიდიოდა ნიჩბისზე ან კოშკ-ძეგვზე. დიდგორნი ეწოდებოდა თრიალეთის მთის იმ ნაწილს, სხალდიდ—სათოვლიასა და კლდეკარის თრიალეთს შორის რომ არის გადაჭიმული. დიდგორთა გამოდიან მდინარეები ნიჩბისის წყალი, კავთურა (ბოტისისა და გუდარეხის ხევებით) და სკვრეთის მდინარე (—ვერე). დიდგორთავე იყო „საზაფხულო სადგომი" მეფეთა. სამწუხაროდ, წყაროები სახელდებით არ უჩვენებენ დიდგორთა იმ პუნქტს, სადაც სამეფო საზაფხულო სადგომი იყო („კოშკი" ან „დიდგორი", შესაძლებელია, ერთ-ერთ პუნქტსაც ეწოდებოდა). ადგილობრივი მოკვლევა ამ საკითხს უსაცილოდ გადაწყვეტდა.

XI საუკუნის 65-იანი წლები იყო. ბაგრატ მეფე „გარდმოვიდა ქართლად და ჩადგა დიდგორთა, რამეთუ საზაფხულო მეფეთა სადგომი არს ადგილი იგი". აქედან მეფემ წარავლინა ლაშქარი განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, რომელიც თბილისიდან წამოსულიყო და მუხრანს არბევდა (ქცა, მატ. ქ-ა, 272—273).

1121 წელს, 12 აგვისტოს თურქთა დიდი კოალიციური ლაშქარი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლის(ს) და დიდგორთა" (ქცა, დავ. ისტ. 306). მეფე დავით 61 ათასი მეომრით შეება მომხდურთ 15 აგვისტოს და სასტიკად დაამარცხა ისინი. ამ ომში ორთავე მხრით, სულ მცირე, ასი ათასი მეომარი იღებდა მონაწილეობას. ომი დიდ-

გორთა მოხდა. აშკარაა: მომხდურთა წინააღმდეგ დავით მეფეს ნიჩბისისა და თვალადის გზებით უნდა მიეყვანა თავისი ლაშქარი.

თურქთა კოალიციის დიდგორთან მოსვლა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. მტკვრისა, ძამასი, ტანასი, თუ თეძამის ხეობები გაცილებით შორი, ღრმა, ვიწრო, ტყიანი და ამდენადვე „საჭირო“ და სახიფათონი ჩანდნენ. ამიტომაც კოალიციურმა ლაშქარმა თავი მოარიდა მათ და უმოკლესი (და უკეთესი?) გზებით სცადა შიდა ქართლში შემოჭრა და მისი დაპყრობა.

ხსენებული გზების შესახებ უფრო ნაგვიანევი ხანიდანაც მოგვეპოვება მოწმობანი.

1609 წელს თურქ-ოსმალთა მოლაშქრე ყირიმელი თათრების ჯარი ბაღდადიდან ყირიმისაკენ მიმავალნი „გზასა ზედა ქართლისასა“ წამოვიდნენ. ცხინვალს მდგომმა ქართლის მეფე ლუარსაბმა „წარავლინა იარალი, რათა შეკრას გზანი“. თვით მეფე ცხირეთს მოვიდა. იარალიმ გზები ჩახერგა. თათრებმა ისა და მის ქვეშეთ დაწესებულნი სულ გაჟლიტეს. „მოვიდეს და დაწვეს მანგლისი და კველთა“. აქ ერთი ხუცესი შეიპყრეს მეგზურად. ფიქრობდნენ ცხირეთზე მოულოდნელად მისვლას და მეფის ხელში ჩაგდებას. ღვდელმა თავი გასწირა. თათრები პირდაპირ ცხირეთზე არ წამოიყვანა, არამედ „წარმოუძღვა მღვდელი იგი გოსტიბის თავსა ზედა და ჩამოიყვანნა ქვენადრის გზასა (ხუცესი მოკლეს). შთამოსრულთა თათართა მოიცვეს ერთაწმინდა და ახალქალაქი“ (საქ. ცხ. ზაქ. ჭიჭ. გამ. 55).

„დიდმოურავიანი“ აქ შემდეგ ცნობებს უმატებს: „თათარხნის ჯარი ჯერ თრიალეთს მოვიდა, ხოლო აქედან მანგლისს. აქ კველთა ოძისი დაავდეს“. „კველთას თევდორე შეიპყრეს“ აქედან „ერიქალაქზედ ავიდნენ, ხუცესი წინამძღოლია.“ „...გოსტიბის თავს რომ მოვიდეს“ ხუცესს უთხრეს: „მეფეზედ მიგვიძეღ“. ღვდელი კი „ერთაწმინდაზე ჩაუძღვა, გზა ჩავლო ქვენადრისანი“ (დიდმოურავიანი, 6—7).

მოყვანილ ეპიზოდის მომთხრობელი აქ ორ გზას გულისხმობს მანგლისიდან: 1. პირდაპირ ცხირეთის ციხეზედ მომავალს და 2. გოსტიბის თავით ქვენადრის გზას ახალქალაქზე. პირველი, ეს ცხირეთ „გოსტიბის გზა“, რომელიც ვახტანგ VI დასტურლამალით „თარხნის მამულმა, ოძელთ, ცხირელთ უნდა შეინახონ“.

გოსტიბის გზა გამოიარა გიორგი სააკაძემ წავკისიდან რომ ილტვოდა.

„დიდგორი გადმოვიარე
გზა ჩავვლე გოსთიბისანი“

სააკაძე ნოსტეს მისვლას ისწრაფოდა. უნდოდა თავი და ცოლშვილი გაწყვეტას გადაერჩინა. ბუნებრივია, უმოკლესი გზით ივლიდა (დიდმოურავიანი, 22).

მეორე, იგივე მ ე ლ ე ს ი ს გ ზ ა ა, რომლის შენახვა საჯავახიანოს ადევს კისრად (დასტურლამალი, 22). „1695 წელს მოვიდა ქალ ბალიხან ხუნანს სპითა დიდითა... მიეგება მას ერეკლე მეფე, ხოლო გიორგი მეფე დადგა დიდგორსა ზედა... ნაზა-ალიხან და ქალბალიხან შემოვლნეს სომხითი, დბანისხევი და დასდგენ ყარაბულახს. გიორგი მეფე მოვიდა და დადგა კლდეკარს“ (საქ. ცხ. ზაქ. ჭ., 100). შიდა ქართლიდან (სათარხნოდან) დიდგორზე გარდამავალ გზას გულისხმობს პაპუნა ორბელიანიც მის მიერ მოთხრობილ შემდეგ ეპიზოდში: 1756 წ. „მიუხდა ცხენოსანი ლეკის ჯარი. წაახდინეს სათარხნოს სოფლები, გამოუდგა ქართველი ბატონი თეიმურაზ საქართველოს ჯარით, მიეწივა დ ი დ გ ო რ ზ ე, გაემარჯვა დიდად“ (საქ. ცხ. პაპუნა ორბ., 233).

დიდგორთა და სხალდიდზე გარდამავალ გზების შენახვას ვახტანგ VI დასტურლამალი შემდეგნაირად აწესრიგებს: „უნდა უთაონ საგინაშვილებმა თავეთის მამულითა, კოშკის გზა შეინახონ.

კავთისხევმა, წინარეხმა და საქუათახევომა—თავეთი გზა; ნიჩბელთ—თავეთი მთა; ციხედიდელთ, ძეგველთ—თავეთი მთა“ (დასტურლამალი, 22).

მანგლისის (ალგეთის) ხეობიდან დიდგორით შიდა ქართლში გარდამავალ გზებს გულისხმობს, ვფიქრობთ, 1661 წელს განახლებული საკათალიკოზო ბაჟების ძველი გარიგების წიგნი:„..რაც სომხით-საბარათიანოდამ... ქართლით გაღმა-გამოღმა მგზავრმა შეიაროს,... რაც გორის მებაჟემ ბაჟი აიღოს, მესამედს ბატონის კათალიკოზის მებაჟეს ნუ დააკლებს“ (ც. არქ. ფ. 1448 საბ. № 1033) მოყვანილ საუბარში ცალცალკეა დასახელებული გორის საბაჟო რაიონში (შიდაქალაქში) შემომავალი გზები: „ქალაქიდამე, გინა სომხით საბარათიანოდამე და ან კახეთიდამე ანუ თრიალეთიდამე... სამცხიდამე და იმერეთიდამე“...

იოსებ ტფილელს თავის დიდმოურავიანში მოჰყავს ცნობა გიორგი სააკაძის ლაშქრობის შესახებ გორიდან საბარათიანოში. 1625 წელი იყო. მარაბდის დიდი ომის შემდეგ ყიზილბაშები ქართლის დაჭერას ცდილობდნენ. ქართველები სააკაძის მეთაურობით სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ დროს ქაიხოსრო ბარათაშვილმა ბირთვისის ციხე ყიზილბაშთ გადასცა, რითაც „ქართლს ზურგი შოსტეხა“. ციხეში ხუთასი ყიზილბაში მეთოფე შევიდა. ბარათაშვილი იქვე ახლოს, ალგეთის პირს, ტბისს იყო სასახლეში. სააკაძე ამბობს:

ვთქვი სასახლეში მონახავ, სად რომე ცაცხვი ურგია.
...გ ო რ ი დ ა მ  წ ა ვ ე ლ  ს ა ღ ა მ ო ს, ტ ბ ი ს ს  მ ი ვ ე ლ  რ ო მ ე
ი ნ ა თ ლ ა

სასახლეს გარს შემოვერტყი
სასახლეს გარდა შინათა
(დიდმოურავიანი, 49).

სამწუხაროდ, ნიშანდობლივ არ ჩანს, რომელი მარშრუტით წავიდა სააკაძე, რომ აგრე სწრაფად განვლო გზა გორიდან—თბილისამდის. შეიძლება იმავე გზით, რომლითაც ის ერთხელ წავკისიდან ივლტოდა ე. ი. მ ა ნ გ ლ ი ს — გ ო ს ტ ი ბ ე — ც ხ ი რ ე თ ი ს  გ ზ ი თ?..

ვახტანგ VI-ის დასტურლამალი კიდევ რამოდენიმე გზას ითვალისწინებს, რომელთა „შენახვას“ ახლო სოფლებს ავალებს.

„უნდა უთაონ რევისშვილებმა წრულელთ, ნახშირის გორელთ, კვესელთ და  შ ა ვ წ ყ ლ ი ს  გ ზ ა  უნდა შეინახონ.

უნდა უთაონ თულაშვილებმა თაკველთ, ღვეველთ, დრელთ, ვანათელთ და თულაანთ მამულმან  ფ ა ნ ჯ რ ე ბ ი ს  გზა შეინახონ.. გაბაანთ და თურქისტანიანთ  ს ა თ ო ვ ლ ი ს  დ ა  ნ ა ხ შ ი რ გ ო რ ი ს  გ ზ ა (უნდა შეინახონ)“.

პირველი ორი—შავწყლისა და ფანჯრების გზა—ეს მანგლისის სანახებიდან სკვირეთის (ვერე) ხევში შემომავალი გზებია. გადმოსავლებში მათ სდარაჯობენ წვერისა და ლასტის ციხეები. სათოვლის გზა კი ამ სახელის მთით დიღმის წყლის ხეობაში გადმომავალი გზაა თითქო.

* * *

თბილისიდან ჩრდილოეთისაკენ მთავარი გზა ამიერ და იმიერარაგვთა ხეობებით და დარიალის კარის გავლით ჩრდილო კავკასიაში შედიოდა.

როდის შეიქმნა ეს გზა, ცნობილი არაა. ლეონტი მროველის წარმოდგენით დარიალის გზა, ისე როგორც სხვა გზებიც კავკასიონზე, პირველად თარგამოსიანთ ე. ი. იაფეტიდებმა გაიტანეს. იმიერკავკასია, მისი აზრით, პირველად სამხრეთიდან მოშენდა. როცა თარგამოს ამიერკავკასიას თავის შვილებს უნაწილებდა, „კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა, არამედ იყო არაკაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკჳდრო იყო ქვეყანა იგი კავკასიიდგან მდინარედმდე დიდად, რომელი შესდის ზღუა დარუბანდისასა. ამისთჳს გამოიყუანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი ლეკან და კავკასი და მისცა ლეკანს ზღუათაგან დარუბანდისათა ვიდრე მდინარემდე ლომეკს,[1] ჩდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისათა და მისცა კავკასის მდინარეთაგან ლომეკის ვიდრე დასასრულამდე კავკასისა“ (ქცა, ლ. 3).

ამრიგად, ეს უშენი და უმკვიდრო ქვეყანა სამხრეთიდან მოშენდა, შემდეგ... „განძლიერდეს ხაზარნი და დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასიოსთა“. ამათ კი სამხრეთ თარგამოსიანები მოიწვიეს შველად. უკანასკნელნი „შეკრბეს... გარდავლეს მთა კავკასია და მოტყუენნეს ყოველნი საზღუარნი ხაზარეთისანი და აღაშენეს ქალაქნი პირსა ზედა ხაზარეთისასა და წარმოვიდეს“... (ქცა, ლ. 7—8).

ამის საპასუხოდ წამოვიდნენ ხაზარები „გამოვლეს ზღუისკარი, რომელსა აწ ჰქჳან დარუბანდი, ვერ წინააღუდგეს თარგამოსანნი“... და ი ს წ ა ვ ე ს ხაზართა ო რ ნ ი ვ ე ე ს ე გ ზ ა ნ ი, რომელ არს ზღუის კარი დარუბანდი და არაგუის კარი, რომელ არს დარიალი“... (ქცა, ლ. 8—9).

ვახუშტის აზრით, „დარიელას“ „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათჳს, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენ“ „გ: მეფემ მირვან“ (ე. ი. III ს. ქ. წ.). ჯუანშერით კი ვახტანგ გორგასალმა „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდით და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა, ოვსთა და ყივჩაღთა, თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“. (ქცა, ჯ., 134).

ამიერკავკასიაში არაბთა მფლობელობის დამყარების შემდეგ, დარიალის კარებს ურთიერთს ეცილებიან არაბები და ხაზარები. „და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალისა და დარუბანდისა“. VIII საუკუნეში დარიალის კარით და გზით სარგებლობენ როგორც ხაზარები, ისე ქართველებიც. „მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თვისი ბულჩან, გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად, მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყუნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან და მცირე დღეთა წარიღო და ტყუე ყუნა იგინი. შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყვევნა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა და ვითარცა წარემართა გზასა დარიელისასა“... (ქცა, მატ. ქ-ჲ 216).

781 წელს ქართლიდან ლტოლვილმა ნერსე ერისთავმა „განვლო.. .კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის“... (წამება... ჰაბოისი, გვ. 64. პროფ. კ. კეკელიძის გამოცემა).

მოხსენებულ გზას და დარიალის კარს განსაკუთრებული მნიშვნელობა შემდეგ საუკუნეებში ეძლევა, როცა სამხრეთის ხალხებმა ამიერკავკასიის და ჩრდილოეთს ქუეყნებთან (ხაზარეთი, ბულღარეთი, ყივჩაყეთი, რუსეთი...) ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა გააჩაღეს.

XII საუკუნეში დარიალის კარს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დავით აღმაშენებელმა. 1118 წელს მან „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისა თანა და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვს და გამოიყუანა სიმრავლე ფრიადი“ (ქცა, დავ. ისტ., 301).

ვახუშტის გადმოცემით, დავითმა არა მარტო დაიპყრა აქ არსებული ციხე, არამედ აღაშენა კიდეც: „გველეთს... ქვეით დავიწროვდების ქევის ესე კლდითა და აქა არს ციხე დავითისა არაგვის აღმოსავლეთ კიდესა ზედა, აღმაშენებლის აღშენებული“ (გეოგრაფია, 67 ჯ-ლის გამ.). „გზა მშვიდობისა“, რა თქმა უნდა, მხოლოდ ყივჩაყთა ლაშქრის გადმოსაყვანად არ სჭიროდა დავითს. ასეთი პირობა საჭირო და აუცილებელი იყო იმ მნიშვნელოვან კულტურულ ურთიერთობისათვის, როგორიც საქართველოსა და ამიერკავკასიისა თუ „ჩრდილოჲს“ ქვეყნებს შორის არსებობდა ამ დროს. დავითის ეს საქმიანობა—დარიალის კარების ხელში აღება—იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოლილ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება შეტევისა და გავლენის მიზნით კავკასიის მთიანეთსა და იმიერკავკასიის ხალხებზე. ეს ერთი ეპოქალური ტეხილი იყო დარიალის გზის ისტორიაში... ამ მიზნით იყო აგებული დარიალის „ქვეით“ საქართველოს მეფეთა სასახლე, „ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 67 ჯან-ლის გამ.).

თუ როგორი მოვლილი იყო ეს გზა XII საუკუნეში, ჩანს თამარის საქმროს მოყვანის ეპიზოდიდან. დიდვაჭარი ყივჩაყთა ქალაქ სუნჯაში გაგზავნეს თამარის საქმროს, გიორგი რუსის მოსაყვანად. პაემანიც დაუდვეს: საქმე სასწრაფოდ მიაჩნდათ. „უქმეს ერთი მკჳდრთაგანი (V. მკვიდრთაგან) ტფილისის ზანქან ზორაბაბელ მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰონეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნითა“ (ქცა, ისტ. და აზმ. 415). გამოთქმიდან: „მისრულმან ცვალებითა ჰონეთათა“ ჩანს, ვფიქრობთ, რომ ხსენებულ გზაზედ არსებობდენ სადგურები, სადაც შესაძლებელი იყო „ჰონეთა ცვალება“.

ხსენებული გზის კეთება-მოვლილობის საინტერესო ნაშთი შევნიშნეთ პროფ. ს. ჯანაშიამ და ამ სტრიქონების ავტორმა თბილისის. სახ. უნივერსიტეტის მიერ 1935 წელს მოწყობილ ექსკურსიის მონაწილეებმა თბილისიდან ორჯონიკიძეში. დარიალის ქვემოთ, იქ, სადაც აწინდელი გზა ხიდით გადასჭრის თერგს, მდინარის მარცხენა ნაპირზე კარგად ემჩნევა „კლდე გაჭრილი გზად“ 20—30 მეტრის მანძილზე. დღეს გზა ამ ადგილს მდინარის მარჯვენა ნაპირს ჩასდევს. გზის ეს მშენებლობა XIX საუკუნისა არაა: გზაჭრილის განი

ამას გამორიცხავს. ის საქარავნო მიმოსვლისთვისაა მხოლოდ ნავარაუდევი, მაშ, უეჭველია, გზის ეს მშენებლობა იმ დროის საქმეა, როცა საქართველოში (ეს ადგილი სულ ისტორიულ საქართველოსი იყო) „კლდეკარებსა“ და „გზაჭრილებს“ აკეთებდნენ, როცა დარიალით კარებს კი არ კეტავდნენ, არამედ ფართედ აღებდნენ...

XIII—XIV საუკუნეებში დარიალის კარები ისევ ქართველ მეფეთა ხელში იყო. ელხანთაგან შევიწროებული მეფენი ოქროს ურდოსთან დაკავშირებას ცდილობდნენ დამპყრობელთა საწინააღმდეგოდ; დარიალის კარების გახსნას და გზის მიცემას ჰპირდებოდნენ მათ ელხანებზე სალაშქროდ (ქცა. ჟ. აღმ. 641, 757).

XV საუკუნის ერთი საბუთით საფიქრებელი ხდება, რომ ამ დროს დარიალის სავაჭრო გზა ჯერ კიდევ ცოცხალია (ალექსანდრე მეფის ზემოთ დასახ. სიგელი). თუმცა „გზა მშვიდობისა“ უზრუნველი არ უნდა ყოფილიყო. ამ მხრით ის დიდად ჩამოუვარდებოდა როგორც ჩანს, დარუბანდის გზას...

შემდეგ საუკუნეებში დარიალის სავაჭრო გზა დიდის ხნით დაყრუვდა და ის ადგილობრივ სამიმოსვლო გზად-ღა რჩებოდა. იშვიათად თუ ვინმე უცხოელი გადმოლახავდა მას. რუსთა ელჩების თავად ზვენიგოროდსკისა და ტორხ ანტონოვის ანაწერიდან ჩანს, რომ XVI საუკუნის 90-იან წლებში დარიალის გზის მთიანეთი ნაწილი მხოლოდ ნაგზურსღა წარმოადგენდა (Белокуров К. 127—154; проф. М. Полиевктов, Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе, 29—30).

მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ გამოცოცხლდა დარიალის სავაჭრო გზა. თეიმურაზ მეფე მცხეთისადმი შეწირულობის 1755 წლის საბუთში წერს: „ამას წინად არას დროსა და ჟამს არა ქმნილიყო, რომ ოსეთზედ ქარავნის გზა ყოფილიყოს და ამ მთის გზაზედ ქარავანი, ვაჭარი და სოვდაგარი მოსულიყო და ამ გზიდამ ქალაქში სავაჭრო მოეტანათ და აწ ღმერთმან ჩვენ გვიმრავალწყალობა და ამჟამად ოსეთის გზით ქარავანმა იწყო სიარული“... (Акты Кавк. археогр. ком. II, 1113).

ამ გზის მნიშვნელობას ხაღად აფასებენ თეიმურაზ-ერეკლე და ღონისძიებებს არ იშურებენ გზის კიდევ უფრო გასაცხოველებლად (გზის შეკეთება, დაცვა, შეღავათიანი ბაჟები).

ახლა დარიალის გზის მარშრუტის შესახებ: მრავალგზის მოხსენებულობისდა მიუხედავად დარიალის გზის ზედმიწევნითი მარშრუტის გარკვევა საკმაოდ ძნელი ჩანს. სამი დასაყრდენი პუნქტი გვაქვს: თბილისი, ჟინვანი, დარიალი. ეს საკმაო არაა. სიძნელეს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ სამხრეთიდან ჟინვანამდის გზა არაგვის რომელი მხრით მიდიოდა.

ვახტანგ გორგასალი ოვსეთს სალაშქროდ დაიძრა. მცხეთიდან „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. მუნ მოერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი". აქედან „წარემართა... განვლო კარი დარიალანისა". ვახტანგის მარშრუტი ჟინვანამდის გარკვეულია, მაგრამ ის საგანგებოა და ჩვეულებრივ გზად მისი მიღება სახიფათოა. ვახტანგი, მცხეთიდან რომ დარიალისაკენ წავიდეს თიანეთს მიდის (სულ ერთია, თიანეთი პუნქტის სახელია აქ, თუ მთელი რაიონის). თიანეთიდან ის ფუძნარზე გავლით (ბოდავის ხევით) არაგვს გადალახავს ჟინვანთან. საფიქრებელია: გორგასალს თიანეთს გასვლა და იქ დადგომა იმიტომ კი არ დასჭირდა, რომ მარჯვე და ჩვეულებრივი გზა მცხეთიდან დარიალისაკენ თიანეთზე გადიოდა, არამედ იმიტომ, რომ აქ (თიანეთს) მას „მეფენი კავკასიანნი" უნდა შემოყროდნენ. მცხეთიდან ვახტანგი არაგვს, სადაც სურდა, გადალახავდა. არაგვი უხიდოდაც ადვილგასავალი მდინარეა. მაგრამ ეს მხოლოდ წყალცოტაობის დროს. ამიტომ არაგვზე ხიდები აუცილებელი იყო. ასეთები მართლაც ჩანან ო ქ ე რ ჯ ი დ ა ს თ ა ნ (ძველი ჯიდარი), ბ უ ლ ა ჩ ა უ რ თ ა ნ (გამოღმით: საშაბურო) და ჟ ი ნ ვ ა ნ თ ა ნ. ასე რომ ვახტანგს თუ ფონით ვერა, ხიდით (მის დროს ხიდარს უნდა ყოფილიყო ხიდი) შეეძლო არაგვს გასულიყო და, ერწოს გზით მისული, თიანეთს დამდგარიყო. ამრიგად, ვახტანგის მარშრუტი დარიალის გზის გარკვევაში ნიშანდობლივს არას იძლევა. IX საუკუნეში ბუღა თურქს „ჯვარის გუერდს" „დაუდგეს გარდაბანელნი და ავნეს დიდად ლაშქართა. ვითარ ცნა ბუღა აღიყარა მუნით და მოვიდა ქართალეთს და დადგა მუნ შინა. აღიყუანა მთიულთაგან მძევალი კაცი: ტ: და ჰლამოდა შესულასა ოვსეთად და შევიდა ცხავატამდის". აქ ის დამარცხდა მთიულთაგან „შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს" (ქცა, მატ. ქ-ა, 221).

„ჯუარის გუერდი" ცნობილი „მცხეთის ჯუარის" ახლო მდებარე პუნქტი უნდა იყოს. და მაშ ის არაგვის მარცხენა ნაპირზედ უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ „ქართალეთი" არაგვის მარჯვენა მხრითაა. მაგრამ ის ჟინვანს ზემოთაა. ამიტომ ამ ცნობის მიხედვით არ შეიძლება გადაწყდეს: ბუღამ არაგვი ჟინვანამდის გადალახა (ხიდარი, საშაბურო), თუ ჯვარიდან ჟინვანამდის მარცხენა მხრით იარა და აქ გავიდა ხიდს. XIV საუკუნის დამდეგს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული, მთიულეთს მდგომი მეფე დავით თბილისზე წამოვიდა, სადაც მისივე ძმა ვახტანგი იჯდა. დავითი ისნის მხრით მოვიდა და „მახათას დგეს თავსა ქედისასა". მეფე ვახტანგ შეებრძოლა ძმას, დაამარცხა და ლტოლვილს „სდევდეს ვიდრე ჯაჭვადმდე" (ქცა, ჟ. აღმწ. 775 შენ). აქედანაც ის ჩანს მხოლოდ, რომ მეფე დავით მთიულეთიდან წამოსული თბილისზე მტკვრის მარც-

ხენა ნაპირით მოვიდა და ლტოლვილიც იმავ გზით დაბრუნდა. მაგრამ არა ჩანს არაგვის რომელი ნაპირით ჩამოვლო ან შევლო მან ჟინვანამდის.

უფრო ნიშანდობლივია XVII საუკუნის ცნობა. 1625 წელს ერანელთ ლაშქარი არშის ციხისაკენ დაიძრა, სადაც ქართველებს გამომწყვდეული ჰყავდათ ერანის მომხრე ანდუყაფარ ამილახორი თავისი მეუღლით. „წ ი წ ა მ უ რ ი ს  ბ ო ლ ო ს“ გიორგი სააკაძე გადაეღობა ყიზილბაშებს და სასტიკი ბრძოლა აჰკიდა მათ, ყიზილბაშებს გაემარჯვათ „განვლეს და გასდგნენ მუხრანს. მერმე შევლეს დუშეთი და განვლეს მთიულეთი და გარდვიდნენ ხევს“ (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ. 64). ყიზილბაშები თბილისიდან მოდიოდნენ. მაშ ისინი მტკვრის მარცხენა ნაპირით წამოსულან. გამოვლეს, როგორც ჩანს, ავჭალა, ჯუარის გუერდი, განვლეს წიწამური და აქედან გავიდნენ მუხრანს. სამწუხაროდ, ეს მგზავრობაც არაჩვეულებრივს პირობებში ხდება: საქართველოში გახურებული პარტიზანული ომია დამპყრობელთ წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით — ამიტომ არც ეს მარშრუტი შეგვიძლია ჩვეულებრივ გზად მივიღოთ. თუ მუხრანზე გავლით უნდოდა დუშეთს მისვლა, თბილისით გამოსული ჯარი რატომ მცხეთით არ წამოვიდა? შეიძლება მუხათგვერდს ან ლართის ვიწროებში გავლას მოერიდა სააკაძის შიშით? ლართისკარი რომ შეკრული ჰქონდა სააკაძეს, ამას მოწმობს იოსებ ტფილელი. დიდმოურავიანში ის სააკაძეს ასე ალაპარაკებს:

> ...წ ი წ ა მ უ რ ი ს  თ ა ვ ს  დ ა ვ ხ ე რ გ ე
> შ ე უ კ ა რ  ლ ა რ თ ი ს  კ ა რ ი ა
> თხრილი უწინვე წამევლო და გზები განაკარია
> სადაც არს ვიწრო, ვიბრძოდი...
> ავჭალით ახალციხემდის
> შეჰკრეს არაგვი, მტკვარია.
>
> (დიდმოურავიანი, გვ. 40).

ან რატომ გავიდა ეს ჯარი მუხრანს მას შემდეგ, რაც წიწამურის ბოლოზე გზა გაიკაფა. შეიძლება იმიტომ, რომ ზურაბ არაგვის ერისთავმა ყიზილბაშთ „გზა მშვიდობისა“ შეჰპირდა? ,

ამ ცნობიდან ცხადი ისაა, რომ თ ბ ი ლ ი ს ი დ ა ნ  ჯ ვ ა რ — წ ი წ ა მ უ რ ი თ  ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს კ ე ნ  დ ი დ ი  გ ზ ა  მ ი დ ი ო დ ა: ყიზილბაშთ დიდი ლაშქარი წვრილ და უხეირო გზას დაერიდებოდა ამ შიშიან დროს. ასეთივე დ ი დ ი  გ ზ ა  ი ყ ო  მ უ ხ რ ა ნ ი დ ა ნ  დ უ შ ე თ ზ ე  დ ა  ა ქ ე დ ა ნ  მ თ ი უ ლ ე თ ზ ე...

ამას მოწმობს ეპიზოდი დავით მეფის აჯანყებიდან XIV საუკუნეში. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული მეფე დავით გველეთს (კევში) იჯდა. მონღოლთა დამსჯელ ექსპედიციის მეთაურს ხუტლუ-

შა ნოინს მეფემ ელჩები გამოუგზავნა: დედოფალი ოლჯათ, კათალიკოზი და იოანე ბურსელი. ესენი გველეთიდან „მოვიდეს მუხრანს. ხუტლუშა და სხვანი ნოინნი ბაზალეთს წინა მოეგებნეს“. მაშ გველეთიდან მუხრანისაკენ წამოსულმა ელჩებმა ბ ა ზ ა ლ ე თ ი გამოიარეს.

XVIII საუკუნის ცნობები უდავოდ არკვევენ ანანურ—დუშეთმცხეთის მარშრუტს (საბაჟოები). როგორც ვხედავთ, ძველი წერილობითი ცნობები დაჟინებით მიუთითებენ თბილის-დარიალის გზას მტკვრის და შემდეგ არაგვის მარცხენა ნაპირზედ. მაგრამ ეს ხერკამდის. არაგვის მარცხენა ნაპირით ამას ზევითი გზის შესახებ ჩვენ ნიშანდობლივი წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დარიალის გზა თბილისიდან ჟინვანამდის სწორედ არაგვის მარცხენა მხრიდან უნდა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ჟინვანს ქვემოთ არაგვის მარჯვენა ნაპირი კარგა მოზრდილ მანძილზე უგზოა და გზა მხოლოდ მარცხენა მხრითაა შესაძლებელი. ასე რომ, ვისაც თბილისიდან თუ მცხეთიდან ჟინვანს მისვლა სურდა, ის უნდა არაგვის მარცხენა ნაპირს შეჰყოლოდა გარკვეულ ადგილიდან მაინც. მეორეს მხრით შეუძლებელია თბილის—მცხეთის გზა ჟინვანთან არ ყოფილიყოს დაკავშირებული. ასე რომ ჩვენ შემდეგს მივიღებთ: თბილისიდან მტკვრის მარცხენა ნაპირით და შემდეგ არაგვის მარცხენა ნაპირით მიდიოდა დარიალის გზა ჟინვანზე. მეორე გზა ჟინვანისაკენ თბილის—მცხეთის გზა იყო... ღართისკარს გასვლის შემდეგ ეს გზა ხიდარას თუ ბულაჩაურში არაგვის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე გადადიოდა და პირველ გზას უერთდებოდა. თბილის—მცხეთიდან დარიალისკენ მეორე გზაც მიდიოდა: ღართა—საფურცლე—მისაქციელი—ხიდარი—საშაბურო—დუშეთი—ანანური. აქ ის ჟინვანიდან გამოსულ გზას შეუერთდებოდა. დუშეთშივე მოდიოდა გზა მუხრანიდან მდინარე ნ ა რ ე ქ ვ ა ვ ი ს პირით ქ ა ლ ი ს ა-მ ჭ ა დ ი ს ჯ ვ ა რ—ბ ა ზ ა ლ ე თ ზ ე.

ჟინვანი XII საუკუნეში მეტად მნიშვნელოვანი ადგილია. ის არაგვის საერისთვოს ცენტრი ჩანს. მაგრამ არა მხოლოდ XII საუკუნეში, ის უწინარესსაც მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო. ვახუშტით ჟინვანი „ძველი ქალაქია“.

XII საუკუნეში აქ უკვე უნდა ყოფილიყო მეფეთა სასახლე. XIV საუკუნეში მას იხსენიებს გიორგი VI. როგორც „ძეგლის დადებიდან“ ჩანს, XIV საუკუნეში დარიალისაკენ ჟინვანზე მიმავალ გზას ჯერ კიდევ უპირატესობა ჰქონია: ამ მარშრუტით იმგზავრა გიორგი VI დარიელამდის...

# გზები - ჩრდილოეთისაკენ



რაც შეეხება გზას ანანურ—დუშეთზე, მისი უპირატესი მნიშვნელობა უფრო ნაგვიანევი ხანისა უნდა იყოს, ე. ი. მას შემდგომი ხანისა, რაც ჟინვანმა დაჰკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა და არაგვის საერისთვოს ცენტრი დუშეთი გახდა...

ჟინვანს ზემოთ დარიალის გზა უფრო გარკვეულია. „ნასასახლევი მეფეთა“ მთიულთ კარს, ნადვარევს, ციკარას აღმოსავლეთ და დარიელს ქვეით ამ გზის მიმართულების მაჩვენებელი პუნქტებია. მეფეთა ეს სასახლეები XI საუკუნეზე ადრინდელი და XV საუკუნეზე ნაგვიანევი არ შეიძლება იყვნენ: ეს სასახლეები მას შემდეგ გაჩნდნენ, რაც არაგვი სახასო შეიქმნა. აფხაზთ მეფეებს საამისო ბრძოლა უკვე XI საუკუნეში დაუწყიათ და, შეიძლება ვიფიქროთ, დავით II დაასრულა ის (აბულეთისძენი... დემეტრეს მიერ მუხრანის აშენება...). თარიღთა ეს ფარგლები კიდევ უფრო შეიძლება შევიწროვდეს და ამ სასახლეთა თუ ყველასი არა, დიდი უმრავლესობის აგება „XII საუკუნეს“ შეიძლება მიეკუთვნოს. ამას გვაფიქრებინებს ზოგადი ისტორიული მოსაზრებანი. Военно статистическое описание Тифлисской губернии-ს შემდგენელი პოლკოვნიკი ლიახოვი ყოფილ საქართველოს სამხედრო გზას („бывшая военно-грузинская дорога“) უწოდებს იმ გზას, რომელიც ფასანაურიდან გუდამაყრის ხეობით (პირაქეთი შავი არაგვი) და ბურსაჭირის გადასავლით, შემდეგ ღუდუშაურის ხეობით და პირიქითის შავი არაგვით, თერგის ხეობაში შედის სტეფანწმიდას ზემოთ. ეს შეიძლება მართლაც იყო Военно-грузинская дорога, მაგრამ ეს უნდა ისევ მე-19 საუკუნეში ყოფილიყო. იმ გზას აღნიშნავს ვახუშტიც: „გველეთს ქვევით ერთვის არაგვისავე ჴევი სამხრეთაღმოსავლეთიდამ... გარდავალს ამ ჴევიდამ გზა გუდამაყარსაცა“ (გეოგრაფია, 66). ან კიდევ „აღმოსავლიდამ არაგუს ერთვის, არშას ქვეით, აჩხოტის ჴევი... ამ ჴევიდამ გარდავალს გზა გუდამაყარს“ (გეოგრაფია, 67), როგორც მატერიალური ხასიათის ძეგლები (სასახლეები), ისე წერილობითი მოწმობანი უდავოდ ადასტურებენ დარიალის გზის მიმართულებას ფასანაურს ზემოთ არაგვის ნაპირითვე ხადა—ცხაოტ—მლეთის რაიონამდის. ჯერ კიდევ ბუღა თურქი (IX ს.), რომელიც „ჰლამოდა შესულასა ოვსეთად“ შევიდა ცხავატამდის. ამავე გზას ხსენებულ რაიონამდის არკვევს აგრეთვე გიორგი VI მოგზაურობა დარიალამდის (XIV ს.) ჟინვანიდან მეფე გიორგი „ქადა—ცხაოტს“ მივიდა. დადგა აქ და ადგილობრივი საქმეები გამოირკვია „და მოვახსენით ყოველნივე მუნებურნი ქევის ბერნი და ჰეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენიო“. აქ, ამ რაიონში არსებული გეოგრაფიული სახელები „სასახლე“, „სა-

სახლის სოფელი“, „სეფე“ კარგად უჩვენებენ, თუ სად უნდა მდგარიყოს გიორგი მეფე ამ თავის ადმინისტრატიული-საკახონმდებლო საქმიანობისას. ამ რაიონს გულისხმობს ვახუშტი თავის „მთიულეთის აღწერაში“: „არს ნაღვარევი, მეფეთა ნასასახლევი, შენებულება დიდი“ (ვახუშტი, გეოგრაფია, ჯან-ლის გამოც. გვ. 94). გზის შემდგომ მიმართულებას ვახუშტივე იძლევა. ის დაახლოებით ისეთივე ჩანს, როგორი მიმართულებისაც აწინდელი გზაა: ჯვართა ყელის გადასავლით, მდინარე ჩასავლის პირით ხეობაში და აქედან თერგით პირქვე. ასე იყო თუ არა ძველად, ძნელი სათქმელია. ამას ადგილობრივი შესწავლა გაარკვევს. სახელი „ჯვართა ყელი“ გიორგი VI ძეგლის დადებაშიაც არის მოხსენებული, რაც იმის მოწმობაა, რომ გზა ამ დროსაც გადადიოდა ამ ადგილას.

ესევე გზა აღნიშნულია დავით დიმიტრის ძის მონღოლთ წინააღმდეგ განდგომილების ეპიზოდში. აჯანყებულ მეფე დავითს მისივე ძმა ვახტანგი და ერისთავი შალვა წაუვიდნენ და მონღოლთა ლაშქრით მის წინააღმდეგ მოვიდნენ... „მაშინ დავით დგა ბაზალეთს; და ვითარცა ცნა მოსვლა მათი, მიმართა ციხესა დარიელისასა და შიუდგა უკანა სპაჲ ყოველი და შეიარეს არაგვი და გარდავლეს ჯვართა ყელი და ჩავიდეს დარიელს და მოადგეს დავითს ციხესა გველეთისასა“ (ქ.-ბი II, ძეგლი ერისთავთა, 8), არის ნიშნები, რომლის მიხედვითაც შეიძლება თითქოს ვიფიქროთ, რომ ძველად გზა მლეთის ქვემოდანაც იწყებოდა სოფელ ქვეშეთთან. აქედან ის მიჰყვებოდა არაგვის მარცხენა შემდინარეს, რომელიც მთა მ ი ლ ი ო ნ ი დ ა ნ გამოდის. სოფელი „სასახლე ამ მდინარის ხეობაში და მთის ზემო აღნიშნული სახელი მ ი ლ ი ო ნ ი ვ ე ეწოდება ამ მთიდან გამოსულ მდინარეს, რომელიც თერგს შეერთვის კობთან—თუ ეს სახელი ახალი წარმოშობის არაა—ამას გვაფიქრებინებს...

კობს ქვევით დარიალის გზის მიმართულება გარკვეულია და საერთოდ უცვლელია. აქ ცვლილება მხოლოდ იმ მხრით შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მდინარის მოქმედების გამო გზა მისი ერთი ნაპირიდან მეორეზედ გადადიოდა. XVI საუკუნის რუს ელჩების მარშრუტზე დაკვირვებით პროფესორი პოლიევქტოვი შენიშნავს ასეთ მოვლენას (იხ. op. cit., loc cit). ამასვე მოწმობს ზემორე მოყვანილი პროფ. ჯანაშიასი და ჩემი დაკვირვება „საექსკურსიო ავტომობილიდან“.

დარიალის გზა მარტო არაგვის ხეობით როდი ჩამოდიოდა საქართველოში. მლეთის რაიონიდან გზა ლომისისთავის გადმოლახვით ქსნის ხეობაში შემოდიოდა. ლ ო მ ი ს ა, ქ ა რ ჩ ო ხ ი ს ც ი ხ ე, წ ი რ ქ ვ ა ლ ი, ა ხ ა ლ გ ო რ ი, მ ძ ო რ ე თ ი, მ უ ხ რ ა ნ ი—ამ გზის მიმართულების მაჩვენებელი ერთობ მეტყველი პუნქტებია.

დიდმოურავიანი ასახელებს ამ გზის (არშადან—მუხრანამდის) ზოგიერთ პუნქტს:

ზურაბ ერისთავმა გზა მისცა ყიზილბაშებს: არშისკენ წასულნი თავის ქვეყანაზე გაატარა.

ყიზილბაშებმა:

> მთიულნი ავლნეს, ა რ შ ა ს ა შ ი ვ ი დ ნ ე ნ შიშნეულობით
> მათ ქალი გამოიყვანეს, წამოვლენ ვით სნეულობით
> ქ ს ნ ი ს გ ზ ა ს ა გამოემართნენ...
> მათ ქალი მოჰყავსთ, გარდმოვლეს
> უწყინრად ხ ე ვ ი, ხ ა დ ა ნ ი

უკანით გიორგი ერისთავი გამოუდგა. წინ გიორგი სააკაძე დახვდა ამ ჯარს.

> გზის ასაქცევი არ ჰქონდათ ქ ა რ ჩ ო ხ ი თ, ა რ ც ი ს რ ო ლ ი თ ა
> ამოვსწყვიტეთ და დავხოცეთ, ქსანს სისხლი შევასწორითა...
> (დიდმოურავიანი, 41).

დასაწყისში ამ გზას ეწოდებოდა „გზაჲ ლომისის თავისა". ამ გზით დაბრუნდა XIV ს. დასაწყისს მთიულეთიდან დავით მეფის მიერ გაწბილებული მონღოლთა ნოინი ხუტლუშა:—„ცნა, რომელ არაგების შესვლა ციკარეს. აიყარა ღამით გ ზ ა ს ა ლ ო მ ი ს(ი ს)თა ვ ი ს ა ს ა, დაესხა ქართლს, დაღათუ ვინმე დარჩიმილიყო, ტყვე ყო" (ქცა, ჟ. ალმ. 76 v). ამავე გზით დაბრუნდა „დარიელით" მეფე გიორგი XIV ს-ში: „დარიელით მობრუნვებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარ მოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის კევი... მოვედით მუხრანს, საზამთროსა ჩვენსა და დავდეგით და შემოვედით ქალაქსა" (ბ ფონდი, № 3683 საქ. მუზ. ხელ. განყ.) ამავე გზით დაბრუნდა არშას ციხიდან ყორჩიბაში ყიზილბაშთა ლაშქრით 1625 წელს: „გარდმოვლეს მთა ლომისისა და შთამოვიდნენ ქსანსა ზედა. ზურაბის ძმამ გიორგიმ და ქსნის ერისთავმა იესემ შეკრეს გზა ქსნისა და მოურავი დახვდა ქსნის ბოლოს" (საქ. ცხ. ზაქ. ჭ. გამ. 64), მაშ ამ გზას ეწოდებოდა „გ ზ ა ქ ს ნ ი ს ა".

ამ ქსნის გზას გულისხმობს შემდეგი ეპიზოდი ნაგვიანევი ხანისა.

შანშე ერისთავის წინააღმდეგ გივი ამილახვარი ავღნის ჯარით წამოვიდა. „გაყვეს ჯარი სამად. მისცეს ერთი ჯარი არაგვის ერისთავს და გარდუსიეს ლომისზე. მეორე ჯარი ქსანზე შევიდა, მესამე ჯარი ლიახვზე" (პაპ. 58). ამ გზის ერთ-ერთ პუნქტს შემდეგი ცნობა გვაწვდის: 1752 წელს მეფე ერეკლე „წაბძანდა თვით ჩერქეზში. ჩიბძანდა ხევში. დადგა". აქ ჩერქეზთ ჯარი მოუვიდა. „თითონ მეფე

ერეკლე იქავ ხევს დადგა. ჯარს ერისთავი ჯიმშერი გამოუმძღვარა. მუხრანში მიაგება ბატონმა შაჰყულიხან და მუხრანის ბატონი. შეიყარნენ შ ი ო თ უ ბ ა ნ ს. უმასპინძლა ამ ჯარებს მუხრანის ბატონმან კოსტანტინემ. სანამდის მეფე ერეკლე სხვას დიდ ჯარს გადმოიყვანდა, ამ ჯარს მუხრანში უნდა ეცადა" (პაპუნა, 197).

მარშრუტია თითქო:

ხ ე ვ ი—ლ ო მ ი ს ი ს მ თ ა—ქ ს ნ ი ს ხ ე ვ ი—შ ი ო ს უ ბ ა ნ ი—მ უ ხ რ ა ნ ი.

როგორც ზევითაც ვუჩვენებდით, დარიალის გზა უძველეს დროიდანვე უკავშირდებოდა თიანეთს. ჟინვანიდან ის ფუძნარზე გავლით შედიოდა თიანეთში (ე. ი. კახეთში).

* * *

თბილისიდან შემდეგი მიმართულება, ეს იყო მესხეთ—ჯავახეთისაკენ მიმავალი გზები. ერთი მათგანი ჩვენ უკვე შევისწავლეთ (თბილისი—გორი—აწყვერი). მეორე თბილის—თრიალეთის მიმართულება იყო. ეს გზა მანგლისზე გაივლიდა. XII საუკუნეში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „ქვეყანანი თრიალეთისანი" ჯერ კიდევ IX საუკუნის მეორე ნახევარში მიზანში ამოიღო მარველმა მემამულემ: „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, ალაგო ციხე კლდეკართა" (ქცა მატ. ქ-ა, 224). ეს არის უძველესი ცნობა კ ლ დ ე კ ა რ თ ა შესახებ. უეჭველია, კლდეკარნი, როგორც ცოცხალი გზა, ამ დრომდისაც არსებობდა. მოყვანილი მოწმობიდან ისა ჩანს მხოლოდ, რომ თრიალეთისა და კერძოდ კლდეკართა ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა დროის შესაფერისად სათანადოდ ლიპარიტ ბაღვაშმა შეაფასა.

X—XI საუკუნეში განსაკუთრებული მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს თრიალეთისათვის „აფხაზთა მეფეებსა" და ამ ქვეყნას მპყრობელ მარგველ მემამულეთა შორის. დავით აღმაშენებელმა ეს ბრძოლა საბოლოოდ მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ გადაწყვიტა. 1112 წ. თბილისის დაპყრობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ერთი მთლიანი სახასო ტერიტორია შექმნა თბილის—მანგლის—თრიალეთ—ჯავახეთის სახით (XIII საუკუნის დასაწყისს ამას შემოემატა კარი და კარული ქვეყანაც). მაზედ გამავალი გზა-შარა ამიერიდან უპირველესი მნიშვნელობისაა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამავე დროს ეს იყო უმოკლესი გზა, რომლითაც საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი მის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებს უკავშირდებოდა.

„ქუეყანანი თრიალეთისანი" საქართველოს ისტორიულ წარსულში განსაკუთრებული მნიშვნელობის პროვინცია იყო. გეოგრა-

ფიული ცენტრი, უმაღლესი ზეგანი, ოთხივე მხრით წყალგამყოფი ტერიტორია მის გარშემო მდებარე ქვეყნებს (ზემო, შიდა და ქვემო ქართლს) ბუნებრივად ჰყოფდა და აკავშირებდა. გასაგებია თუ „ქუეყანანი თრიალეთისანი"—ეს ბუნებრივი გზასაყარი—უძველეს დროდანვე გზებით დაიქსელა. (ამ ქვეყნების მნიშვნელობა რა თქმა უნდა, მარტო ამით არ ამოიწურებოდა და მას დამოუკიდებელი სამეურნეო მნიშვნელობაც ჰქონდა. საკმაოა გავიხსენოთ, რომ თორორიალეთ—მანგლისი აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეობის საფუძველი იყო)*. თრიალეთზე მიმოდიან სავაჭრო ქარავნები, ქართველთა ლაშქარი და უცხო დამპყრობელნი ოთხივ მხრით: შიდა ქართლიდან, კახეთიდან, თბილისიდან, სომხეთიდან და, საერთოდ, აღმოსავლეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, აბოციდან და, საერთოდ სამხრეთ-დასავლეთიდან. და ეს ასეა არა მხოლოდ X—XII საუკუნეთა მანძილზე, ასეა ის შემდეგაც (იხ. მატ. ქ-ა, 235, 238, 241, 242, 247—248, 266, 267, 268, 269; დავ. ისტ. 310; სუმბატ დავითისძე, 355; ისტორიანი და აზმანი, 437; ჟ.—აღმწერელი, 670: დიდმოურავიანი 6—7; ათონის კრებული, 285; ქც'ას გაგრძელება, 857: ვახუშტი, საქ. ისტ. გამოც. ზაქ. ჭ., 100; საქ. ცხ. პაპუნა ორბ., 177—)... თრიალეთს დგებიან ლაშქრით ქართველი თუ უცხო დამპყრობელნი, საიდანაც ოთხივ მხრით უმარჯვესი გზები მიდიან. თრიალეთს დადგა XI საუკუნის 60-იან წლებში ალფარსლანი. უმოკლეს ხანში აქედან მისმა მარბიელმა მთელი საქართველო მოიცო (მატ. ქ-ა, 468); აქ იდგა 1124 წელს დავით აღმაშენებელი, აღმოსავლეთით, სამხრეთით თუ დასავლეთით თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადებული. აქედან ჩაატარა მან შესანიშნავი თავასის სისწრაფით საქართველოს ლაშქრის მობილიზაცია: „წიგნებიწუევისა მიმოდაისრბოლა და მესამესა დღესა სამოცდა (ათი) ათასი მჴედარი წინაშე უდგა" (დავ. ისტ., 311).

თრიალეთის ეს უპირატესობა კარგად შეაფასეს ლეკებმაც. მე-18 საუკუნის 50-იან წლებში ისინი ჩასხდნენ წ ა ლ კ ი ს ც ი ხ ე შ ი და აქედან არბევდნენ გარშემო ქვეყნებს: ქართლს, ჯავახეთს და სხვა (პაპუნა, 215). XVIII საუკუნეში თრიალეთი ამ თავისი განსაკუთრებული მდებარეობის მსხვერპლი შეიქმნა: მის პატრონს, დრომოჭმულ ფეოდალურ ხელისუფლებას, ქვეყნის დაცვა-ექსპლოატაციის უნარი აღარ გააჩნდა, ქვეყანას (საერთოდ საქართველოს და განსაკუთრებით თრიალეთს) „კარი შაეხსნა გზისაო" და

---

* კ ლ დ ე კ ა რ ი მ ა ს შემდეგაა გასაგები რაც დ ი დ გ ო რ ი ს და კ ო შ კ ი ს ყ ე ლ ი ვნახე.

ესაა „ცხვრის გზა" (უპირველეს ყოვლისა) ქართლიდან (მცხეთიდან) თრიალეთ—ჯავახეთში.

ქვეყანა ლეკთა მტაცებელი ბრბოების სათარეშო გახდა, ის სრულიად დაიცალა მოსახლეობისაგან. იმ ისტორიულ პროცესის დროს კი, როცა საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულების ერთი ხელისუფლების ქვეშ ფეოდალური შეკრება ხდებოდა, თრიალეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა სრულიად აშკარა ჩნდა. ამ ქვეყნის დაუფლება აუცილებელი იყო ყველასათვის, ვისაც კი წილად ხვდებოდა ზემოხსენებული პროცესის წარმატებით დასრულება. წერილობით მოწმობათა ნიადაგზე არც თბილის-თრიალეთის გზის ნიშანდობლივი დადგენაა მარტივი საქმე. აქაც წყაროები გზაზედ მდებარე პუნქტების შესახებ ჩვეულებრივ სდუმან ხოლმე და ჩვენც სხვა საშულებათა დახმარებით ვცდილობთ ხსენებული მარშრუტის დაახლოებით დადგენას. კოჟრისკარი—ტაბახმელა—სამადლო (რომელიც აგრე „იწოდების მუნ ფუნდუკისათვის".— ვახუშტი, 62)—ციხე აზეულასი (კოჟორი)—საყარაულო—მანგლისი—ნიშანდობლივი საგზაო პუნქტებია. სამწუხაროდ, მანგლისს შემდეგ ამ გზის მიმართულების მტკიცედ დადგენისათვის ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალა არასაკმაო ჩანს. ამისთვის საჭირო იქნებოდა ადგილობრივი მოვლა-შესწავლა.

ჩვენ მოგვეპოვება ერთი ნაგვიანევი ხანის ცნობა, რომლის მიხედვითაც მანგლისიდან თრიალეთში შემავალი გზის ერთ-ერთი პუნქტი თითქო ნიშანდობლივ ირკვევა. XVIII საუკუნის 50-იანი წლები იყო ლეკთა დასტა წალკას დადგა, ზემო ქართლი დაარბია. თეიმურაზ და ერეკლე ტაბახმელას იდგნენ. მეფეები დიდის ლაშქრით დაიძრნენ თრიალეთისკენ წალკას მდგომ ლეკებზე. „ბედენის მთაზე რომ აბრძანდენ", ლეკები წალკიდან ივლტოდენ, ხოლო მეფენი უკან დაბრუნდნენ და ნახიდურს დადგნენ (საქ. ცხ. პაპუნა ორბ. 216). აქედან ირკვევა, რომ ტაბახმელიდან წალკას მისასვლელად საჭირო იყო ბედენის ქედის გადალახვა.

დღეს მანგლისიდან თრიალეთში რამოდენიმე გზა შედის. ერთი მათგანი სწორედ ბედენის ქედის ჩრდილო ფერდებზე გადის და იმერა—ბეშქენაშენით წალკას გაივლის. მეორე გზა ლივადის მაღლობს გოხნარზე გაუვლის და საბეჭდავ—სამადლოთი (აქაც ფუნდუკი იყო?). წალკისკენ მიიმართება. უკანასკნელი გარემოება საყურადღებოა. თუ გეოგრაფიული ტერმინის „სამადლოს" ვახუშტისეული ახსნა სწორია, მაშინ თრიალეთის სამადლო ერთობ ნიშანდობლივი საგზაო პუნქტია და მანგლის-თრიალეთის გზის ერთი მთავარი მიმართულება დადგენილია. დამახასიათებელია „საბეჭდავიც". მაგრამ, თუნდაც რომ ეს აგრე დადასტურდეს, ჩვენ უფლება გვაქვს ვიეჭვოთ, რომ IX—X საუკუნეში მაინც, თუ შემდეგაც არა, მთავარი სავაჭრო გზა მანგლისიდან თრიალეთისაკენ კლდეკართა

ციხეს გაუვლიდა ქვეშ. დღეს მანგლისიდან კ ო დ ი ს წ ყ ა რ ო-ზ ე დ გავლით კლდეკართა ციხის ქვეშ მხოლოდ ბილიკი მიდის. ციხის აგება კლდეკართა და მისი აგრე დიდი მნიშვნელობა გვაიძულებენ ასეთი რამ ვიფიქროთ. მართალია, ზემოხსენებული გზებიც, განსაკუთრებით მეორე (გოხნარ—სამადლოზე მიმავალი) კლდეკართა ციხის საკონტროლო არეში იმყოფებოდნენ, მაგრამ კლდეთა ის ხელოვნური ნაკაფობა საგზაოდ, რამაც თვით სახელი მიანიჭა აქ ადგილს („კლდეკარნი"), უეჭველია გამოწვეული იყო დიდი მნიშვნელობის გზის სწორედ ამ ადგილის გავლით. და საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ სალომია—სამაჰალო—რკონის გზა ახალქალაქისაკენ ოდესმე ასეთი დიდი მნიშვნელობისა ყოფილიყოს: შიდა ქართლში თორ—თრიალეთ—მანგლისიდან გაცილებით უფრო მოხერხებული გზები შემოდიოდა ძამა-ტანა-თეძამ-კავთურის ხეობებით.

გზები თრიალეთიდან ოთხივ მხრივ მიიმართებოდა. შიდა ქართლში გარდამავალი მარშრუტები ჩვენ უკვე შევისწავლეთ. მოვიყვანოთ მოწმობანი, რომელნიც სხვა მიმართულებათა გზების დადგენაში გვიშველიან. VII საუკუნის ოციან წლებში „ერაკლე მეფე შევიდა სპარსეთს, მოკლა ხუასრო მეფე და წარუღო ბაღდადი... უკმოიარა გზა ქართლისავე... მაშინ ერაკლე მეფემან წარიტანა მანგლისით და ერუშეთით ფერქთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა" (ქცა, ჯუანშერ, 196). ერაკლე კეისარმა თბილისზე გამოიარა. აქედან მან „უკმოიარა გზა ქართლისავე" მანგლის—ერუშეთზე გავლით. ცხადია, აღნიშნულ პუნქტებს შორის მან თ რ ი ა ლ ე თ—ჯავახეთი გადალახა.

VIII საუკუნის 80-იან წლებში ქართლის ერისთავი აშოტი ქართლიდან ივლტოდა ბიზანტიისაკენ. არაბთა ბატონობას ვერ გაუძლო. „წარემართა იგი, რათა წარვიდეს საბერძნეთად... მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდსა ტბისა ფარავნისასა დამაშურალნი სლვისაგან და გარდაჰჴდეს განსუენებად". აქ მათ მოეწია არაბთა მდევარი რაზმი. აშოტს გაემარჯვა და „წარმოვიდეს და მოიწივნეს ჭევსა შავშეთისასა" (ქცა მატ. ქ-ა, 343). ამ მოწმობით თრიალეთიდან ჯავახეთისაკენ წასული გზა ჯავახეთის მთებს და ფარავნის ტბის კიდეს გაივლიდა.

1021 წელს ბასილ ბერძენთა მეფის მიერ ბასიანში დამარცხებული გიორგი მეფე თრიალეთში შემოიხვეწა. ბასილ ბერძენთა კეისარიც აქ მოვიდა. გიორგი მეფეს დამხმარე ლაშქარი მოუვიდა. როცა „დაეახლნეს ურთიერთას", კეისარმა დაინახა, რომ მისი პოზიციები აქ სუსტია და „...შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკმოიარა ჯავახეთი და არტანი"... (ქცა, მატ. ქ-ა, 248).

1027 წელს გიორგი მეფე გარდაიცვალა „ქუეყანასა თრიალეთისასა ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი“— (მატ. ქ-ა, 253). ვახუშტით „ცივი ანუ მყინვარი“ (გეოგრაფია, 54) ეწოდება ხევლრმის ხრამს, რომელსაც ქციის სამხრეთით შეშდინარე ავლადის ხევი გამოსდის. დავითის ისტორიკოსი ხევლრმის ახლოს მეორე პუნქტსაც აღნიშნავს, რომელიც აგრეთვე მეფეთა სადგომი ყოფილა. 1124 წელს აგვისტოს დავითი თრიალეთს ისვენებდა. „აგვისტოს კ მოვიდეს მეწიგნენი ანელთა თავადთანი, მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბ უ ჟ ა ნ ა ს (ც. ბოჟანას) წ ყ ა რ ო თ ა ზ ე დ ა მდგომსა“ (დცა, დავ. ისტ. 311). აქვე მოვიყვანოთ მოწმობანი, რომ ღრტილა თრიალეთისაკენ მომავალ გზაზედ მდებარე პუნქტი იყო ჯავახეთში და სადგომი მეფეთა... „ჟამთა უკუე... მეფისა ბაგრატისთა იქმნა კუალად კრებაჲ ღრტილას არა ვიდრემე სამღუდელო, არამედ უფროსღა სამხედრო“ მოგვითხრობს აგიოგრაფი (იხ. საქ. სამოთხე, 615—621, „სიტყვის გაგება ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღურისა“). ამ თხზულების მიხედვით ღრტილას მდგარა ამ დროს მეფე ბაგრატ სამეფო კარით, აქ ყოფილა ამ დროს მისი „პალატი“. XI საუკუნის 50-იანი წლები იყო. ბაგრატ მეფეს და ლიპარიტ ქართლის ერისთავს ურთიერთ შორის სასტიკი ბრძოლა აქვთ. თურქთა ტყვეობიდან ლიპარიტის გამოსვლის გამო „დააგდო ტფილისი მეფემან და გავიდა ჯავახეთს. ამისსა შემდგომად გამოიყუანნა მაწყუერელმან მესხნი განძითა ბაგრატისათჳს შეულად მეფისა და მეფე დგა ღრტილას. ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა· გამოექცა მაწყვერელი ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს, ცნა ესე მეფემან. ზამთრის ბუქთა საშინელთა გარდაიარა შარვაშეთი (სწერია შავშეთი) და ჩავიდა ქართლს“ (ქცა. მატ. ქ-ა, 262). მოყვანილი ამონაწერიც, ვფიქრობთ, მოწმობს, რომ ღრტილა თრიალეთისკენ მიმავალ გზაზედ მდებარე პუნქტია ჯავახეთში. ეხლა თუ იმასაც ყურადღებას მივაქცევთ, რომ ღრტილადან სამხრეთ-აღმოსავლეთით ღრტილა-ახალქალაქს შორის იქვე მახლობლად ქ ა ლ ა ქ ი ბ ა რ ა ლ ე თ ი აღმოცენდა, ჩვენ თითქო წალკა—ახალქალაქის ერთ-ერთი მარშრუტი ბ ო ჟ ა ნ ო — ხ ე ვ ღ რ მ ა — ღ რ ტ ი ლ ა — ბ ა რ ა ლ ე თ ზ ე დავადგინეთ.

ზემორე ამონაწერში ჯავახეთის მეორე პუნქტიცაა დასახელებული თრიალეთ—ჯავახეთის გზაზედ. ლიპარიტ ქართლის ერისთავი, მისი მეშველი კახელებით, უეჭველია, თრიალეთის გზით მოვიდა და „მოადგა ფოკათა“. ფოკანი ჯავახეთის მტკვრის გამოსავალს, ფარავნის ტბის სამხრეთ ნაპირზე მდებარე პუნქტია. ის მდებარეობდა იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ ზემოთ ვუჩვენებდით ქართლის ერისთა-

ვის აშოტის ბიზანტიაში ლტოლვის შესახებ ცნობასთან დაკავშირებით. XI—XII საუკუნისათვის წალკა-ახალქალაქის ეს მეორე მარშრუტი უნდა ყოფილიყო: წალკა-ფარვანა (აქ დღემდის დაცულია ქარვასლის ნანგრევები) ფოკანი—აბული—ხიდი ჯავახეთის მტკვარზე — ახალქალაქი.

მოიპოვება ცნობა, რომ ჯავახეთიდან თრიალეთს მიმავალი გზა ფოკანთან მისვლამდის გამოივლიდა განძათა, სადაც მაგარი ციხე იყო. ამ ციხისა და აქვე მტკვარზე, ხიდის ნაშთი, რომელსაც როგორც ნაგვიანევად გადმომცეს, დღემდის შერჩენილი აქვს ქართული ასომთავრული წარწერა, ეხლაც იპოვება აქ.

თრიალეთ—აბოცის გზის უძველესი დადასტურება ჩვენ თითქო ნინოს ცხოვრებაში გვაქვს. დვინიდან ლტოლვილი ნინო „მოიწია მთათა ჯავახეთისათა, სადაც იგი მიემთხვა ტბასა დიდსა გარდარომდინარესა, რომელსა ეწოდების ფარავანა". ნინო დადგა „გარსადინელსა მას ტბისასა" (ე. ი. ფოკათა) ნინო, ჩანს, დაერიდა თრიალეთის ქედის გადალახვას და უმოკლესი გზით მცხეთას მისვლას. ის შორი გზით წავიდა შიდა ქართლისაკენ (ლ. მ. 69).

·აბოც — თრიალეთის გზით მოვიდა თითქო თემურ ლენგი 1393 წელს· თემურ ლენგმა სომხეთი აოხრა. კარი აიღო. შემდეგ „გარდამოვლო აბოცი... (აოხრა)... წარმოვიდა და გარდამოვლო თრიალეთი, საბარათიანო და ტფილისს შემოერტყა" (ქცა, გაგრძელება, 857).

თრიალეთიდან აბოცზე გავლით წავიდა შაჰის კარზედ 1695 წელს ქართლის მეფე გიორგი, რომელმაც „ჩავლო ქართლი, შევლო ატენი, განვლო თრიალეთი, აბოცი და მივიდა ერევანს" (ვახ. საქ. ისტ. ზაქ. ჰ. გამ. 102).

აბოციდან ეს გზა გოლისა და სადამოს ტბათა გამოვლით ფარავნის ტბის გარსადინელს ანუ ფოკათა მოადგებოდა, საიდანაც თრიალეთისკენ ზემოდასახელებული მიმართულებით მიდიოდა.

* * *

დასასრულ, თრიალეთ-სამშვილდის გზის შესახებ.

XI საუკუნის 60-იან წლებში ბაგრატ მეფემ მოიბირა „კაცნი სომეხთა მეფისანიცა და სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვრიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჰალასა და აცნობეს ბაგრატს და წარვიდა ქვაკრელთად მსწრაფლ და მოგუარნეს პყრობილნი კლდეკართა ქუეშე". ბაგრატმა სამშვილდე „იპყრნა სახლად თჳსად" (მატ. ქ-ჲ, 269).

1072 წელს სამშვილდის ბარს მდგომი მეფე ბაგრატ ავად შე-

იქმნა. ის „ჩადგა მარაბდათა და გაუძნელდა სალმობა და ტახტითა წამოიყუანეს დაღეთად და თანა ჰყუა გიორგი კურაპალატი და ყო-




ველნი დიდებულნი მისნი... მოიყუანეს ქართლს". (მატ. ქ-ა, 276). მარაბდიდან დაღეთს მოყვანა გვაფიქრებინებს, რომ ავადმყოფი

მეფე ქართლში სამშვილდე-თრიალეთის გზით მოიყვანეს, თბილისზე მისი წაყვანა არ შეიძლებოდა. ქალაქი არაბ ამირას (და თურქთა) ხელთ იყო, ხოლო მანგლისით წაყვანა რომ სურვებოდათ, მარაბდიდან დაღეთზე კი არა, არამედ წინწყარო—ფარცხის—ტბისზე გაივლიდნენ.

XI საუკუნის 75-იანი წლები იყო. „კუალად განდგა ივანე ლიპარიტისძე და ცნა გიორგი მეფემან. ქუთაისით გარდამოვიდა სამცხეს, მოირთნა მესხნი, გარდამოიარა და მივიდა სამშვილდის კარსა. მუნ მოიყუანა კახთა მეფე აღსართან. ვერ დაუდგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთათა სომხითისათა... მოეყარა მეფე სამშვილდესა, გარდადგა ჯავახეთს და მოიყუანა მეფეთ მეფემან გიორგი მათ წინაშე და დაიფიცნეს ეკრანთას და დაიმტკიცა ივანე კლდეკართა და სამშვილდეს ზედა" (მატ. ქ-ა, 279). თითქო უეჭველია, რომ როგორც გარდმოსვლისას, ისე უკუქცევისას გიორგი მეფემ სამშვილდე—თრიალეთის გზა გაიარა.

ადგილზე შეუსწავლელად თრიალეთ—სამშვილდის ამ მარშრუტის დადგენა ძნელია. სამშვილდიდან თრიალეთს მისვლა შეიძლებოდა როგორც ქციის შემდინარე ჰივჰავით, რომლის „სადინს არს ნადარბაზევი, თამარ მეფის ნასასახლევი" (ვახუშტი, გეოგრაფია, 57), ისე ქციის ხეობით. უკანასკნელი გზა გაუვლიდა ბ ე რ ე-ქ ა ლ ი ს ა და ხ უ ლ უ ტ ი ს ციხეებს, დაბა ქციას, ლიპარიტის უბანს და ქცია—კლდეისის წყლის შესართავთან გაორდებოდა. ერთი შედიოდა თრიალეთში კლდეისის ხეობით და ხ ო რ ხ ე ბ ი ს ც ი ხ ი ს გავლით, მეორე ისევ ქციის პირით მ ო დ ა ნ ა ხ ი ს ც ი ხ ე ს ა და თრიალეთის ახალქალაქს გაივლიდა.

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე პროვინცია იყო. წერილობითი მოწმობანი და ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთები (ქალაქები, ციხეები, სასახლეები, ფუნდუკები, ხიდები, ტაძრები) ერთხმად მოწმობენ, რომ „ქვენა სოფელი" კულტურულ-ინტენსიური ცხოვრებით საქართველოს არც ერთ სხვა ნაწილს არ ჩამოუვარდებოდა. პირიქით, მრავალ მათგანს წინუსწრებდა კიდეც. ხუნანი, გაჩიანი, სამშვილდე ქვემო ქართლის უძველესი ქალაქებია და ამ კუთხის ინტენსიურ ცხოვრებას მოწმობენ ჩვენი ისტორიის უძველეს დროს. ნაქალაქევი (შულავერის ხეობაში), ნაქალაქევი (ზურტაკეტში), ლორე, დმანისი, ზორაკერტი, ბამბაკი, წინწყარო, ბოლნისი, ოფრეთი, გომარეთი, აბოცი — შემდეგ ხანებში სხვადასხვა დროს წარმოქმნილი ეკონომიური ცენტრებია მეტნაკლებზის სანახებით და მოწმობაა ინტენსიურ კულტურული ცხოვრების შემდგომი განვითარებისა.

ქვემო ქართლს, როგორც განაპირა ტერიტორიას, განსაკუთრე-

ზით მწვავედ ხვდებოდა ერანელთა თუ სხვა აღმოსავლელ დამპყრობელთა შემოსევანი და არა ერთგზის დაცლილა ეს ქვეყანა მოსახლეობიდან ნაწილობრივ თუ მთლიანად... X—XII საუკუნეში ქვემო ქართლი ფრიად განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანას წარმოადგენდა. ზემოდასახელებულ ქალაქთა უმრავლესობა ამ დროს ცოცხალი ქალაქებია...

თბილისიდან ქვემო ქართლისაკენ გზები კოჯრისა და კარის კარით გადიოდა. პირველი კოჯრის კარიდან ტაბახმელამდის თბილის-მანგლისის გზა მიჰყვებოდა. ტაბახმელას გაყრილი ის ვაშლოვანისკენ დაუხვევდა და ფარცხისისკენ მიიმართებოდა ასურეთ-ენაგეთზე. ფარცხისში მას შემოეყრებოდა თრიალეთ—მანგლისიდან ალგეთის პირით ბ ი რ თ ვ ი ს—ტბისზე მომავალი გზა (ამ უკანასკნელის შესახებ ჩვენ ზემორე ვუჩვენეთ). ფაცხისიდან (სამება-ზოვრეთ-დაღეთზე გავლით?) გზა ქვემო ქართლის ერთ-ერთ პოლიტიკურ ცენტრში ს ა მ შ ვ ი ლ დ ე შ ი შედიოდა. აქედან გზები მიდიოდა: 1. მანგლისში ორთაშუა-აღბულახი — გუდარეხზე გავლით, 2. თრიალეთში (იხ. ზემორე), 3. ზორაკერტში (—ყარაბულახში). სამშვილდე—ზორაკერტის გზა დაბა ქციასთან გაეყრებოდა სამშვილდე—თრიალეთის გზას და (ნაქალაქევით, ციხექვაბით, შესაყარით და ნაპალატევით) ზორაკერტში შედიოდა.

სამშვილდის გვერდით ზორაკერტი მეორე ცენტრი იყო ქვემო ქართლისა: XI საუკუნეში ქვემო ქართლის მფლობელი დავით სომეხთა მეფე „სამშვილდარ—ზორაკერტელის“ სახელით იყო ცნობილი (იხ. მატ. ქ-ა, 258).

ვახუშტი ზორაკერტის ხეობას იცნობს მხოლოდ. დაბა ან ქალაქი ასეთი სახელით მან არ იცის. ყარაბულახს ის სთარგმნის „ხოლო დაბა არს ველსა ზედა შავიწყარო (ყარაბულახი)“ (იხ. გეოგრაფია, 52). შეიძლება ასეც იყო და ყარაბულახს არც ძველად ერქვა ზორაკერტი, მაგრამ რომ ამ სახელის დაბა ან ქალაქი მდინარე ზორაკერტის ხეობაში უნდა არსებულიყო, ამას თვით სახელი ზ ო რ ა კ ე რ ტ ი უნდა მოწმობდეს... შეიძლება ეს სახელი ერქვა შემდეგი დროის ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ნ ა პ ა ლ ა ტ ე ვ ს ა ნ ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ს? ვახუშტით „ზურტაკეტი“ შედგება ფუნდუკისა, ზურტაკეტისა, შაშბიანისა და არყნალის ხევთაგან.

ქვეყანა ზურტაკეტიდან („ყარაბულახიდან“) გზები მიდიოდა 1. თრიალეთ — წალკაში, 2. ფარავანის ტბისკენ „აქ არის ფუნდუკი თამარ მეფისაგან აშენებული ზამთარ მოგზაურთათვის“ (ვახუშტი), (ფუნდუკი — ქარვასლის ხევი — ფარავანი), 3. ჯავახეთს-ახალქალაქისაკენ (განძაზე გავლით) და 4. გოლის ტბა-აბოცისაკენ. დასასრულს, მურისციხის გავლით გზა ზურტაკეტიდან ფინეზაურ-

სა და დბანის ხევში შედიოდა. რომ დმანისიდან ზორაკერტში, ხოლო აქედან თრიალეთს მიდიოდა გზა, ამას მოწმობს ჩვენ მიერ ერთხელ უკვე მოყვანილი ამონაწერი ვახუშტის ისტორიდან: ქალბალიხან და ერეკლე I ხუნანიდან დიდის ლაშქრით წამოვიდნენ: გ ა ი ა რ ე ს  დ მ ა ნ ი ს ი  დ ა  მ ი ვ ი დ ნ ე ნ  ყ ა რ ა ბ უ ლ ა ხ ს. აქედან მათ ლაშქარი გაგზავნეს საციციანოს. ლ ა შ ქ ა რ მ ა  გ ა ვ ლ ო თ რ ი ა ლ ე თ ი, გადაიარა თ ო რ ი ს  მ თ ა გ უ ჯ ა რ ე თ ზ ე და შევიდა ძამას ხეობაში—გვეძინეთს.

თრიალეთ-ყარაბულახის გზის არსებობას ადასტურებს აგრეთვე ერთხელ უკვე მოყვანილი მოწმობა XVIII ს. 50-ანი წლებიდან. მეფენი ერეკლე და თეიმურაზ დიდის ჯარით წავიდნენ წალკას მდგომ ლეკთა წინააღმდეგ, რომელნიც გარშემო ქვეყნებს არბევდნენ. როცა მეფენი ბედენის მთას ავიდნენ, ლეკები წ ა ლ კ ი დ ა ნ აიყარნენ, გ ა დ ა ი ა რ ე ს  დ მ ა ნ ი ს ი ს მთის ძირზე, ტაშირზე ჩაიარეს და მივიდნენ ახპატის ხეობაზე (საქ. ცხ. პაპუნა 216).

სამშვილდე, რასაკვირველია, პირდაპირი გზით დმანისთანაც იყო დაკავშირებული (ძველი ქვეში-დარბაზი-კაკლიანი-ბოსლები?). აღმოსავლეთისკენ კი გზები სამშვილდიდან მარნეულს (წინწყაროზე გავლით) და ნახიდურს იფნობთან ხიდისა (აქ იყო საბაჟო) და მირტაშენზე გავლით (აქაც იყო ს ა ბ ა ჟ ო) მიდიოდნენ.

სამშვილდე XI საუკუნის 70-იან წლებში მთელ აღმ. საქართველოსთან ერთად თურქებმა ჩაიგდეს ხელში. დავით II კარგად აფასებდა სამშვილდის მნიშვნელობას ქვემო ქართლის დაპყრობის საქმეში და 1110 წელს მისმა ერთგულებმა „სიმარჯუით მოიპარეს სამშვილდე“ (დავ. ისტ. 296). პროფ. ივ. ჯავახიშვილი, აფასებს რა ამ პოლიტიკური ფაქტის მნიშვნელობას, სამართლიანად შენიშნავს, რომ „სამხრეთის სავაჭრო გზაც ამ ქალაქზე მიდიოდა“ (იხ. ქართ. ერის ისტ. III, 511).

მეორე გზა თბილისიდან სამხრეთისაკენ მარნეულს განშტოვდებოდა, „მარნეულს არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძველადვე ლომთა გორა“—ამბობს ვახუშტი (გეოგრაფია, 62). მარნეულს მისვლამდის ამ გზას (კოდას?) გამოეყოფოდა შტო, რომელიც მარაბდას მისული ალგეთს ხიდით გადალახავდა (ამ ძველი ხიდის კურტნები დღევანდლამდის დაცულია) და ერთის მიმართულებით დურნუკ („დიდ“)—წინწყარო—სამშვილდეზე (ამ გზით, უნდა ვიფიქროთ, წაიყვანეს ავადმყოფი ბაგრატ მეფე 1072 წელს), მეორეთი კი ნახიდურზე მიდიოდა მოკლე გზით (უკანასკნელ დრომდის რატევნისაკენ მიმავალი ტფილელი მეხილეები ამ „ძველი გზით“, როგორც ისინი უწოდებენ, ატარებდნენ თავიანთ ქარავნებს).

მარნეულს მისავალსაც ალგეთზე იყო ხიდი.

გზები მარნეულიდან მიდიოდა: ნახიდურის გავლით და მაშავერის ხეობით; ტაშირს მისული ეს გზა ბამბაკში გადადიოდა, სადაც კვლავ შეეყრებოდა მარნეულიდან ბერდუჯის ხეობით წასულ გზას.

ორივე ეს გზა ძველითგანვე მჭიდროდ დასახლებულ კულტურულ რაიონებს აკავშირებდა. ისინი დიდი ეკონომიური მნიშვნელობისანი იყვნენ. ამავე დროს საქართველო ამ გზებით თავის სამხრეთის მეზობლებს უკავშირდებოდა და ამდენადვე ხსენებულ მარშრუტებს საშინაოს გვერდით საგარეო მნიშვნელობაც ჰქონდათ. ორივე გზა ვიწრო და გრძელი ხეობებით მიდიოდა და მათი ჩაკეტვა საჭიროების დროს დიდ სიძნელეს შეამთხვევდა შემოსევის მსურველს. მოხერხებულ ადგილებზე მაგარი ციხეები უპირველესად ამ მიზნებს ემსახურებოდა.

აღნიშნული გზები, უეჭველია, უძველესი დროიდანვე არსებობდა. დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ შემოიერთა ორივე ეს ხეობა. აქამდის ისინი არაბთა შემოსევის დროდან თბილისის საამიროს უშუალო სამფლობელოს შეადგენდნენ ან კიდევ ლორელ კვირიკიანთა და სამშვილდარ-ზორაკერტელთა („სომეხთა მეფეები“ X—XI სს.) ხელთ იყვნენ. ამიერიდან ამ გზების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ მიმართულებით წარმოებს უმთავრესად XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოს ექსპანსია, რასაც შედეგად მოჰყვა მთელი სომხეთისა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიათა თურქების ხელთაგან გამოგლეჯა. ძველი დროიდან მარნეულის შესახებ ჩვენ ცნობები არ შემოგვენახია.

მარნეულიდან პირველი მნიშვნელოვანი პუნქტი დმანისისაკენ ნახიდური იყო. ვახუშტი ნახიდურს ვახტანგ მეფის მიერ აქედან რუს გატანასთან დაკავშირებით იხსენებს მხოლოდ. ჩანს, სხვა რაიმე სათქმელი ამ ადგილის შესახებ მას არა ჰქონია რა. უკანასკნელ დროს იყო გამოთქმული მოსაზრება ნახიდურ ცურტავის იგივეობის შესახებ. იყო თუ არა ეს ასე, პროფ. ლ. მელიქსედბეგი (ამ მოსაზრების ავტორი) იმაში მაინც მართალია, რომ ნახიდური მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ყოფილიყო... უპირველეს ყოვლისა ის რუს თავია, აქედან გაყვანილი რუსაგან არის დამოკიდებული მთელი ხუნანის ველის ნაყოფიერება. ადვილად დასაშვებია რომ ეს „რუსთავი“ ხუნანის ველის მოსახლეობის პოლიტიკურ ცენტრად ქცეულიყო, სადაც ამ ნაგებობის („ნაგები“?) ორგანიზატორ-ექსპლუატატორის ადგილსამყოფელი დაიდებოდა (შდრ. რუსთავი, წილკანი...).

მეორეც ისა, რომ ნახიდური ძველი დროიდანვე „ხიდის თავი“ იყო. ამ ადგილს XII საუკუნის დასაწყისშიაც „ნახიდური“ ეწო-

დება. ამავე დროს ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ აქ ამ დროს მოქმედი ხიდი იყო. ჩანს „ნახიდური“ მას სხვა დროს, გაცილებით უფრო ადრე შერქმევია, ხოლო ის ხიდი, რომლის მოშლის შემდეგ ეს სახელი მიიღო ამ ადგილმა, კიდევ უფრო ადრე უნდა ყოფილიყო.

ნახიდურის მნიშვნელობაზე მიუთითებენ მონუმენტალურ ნაგებობათა დღემდის გადარჩენილი ნაშთები... ამავე დროს ნახიდური გზასაყარიც იყო. გარდა დმანის—მარნეულისა აქედან მიდიოდნენ გზები სამშვილდეზე (იხ. ზემოთ), წინწყაროზე, მარაბდაზე... უეჭველია, აქ უძველესი დროიდანვე ციხე და საბაჟო უნდა არსებულიყო. დამახასიათებელია, რომ XVIII საუკუნეში დარეჯან დედოფალმა აქ (ქოლაგირში)-ნახიდურის აღმოსავლეთი ნაწილი, ააშენებინა ციხე ქარვასლით... ნახიდურის, როგორც საგზაო პუნქტის, წერილობითი დამოწმება ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისიდან მოგვეპოვება. 1118 წელს მეფე დავით მეორე „წარემართა ღანუკით წარსვლად რაჴსის პირსა და ზატიკი გარდაიხადა ნახიდურს“ (დავ. ისტ. 299). XIII საუკუნის მიწურულს მონღოლთა უფლისწული თუქალი საქართველოში იყო შემოხვეწილი. მონღოლთა უფლისწულები ერთი მეორეს ებრძოდნენ საყაენო ტახტისათვის. ყაზანმა ბაიდუ ყაენი მოაშთო და ქართველთა მეფეს დავითს და ბექა ჯაყელს თუქალის გაცემა მოსთხოვა. გასცეს. ყურუმჩი ნოინი, „ვითარ ცნა წარყვუანა თუქალისი ურდოსა, მოეგება ელჩსა ყაანის ყაზანისსა ნ ა ჴ ი დ უ რ ს და წარგვარა თუქალი და მოკლა“ (ჟ. აღმ. 752).

შემდეგი საგზაო პუნქტი ამ მიმართულებით ეს ქვეშის ციხეა. „ქვეშის საბაჟო“ კარგად მოწმობს ამ ციხის, როგორც საგზაო პუნქტის, დანიშნულებას. 1468 წელს მეფე ბაგრატმა დაუმტკიცა ჯავახიშვილებს „სომხითს ქვეში ც ი ხ ი თ ა დ ა ბ ა ჟ ი თ ა“ (საქ. სიძ. II, 40). ეს ციხე შედარებით ნაგვიანები შეიძლება იყოს: ამ აზრს ადასტურებს „ძველი ქვეშის“ არსებობა ამავე რაიონში. ყოველშემთხვევაში X—XII საუკუნის წყაროებში ჩვენ ქვეში არ შეგვხვედრია. ქვეშის შემდეგ ამ გზაზედ შესანიშნავი არის დ მ ა ნ ი ს ი. ის პირველად არაბთა დამსჯელი ექსპედიციის მხედართმთავრის ბუღა თურქის საქმიანობასთან დაკავშირებით არის მოხსენებული IX საუკუნის შუა წლებში. ვახუშტიც ამიტომ მას ამ დროს დაარსებულად სთვლის: „აქ დასხნა ბუღა თურქმან ოსნი. მიერ ჟამითგან იყო ციხექალაქი (მის ჟამამდე არა ხსენებული), პგ მეფის სვიმონისამდე“ (გეოგრაფია, 49). ვახუშტის ამ დაკვირვებას—დმანისის IXსაუკუნეში წარმოქმნის შესახებ მხარს უჭერენ გასულ წელს აქ ნაწარმოებ არქეოლოგიურ გათხრათა შედეგები. ასეთი აზრისაა ამ სამუშაოთა მწარმოებელი დოც. ლ. მუსხელიშვილი. IX საუკუნის

შუაზედ აქ ქალაქის წარმოქმნა კი ფრიად სიმპტომატურია. სხვა მიზეზთა გვერდით ეს ფაქტი, უეჭველია, ამ სავაჭრო გზის გაცხოველებისგან დიდად იყო დამოკიდებული. ბუღა თურქმა კი უნდა ვიფიქროთ, დმანისი თავის ერთგულთა დასასახლებლად სწორედ იმიტომ შეარჩია, რომ ამით საქართველოში შემოსასვლელ ერთ-ერთ დიდი გზის ყელში საიმედო დასაყრდენი გაიჩინა. ამის შემდეგ დმანისი არაბთა და (შემდეგ) თურქთა უშუალო მფლობელობაში რჩება. XII საუკუნის დასაწყისს დმანისი თბილის-განძასთან ერთად დავით II წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებს. ამ ქალაქთა ვაჭრების ინიციატივით დავითის წინააღმდეგ თურქ მფლობელთა დიდი კოალიცია შედგა, რასაც შედეგად 1121 წლის ცნობილი დიდგორის ომი მოჰყვა (დავ. ისტ. 305—306).

დავითმა დმანისი საქართველოს მხოლოდ 1123 წელს შემოუერთა (დავ. ისტ. 310). 1125 წელს დიმიტრი დავითის ძე კვლავ იპყრობს დმანისს. ჩანს, დავითის გარდაცვალებისას თურქებს დრო უხელთიათ და ეს დიდმნიშვნელოვანი სავზაო პუნქტი ისევ მიუტაციათ. XII—XIII საუკუნეთა წყაროებში და შემდეგაც დმანისი (თავისი საბაჟოთი) არა ერთხელ იხსენიება.

დმანისიდან ლოქის მთის გადალახვით და შემდეგ ტაშირის წყლის ხეობით გზა ლორე ციხე-ქალაქზე მიდიოდა (ვახუშტით ლორე ტაშირის წყლის და დებედას შესართავთან არის). ლორე თავისი მდებარეობით საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ციხე-ქალაქი იყო. XII საუკუნეში, როცა ფეოდალური საქართველო ფართე ექსპანსიის პოლიტიკას აწარმოებდა, ლორე უპირველესი მონაპირეს—ამირსპასალარის სახელო ქალაქი იყო. ამ მონაპირის მოხსენებათა ნიადაგზე სდგებოდა მეფის კარზედ სამხრეთის ქვეყანათა დაპყრობის კონკრეტული გეგმები, რაც აგრე ფართედ და წარმატებით ხორციელდებოდა.

გარდა ამისა, ლორე ტაშირზე მებატონე ციხე-სიმაგრე იყო. ტაშირი კი ის ქვეყანაა, საიდანაც მაშავერის თუ ქცია—ბერდუჯის ხეობაში არა ერთი გზა შედიოდა (ბერდუჯით, შულავერის წყალით, ბოლნისის წყალით, დბანის ხევით და სხვ.). ამდენადვე ტაშირზედ მებატონე ლორე ბუნებრივად ჰკეტავდა საქართველოში შემოსასვლელ ყველა ამ კარს. ასე რომ ლორე საქართველოს საყრდენი პუნქტი იყო არა მარტო შეტევისას სამხრეთის მიმართულებით, არამედ ისეთივე დიდმნიშვნელოვანი იყო საქართველოს თავდაცვისათვისაც. ამიტომაც იყო რომ ამ მხრიდან საქართველოზე წამოსული ყველა დამპყრობელი აგრე დაჟინებით ცდილობდა ამ ციხე-ქალაქის ხელში ჩაგდებას და ამით შიგნით ქვეყანაში შემომავალ გზათა „კარების შეხსნას“. მონღოლები, თემურლენგი, უზუნ ასანი,

იაყუფ ყაენი, ერანელთა ყაენები თუ თურქი-ოსმალები XVI საუკუნეში და დასასრულ შაჰაბას ყაენი, ყველა ესენი საქართველოს დამონების ცდაში უპირველესად ლორეს იპყრობდნენ... ქართველების (ალექსანდრე I, სიმონ I და სხვ.) თავგამოდებული ცდები ლორეს დასაბრუნებლად და შესანარჩუნებლად მოწმობენ, რომ მათ კარგად ჰქონდათ შეფასებული ამ ციხე-ქალაქის მნიშვნელობა. ვახუშტი მისთვის ჩვეული ბრძნული დაკვირვებით შენიშნავს, რომ ლორე ბერდუჯის მდინარით „ოდეს მიიღო შააბაზ, ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ მექმნებისო შესავალ-გასავალი ადვილად ქართლსა შინა“ (გეოგრაფია, 43).

ლორედან გზა ბამბაკში გადადიოდა, საიდანაც ერევნის მთების გადალახვით სომხეთში შედიოდა ორი მიმართულებით:—ანისისა და ერევან—ეჩმიაძინის.

ლორედან სომხეთისაკენ წასულ გზას ბამბაკში შემოეყრებოდა მარნეულიდან დებედას ხეობით წამოსული გზა. დმანის—ლორეს მიმართულებასთან შედარებით ამ გზას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკლე იყო. ამ გზის მოვლილობასა და მნიშვნელობაზე მიგვითითებენ: ხიდთა ნანგრევები არაერთ ადგილას რომ ყოფილა დებედაზე გადებული. სანაინთან «Каменный мост древней постройки 60 арш. дл. и 5 аршин ширины» ეხლაც მოქმედებს (იხ. Военно-статистическое описание Тифлисской губернии и Закатальского округа. т. II, Маршруты, 97).

ვახუშტი დებედაზე მომქმედ ხიდებად უჩვენებს ახპატისა და სანაინის ხიდებს. ასევე ნიშანდობლივია ამ გზისთვის სოფელი შიდაკარი დებედას მარცხენა ნაპირზე ახპატ-სანაინის სანახებში. ციხეებიც, ბუნებრივია მოხერხებული ადგილებიდან მეთვალყურეობდნენ ამ გზა-შარას (წოფი, პატარა ბერდიკი, ქობაირი...). ერანელი დამპყრობლები კარგად ხედავდნენ, რომ ამ გზის თავიანთთვის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ლორე—ტაშირის დაუფლება საკმაო არაა და რომ საჭიროა არა მარტო ხეობაში შემოსავალ კარების, არამედ ამ ხეობიდან გამოსავალ კარების დაპატრონებაც. ალჯაყალის ციხის აგების საკითხი XV—XVI საუკუნეებში და ბორჩალოს ველის ჩამოსახლება შაჰაბასის მიერ, სხვათა შორის, ამ მიზანსაც ემსახურებოდა.

ბამბაკ—ტაშირიდან მაშავერისა და ქციის ხეობაში, როგორც ზემოთაც უჩვენებდით, ზემოხსენებულთ გარდა, სხვა გზებიც შემოდიოდა. მაინც და მაინც ორი მათგანი—შულავერისა და ბოლნისის ხეობებით—ძველი წყაროებითაც არის დამოწმებული. ნაქალაქევი და ციხე, შულავერი, ციხის სოფელი, ოფრეთი (ციხე და შემდეგ ქალაქი) შულავერის ხეობით მიმავალი გზის მაჩვენებელი პუნქტებია.

მეორე (ბოლნისის ხეობით) მიმართულების „საგზაო პუნქტე-ბია“: „სატრედოს მაშავერზედ შენი არს კიდი ქვიტკირისა, ზ თვა-ლი წყალდიდობისათვის“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 50), ბოლნისი (სა-ეპისკოპოსო ტაძარი, შემდეგ ქალაქი და ციხე), დარბაზი, ციხე ბერ-დიკი, ციხე ლურჯი ვანქი (ქალის ციხე?) და ხიდები (ძაღლის ხიდი, თეთრი ხიდი...), რომელთაგან ზოგიერთი დღესაც მოქმედია, და ბოლოს გადასავალი (უკეთ, გასავალი): «На перевале дорога проходит через так называемыя Волчья ворота, — проходит в три сажени шириной вырубленной в скале», შენიშნავს ამ მარშრუტის შემსწავლელი რუსი მოხელე ლდახოვი (იხ. ზემოდასახელებული Маршруты... 97). ახლა ჩვენ არაერთს ასეთს „კლდეკარს“ ვიცნობთ (უფლისციხის მისავალს, დევის ნა-მუხლს, თრიალეთის კლდეკარს...). განსხვავება ისაა, რომ ეს „კლდე კარი“ სხვებთან შედარებით უფრო ფართოა...

აღნიშნული გზები მოხსენებული პუნქტებით (ლორე, აგარანი, ქობაირი, ახპატ-სანაინი, ოფრეთი, ბოლნისი, ბოლნისის ხევი) მრავალჯერ იგულისხმებიან ან კიდევ პირდაპირ არიან ხოლმე დასა-ხელებული ძველს ქართულ-სომხურ წყაროებში. დავით II, დე-მეტრე I, გიორგი III, თამარის ლაშქარი თუ ლაშა გიორგი ამ გზე-ბით მიმოდიან სამხრეთის ქვეყნების დასაპყრობად თურქებთან წარმოებულ ომების დროს. დამპყრობელებიც არაერთხელ ამ გზე-ბით შემოდიოდნენ საქართველოში. კერძოდ, ჯალალედინი (XIII ს. 30-ანი წლები) ერთ-ერთ შემოსევას ტაშირიდან ბოლნისის ხეო-ბით ახორციელებს (ქ. აღმ. 588).

მრავალგზის იხსენებიან აღნიშნული გზები ნაგვიანევ წყარო-ებშიაც. თურქმენები, ყიზილბაშები, თურქ-ოსმალები, თეიმურაზ-ერეკლეს ჯარები, მშვიდობიანი სავაჭრო ქარავნები თუ ამ ქარავ-ნებსა და ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებზე მონადირე ლეკ-თა დასტები ამ გზებით სარგებლობენ თავიანთ პოლიტიკური თუ სამეურნეო-ეკონომიური მიზნების განხორციელების დროს.

* * *

სამცხე-საათაბაგო მტკვრის ზემოწელის და ჭოროხის აუზე-ბისაგან შედგებოდა. პირველში შედიოდნენ: სამცხე, ჯავახეთ—ერუშეთი, არტაანი (პალაკაციოთი), კოლა—ზემო ქართლი, მეორე-ში: — ტაო, თორთომ — ისპირი, პარხალი, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა.

როგორც სოციალ-ეკონომიურის, ისე (და იმდენადვე) გზათა

ქსელის განვითარებულობის მხრით სამცხე-საათაბაგო დანარჩენ ხარის საქართველოს არაფრით ჩამოუვარდებოდა. აქაც ხევი ხევს, ხეობანი მთავრ სააუზო მაგისტრალს და აუზი აუზს ბილიკით, გზით-შარით უკავშირდებოდნენ. გარდა ამისა, ორივე ხსენებული აუზიდან გზები გადადიოდა გარეშემო ქვეყნებში; ბიზანტიაში, სომხეთში, ქვემო და შიდა ქართლში, ლიხთიმერეთში. შიდა ქართლიდან ხეობით, როგორც აღვნიშნეთ, სამცხეში შარა შედიოდა. ნაწილობრივ ჩვენ ხეობის გზა უკვე ზემოთ შევისწავლეთ. „ჰობის კევს ზეით ქვაბის კევის დასავლით“ „მტკვრის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი (ვგონებ ამას დემოთის ციხედ), რომელი აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან და განავსნა სპითა შემწედ წუნისათჳს და შურად ოძრახისა და ლომსიასათჳს და რათა ვერღარა ვიდოდნენ სპანი ქართლისანი მას ზედა ვინაჲთგან ჯავახეთი ეპყრა მასვე“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 206). შეიძლება ვახუშტი დემოთისა და ამ ციხის გაიგივებაში ცდებოდეს (თუმცა მეცნიერის ეს ვარაუდი ფრიად საფუძვლიანია და მის უარსაყოფად თუ დასადასტურებლად საჭირო იქნებოდა ღადო ფერსათის კერძ სამცხის ადგილობრივი შესწავლა, მაგრამ ამას ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს). რომ დემოთი მთა ლიხისა და ღადოს შესაყარს იყო (ეკერის ხევზედ?) ამის შესახებ იხილე ჟ. ალმ. 708. დემოთის ციხეს მესხური დავითნის ქრონიკაც ასახელებს. 1587 წელი. „პატრონი ღედისიმედი და პატრონის ყვარყვარეს შვილი პატრონი ქაიხოსრო საკანაფეს ციხეში დადგეს და დიასამიძემ ელია დემოთას ციხეს სავალიშვილო საღალატოდ შეუყენა. უღალატეს, ციხე წაართვეს და ბევრი საქონელი და სალარო დაიჭირეს“ (სამი ისტ. ქრ. მესხ. დავ. ქრ. 114). ვახუშტის ეს ტექსტი განსხვავებით მოჰყავს: „დიასამიძე ელია დემოთის ციხეში საავალიშვილოს შეუყენეს, წაართვა ამან ციხე და განძი მრავალი და საფასოც დაიჭირა“ (ისტორია, 253). აღნიშნული ციხე ვახუშტის სწორი დაკვირვებით შიდა ქართლიდან სამცხეში შემავალ შარას ჰკეტავდა (ხსენებულ ციხის ასეთმა მდებარეობამ აფიქრებინა სახელოვან მეცნიერს, რომ ის სწორედ დემოთის ციხეა, რომელიც ლეონტი მროველის გადმოცემით სომეხთ მთავარსარდალმა ქართველთა საწინააღმდეგოდ ააშენა) (ლ. მ. 34). ამრიგად, ჩვენ გზის ერთი პუნქტიც დავადგინეთ. მაგრამ ეს ციხე მტკვრის მარცხენა ნაპირზედ იყო. გზა კი, ჩვენ ეს ზემოთ შევნიშნეთ, ახალდაბიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირს შესდევდა. მაგრამ ეს ასე იყო ჰოზისკევამდე. აქ ალ. ჯავახიშვილის რედაქციით გაკეთებულ რუსულ რუკაზე მდინარე მტკვარზე გავლებულია ხ ი დ ი ს ნიშანი (თუმცა ვახუშტი თავის გეოგრაფიაში აქ ხიდს არ აჩვენებს). შემდეგი საგზაო პუნქტი,—ეს აწყურია—სამცხის უძველესი პოლიტიკური ცენტრი.

მაგრამ „აწყვერი ქალაქი და ციხე დიდშენი მტკვრის კიდეზედ ს ა მ ხ რ ი თ არსი“ (ვახუშტი, 207). გზა კი ჰობის ჴევიდან მტკვრის მარცხენა ნაპირით მიდიოდა. ამიტომაც „აქა არს ჴიდი მტკვრსა ზედა“ (იქვე, 207). აწყურს ზევით ვახუშტი აღნიშნავს „ხ ი დ ი ს თ ა ვ ს“ იქ, სადაც „მტკვარს მოერთვის სამჴრიდამ ხოსპიოს ჴევი“ (იქვე 207). აწინდელ რუკებზე ხიდისთავი ამ ადგილას ნაჩვენები არ არის. ხოსპიოს ჴევის შესართავთან ეხლა ს ა ყ უ ნ ე თ ი ა აღნიშნული, „ხიდისთავი“ აქ უნდა მტკვრის ხიდზევე მიუთითებდეს. ჩანს, გზა მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან აქ ისევ მარცხენაზე გადადიოდა. „მტკვარზედ ხიდი კარგი“ ვახუშტის აღნიშნული აქვს აგრეთვე წნისს (იქვე, 207). წნისი სოფელია მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ვახუშტი ამ სოფელს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ათავსებს. რუსული ხუთვერსიანი რუკა სოფლის აღმნიშვნელ ნიშანს მარცხენა მხარეზე, ხოლო წარწერას მარჯვენა ნაპირზე ათავსებს. პროფ. ალ. ჯავახიშვილის რუკაზე წნისი ნიშნიან-წარწერიანად მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა გადმოტანილი.

ჩვენ ვახუშტის მივსდევთ: ამაში წნისის ხევის ადგილმდებარეობა გვარწმუნებს. ის ყველას მტკვრის მარცხენა მხრით აქვთ მოთავსებული, სადაც „მტკვარს ერთვის წნისის ჴევი, გამომდინარე ფერსათის მთისა“ (ვახუშტი, 207).

წნისის ხეობაზე ვახუშტი აღნიშნავს მონასტრებს: „წნისს ზეით“ და ჰვინტას, ხოლო „ამ ჴევის სათავეს მთასა შინა არს ჰვინტის დასავლეთად ჯ ვ ა რ ი ს ც ი ხ ე მაგარი და დიდშენი“. ჯვარის ციხე ქართულ საისტორიო მწერლობაში არა ერთგზის იხსენიება. მას ზოგჯერ „ჯ უ ა რ ი ს ც ი ხ ე“, ზოგჯერ კიდევ „ციხის ჯუარი“ ეწოდება — (მატ. ქ-ა, 225, 267, ისტ. და აზმ. 437)... მაგრამ „ციხის ჯუარის“ სახელით თორშიაც იყო განთქმული ციხე. ამიტომ არსებობს საფუძველი ეჭვისათვის რომ „ციხის ჯუარის“ ქვეშ წყაროებში მხოლოდ ეს უკანასკნელი იგულისხმება და ჯუარის ციხეს ციხის ჯუარი არასოდეს ჰრქმევია. მაგრამ, როგორც სათანადო ადგილების რეალური გაგება, ისე „ც ი ხ ი ს ჯ უ ა რ ე ლ ო ბ ა“ შემდგომდროინდელ ათაბაგების წინაპართა, რომელთაც ამ დროს (XI—XII სს.) თორის ციხის ჯუარი არა სჭერიათ—უკანასკნელი თორელთა სამფლობელო იყო,—გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ო რ ც ი ხ ი ს ჯ ვ ა რ თ ა ნ: 1. თორში და 2. სამცხეში, სადღაც ოძრხის ახლოს ფერსათს იქითიდან გადმოსულ გზაზედ. ამავე დროს ჩვენ მოგვეპოვება წერილობითი მოწმობა, რომ ამ მეორე ციხის ჯუარს ჯვარის ციხეც ეწოდებოდა. ეს მოწმობა მით უფრო ძვირფასია, რომ მისი ავტორი სამცხელია და თავისი კუთხის კარგი მცოდნე.

სამცხის დასამორჩილებლად XIII ს. 60-იან წლებში ულაუ ყაენმა არღუნი გამოგზავნა. ისიც „თვესა ივნისსა მოვიდა სამცხეს. ხოლო მესხნი რომელნიმე მიეგებნეს არღუნს და რომელნიმე წარჰყვეს მეფეს და ესრეთ იწყო ოჴრებად და ტყუეწვად სამცხეს და მოადგა ციხის ჯვარს და უწყო ბრძოლა ძლიერად, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო. ხოლო ციხეს მყოფნი ძლიერად ბრძოდეს, მრავალი კაცი მოკლეს და დიდად ავნებდეს გარეთ მყოფთა; დღისით და ღამით განვიდიან და ადგილ ადგილად მოსწყვიტიან. და ვითარ იხილა (არღუნ) სიმტკიცე ციხის ჯვრისა, რომელ არს ჯვარის ციხე, აიყარა და წარვიდა" (ქ. ალმ. 675). მემატიანის მოწმობა ნათელია და ეჭვს არ იწვევს, რომ XIV საუკუნეში ციხის ჯვარს ჯვარის ციხეც ეწოდებოდა. ავტორი თითქო განზრახ გახაზავს ამ გარემოებას, რათა მკითხველმა სწორედ ეს ციხის ჯვარი, და არა სხვა რომელიმე, იგულისხმოს. თითქო ყველაფერი ცხადია და ვახუშტისეული ჯვარის ციხე გაცოცხლებულია. მაგრამ საკითხი არც ასე ადვილად წყდება. ტექსტებიდან ისე ჩანს, რომ ციხისჯვარი ოძრხესთან ახლოა (უფრო ახლო, ვიდრე ვახუშტის ჯვარის ციხე) და რომ ეს ციხე „რკინის ჯუარით" (ფერსათზე) გადმოსულ გზაზეა (თამარის წინააღმდეგ აჯანყებულმა დიდებულებმა ლიხთიმერეთიდან „გარდაიარეს რკინის ჯუარი და ჩავიდეს ციხის ჯუარს და დაწუეს ქალაქი ოძრჴე"). საკითხის გამორკვევას კიდევ უფრო აძნელებს ვახუშტისა და აწინდელ რუკების ჩვენებათა შეუთანხმებლობა. ვახუშტით ჰვინტა წნისისხევზე მდებარეობს (იხ. მისი რუკა). აწინდელი რუკებით კი ეს პუნქტი სულ სხვა ხევზეა წნისისხევის დასავლეთით. ჰვინტას დასავლეთით აწინდელი რუკებიც აღნიშნავენ „раз, кр. Херхем кале" მაგრამ ის უკვე ოძრხის წყლის შემდინარე კარსულას ზემო წელში ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზეა აღნიშნული და არა წნისისხევის სათავეში. მეორეს მხრით „წნისისჴევის სათავე მთასა შინა", როგორც ვახუშტისეულ, ისე აწინდელ რუკებზედაც, მართლაც არის აღნიშნული. ვახუშტით „ ჯვარის ციხე", ხოლო აწინდელი რუკებით „раз. кр. Цихис дзири". ასეთ პირობებში საკითხის გადაწყვეტა ადგილობრივ გამოუკვლევლად შეუძლებელია. ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან კი თითქოს უფრო საფიქრებელია, რომ ციხისჯვარი (—ჯვარის ციხე) კარსულას ნაპირზე მდებარე ციხეა და ვახუშტი ცდება...

ციხის ჯვარი XVI—XVII საუკუნეში ფეოდალ გოგორიშვილთა სახლის სამკვიდროს შეადგენდა.

დაუთ ბეგ გოგორიშვილსა მკვიდრად
აქვს ციხის ჯვარია
მითხრა: ხელთ მოგცემ ციხესა,
მან დაიფიცა ჯვარია
(დიდმოურავიანი, 44)

1587 წელს „გოგორიშვილმა ბეჟან ციხისჯუარი უკუ იპირა და მისცა ფაშასა (სამი ისტ. ქრ. მესხ. დავ. მატ. 114). აღსანიშნავია, რომ ამ წყაროს გამოყენებისას ვახუშტი ხსენებულ ციხეს „ჯვარის ციხეს“ უწოდებს (ისტ. 253).

თავისთავად წნისისხევის სათავეში ციხე (ციხის ძირი?) ჩვენი მიზნისათვის ფრიად საყურადღებოა. უეჭველია, აქ ის ფერსათ-ღადოზე გარდამავალ გზას მეთვალყურეობდა. მართლაც ამ რაიონში წნისისხევის სათავეები ფრიად უახლოვდებიან ხანისწყლის სათავეებს. დღეს ამ ორ ხეობას ბილიკი აერთებს. ხანისწყლის ეს ბილიკი სოფელ ზეკარში უერთდება რკინის ჯვრით გაღმოსულ მთავარ გზას. მაგრამ „მაგარი და დ ი დ შ ე ნ ი ჯვარის ციხე“ იმას მოწმობს, რომ ეს ბილიკი ძველად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გზა იყო...

წნისი ახალციხე—აწყურის გზაზედ მდებარეობს — აღნიშნავს XVI საუკუნის მიწურულის სამცხე-საათაბაგოს თურქული აღწერა[1]. აქ ვკითხულობთ[2]:

„21 წნისი. ცარიელი რაჯასაგან. [გადასახადის] ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 10200 [ახჩა].

ხსენებული სოფელი ახალციხესა და აწყურს შუა გადასავალის (უღელტეხილის) თავზე არ (?) მდებარეობს. [იგი] ჩაწერილ იქმნა განთავისუფლებულად არაჩვეულებრივ გადასახადებისაგან, ხსენებულ გადასავალზე გზების გაუმჯობესებისა და შეკეთების მუდმივად მასზე დაკისრებით“.

აქ გამოთქმულს სხვა საინტერესო საკითხებს ჩვენ თავის ადგილს შევეხებით. ამხელად კი ჩვენთვის საკმაოა იმის დადასტურება, რომ წნისი ახალციხე აწყურის გზაზედ მდებარე სოფელია.

დღეს წნისიდან გზა ახალციხეზედ მიდის მტკვრის მარცხენა ნაპირით. ეს, შეიძლება, ძველადაც ასე იყო. მაგრამ წნისის ხიდი მტკვარზედ იმას მაინც მოწმობს, რომ ამ ხიდით გზა მტკვრის მარჯვენა მხარეზე გადადიოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ახალციხეს შეუვლელად ასპინძა—ჯავახეთისაკენ მიდიოდა.

ახალციხე მისივე მოსახელე წყლის პირზეა გაშენებული. ეს ციხე-ქალაქი ჩვენ ძველს წყაროებში არა გვხვდება. ვახუშტიც აქ-

---

1 ეს ხელნაწერი მოპოვებულია ჩემ მიერ. მას გამოსაცემად ამზადებს ენიმკის უფრ. მეც. მუშაკი, თურქოლოგი, დოც. ს. ჯიქია.

2 თარგმანი ეკუთვნის ამხ. ს. ჯიქიას.

ცევს ამ გარემოებას ყურადღებას და აკეთებს დაკვირვებას: „ამას (ე. ი. ახალციხეს — ნ. ბ.) ვგონებ ლომსიად, ვინათგან ისახელების რა ახალციხე ცხოვრებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე ლომსია“ (გეოგრაფია, 208).

პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრით კი „გუარამ მამფალის აგებული ციხე ლომსიანთა... ეხლანდელს ლომსიანთას უდრის“ (ქართ. ერის ისტ., II, 321). სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არსებულ აწინდელ რუკებზე „ლომსიანთა“ ვერ ვიპოვეთ, თუ ეს რუსულ ხუთვერსიან რუკის „Лошнан“ არ არის, რომელიც პრ. ალ. ჯავახიშვილის რუკაზე „ლამიანი“ გამხდარა...

ვახუშტის არგუმენტი საკმაო არაა: თვით სახელწოდება ახალციხე ასეთ მოსაზრებაში შეეჭვების საფუძველს იძლევა. ვახუშტის თავის მოსაზრების დასაცავად დასჭირდებოდა დაემტკიცებინა, რომ გუარამ მამფალის მიერ აგებული ციხე ლომსიანთა XI საუკუნეში ისე საფუძვლიანად გადაკეთდა, რომ მას სახელიც გამოუცვალეს და ახალციხე უწოდეს... ჩვენ ჯერჯერობით, ადგილობრივ შესწავლამდის, პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ ლომსიანთა სხვაა და ახალციხე სხვა, უფრო საფუძვლიანად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ სამცხის ეს ნაგვიანევი ცენტრი — ახალციხე (ციხეცა და ქალაქიც) მხოლოდ XI—XII საუკუნეშია წარმოქმნილი.

სამცხიდან გზები მიდიოდა ლიხთიმერეთს, გურიაში, აჭარაში, შავშეთში, ერუშეთ-არტაანში, ჯავახეთში, ქართლში. „ახალციხის წყალი კვანჯლას ზეით განიყოფების ოთხ მდინარედ“ — გვაუწყებს ვახუშტი. მისი შემდგომ მოთხრობიდან ვგებულობთ, რომ ეს მდინარეებია: ფერსათის მთებიდან მომდინარე ოძრხის წყალი, გურია-აჭარის მთებიდან — ქვაბლიანისა და ბოცოს წყლები, არსიანის მთებიდან — ჯაყის წყალი მისი შემდინარე ფოცხოვის ხევით, რომელიც გამოსდის ერუშეთსა და მის შორის მთასა“ (გეოგრაფია, 210). ამ მდინარეთა ხეობებით მიდიოდა გზები სამცხიდან „ახალციხის დასავლეთით“.

ოძრხის წყლის ხეობით იმერეთს მიმავალ გზის შესახებ ვახუშტი შენიშნავს: „გარდავალს აქედან გზა კაკას ხიდზედ ბაღდადს. ამ გზას ეწოდა მთით რკინის ჯვარი“.

რკინის ჯვარს, როგორც საგზაო პუნქტს, ჯერ კიდევ ანდრია მოციქულის ქადაგების ავტორი მოიხსენიებს. ანდრია თითქო დიდაჭარით (sic!?) „წარმოემართა, გარდმოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯუარი და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თვით ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრხისა და მოვიდა სამზღურთა სამცხისათა, დაივანა სო-

ფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ გორა". აქედან ის „წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი" (ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამ. 1, გვ. 42).

რკინის ჯვარი იგულისხმება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის შვილებს შორის ბრძოლის ერთ ეპიზოდში IX საუკუნის მიწურულს: „გამოვიდა ნასრ სამეფოდ (ე. ი. კონსტანტინეპოლით — ნ. ბ.) და მ ო ვ ი დ ა  ა ფ ხ ა ზ ე თ ს და იყო მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატ". უკანასკნელმა ჯარი მისცა ნასრს. „გ ა რ დ ა მ ო ვ ი- დ ა  ნ ა ს რ  ს ა მ ც ხ ე ს და შეკრიბა სხვაცა ლაშქარი". სახლის კაცებს: ადარნასესა და ნასრს შორის ომი მოხდა. „შეიპყრეს და მოკლეს ნასრა კ ე ვ ს ა  ს ა მ ც ხ ი ს ა ს ა, სოფელსა ა ს პ ი ნ ძ ა ს" (მატიანე ქ-ჲ, 347). გამოთქმა „გზა რკინის ჯუარისა" დამოწმებულია ბაგრატ მეფისა და ლიპარიტ ბაღვაშის შორის ბრძოლის ერთ ეპიზოდში XI საუკუნის 50-იან წლებში. სასირეთის ჴალის თავს დამარცხებული მეფე „შეიქცა და წარვიდა აფხაზეთს". „შემდგომად მცირედისა ჟამისა სულა, ერისთავმან კალმახისამან, და გრიგოლ, ერისთავმან არტანუჯისამან, შეართეს სიტყუა, შეწყუნეს მათთანა სხუანიცა აზნაურნი მესხნი და უკმეს მეფესა ბაგრატს და ლ ა შ ქ რ ი თ ა  წ ა რ ე მ ა რ თ ა, გ ა რ დ ა მ ო ვ ლ ო  გ ზ ა  რ კ ი- ნ ი ს  ჯ უ ა რ ი ს ა და შეკრბეს არხის ციხეს" (მატ. ქ-ჲ ,263).

გზა რკინის ჯუარისა, როგორც მომქმედი მაგისტრალი, დამოწმებულია XII საუკუნის 90-იან წლებშიაც. მეფობის მეორედ მაძიებელი გიორგი რუსი თავის მომხრე გუზან ტაოელთან მოვიდა. აქედან „შეყრილთა მიჰმართეს სამცხესა და მიეგება ბოცო და ვინცა მისი მიმდგომი იყო და გ ა რ დ ა მ ვ ლ ნ ე ნ ი  მ თ ი ს ა ნ ი მივიდეს გეგუთს" (ისტ. და აზმ., 436). აქ მათ ამ განდგომილების მთავარი მომქმედი პირი—ვარდან დადიანი დახვდა. აქედან აჯანყებულთა ერთი ნახევარი ლიხის მთით შიდა ქართლისკენ წავიდა, მეორე „ნახევართა" კი „დადიანთა (და ბედიანთა) წინაძღოლობითა გარდაიარეს რ კ ი ნ ი ს  ჯ უ ა რ ი და ჩ ა ვ ი დ ე ს  ც ი ხ ი ს  ჯ უ ა რ ს (V. და) დაწვეს ქალაქი ო ძ რ ჴ ე. მუნ შეიყარნენ ბოცო და მესხნი, ვიეცა იყუნეს მიმდგომნი მათნი"... (ისტ. და აზმ. 437). ასეთივე მომქმედი რჩება ეს გზა შემდეგ საუკუნეებშიაც, XIII ს-ის 45-იან წლებში მონღოლთ წინააღმდეგ ქართველ დიდებულთა შეთქმულება მოხდა. ერთი შეთქმულთაგანი, ცოტნე დადიანი პაემანს „მივიდა... ლაშქართა მათდა ლ ა დ ო ს ა, რომელ არს შორის სამცხესა რ კ ი- ნ ი ს ჯ ვ ა რ ი" (V. ლაშქრითა მათდა, ადგილსა რომელ არს რკინის ჯუარი შორის სამცხისა და ლადოსა). აქ ცოტნემ შეიტყო, რომ შეთქმულება დამარცხდა. ლაშქარი უკან დააბრუნა და მარტომ „განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა" (ჟ. აღმ. 636).

1520 წელს გორს მდგომ ქართლის მეფე დავითს „მოართვეს ამბავი სპათა მოსვლისა ფ ე რ ს ა თ ი დ ა მ. რამეთუ გამოვლო გურიელმან მამიამ მწეობითა ათაბაგისათა მ თ ა დ ა დ ო (სწერაა დიდო) რათა შემწე ეყოს ლევანს დავით მეფესა ზედა ზავითა ანუ ბრძოლითა" (ვახუშტი, ისტორია, ზაქ. ჭ. გამ., 29). ასევე „წარვლო ფერსათის მთა" ლაშქრით ზურაბ ერისთავმა, რათა სისხლი ეძაა თავის ძმის ბადურისა, რომელიც ულირს მასპინძელს საზვერელ ჩიჯავაძეს მოეკლა სებეკას ციხეში (ვახ. ისტორია ზაქ. ჭ. გამ. 61). იოსებ ტფილელიც აღნიშნავს ამ გზით გადმოსვლას გიორგი სააკაძის მიერ XVII ს. 30-ან წლებში:

მეფესა ვსთხოვე დასტური,
გარდმოვვლე მთანი ოცხეო;
მთას აქეთ წყალი გაუდის
დიაღ ცხელი და მოცხეო.
(დიდმოურავიანი, 47).

კიდევ ერთ საგზაო პუნქტს ასახელებს ვახუშტი XVII ს-ის 35-იან წლებში როსტომ ხანის მიერ ამ გზით გადასვლის ეპიზოდში. ქართლის მეფემ როსტომ ხანმა ლევან დადიანის და მარიამი ცოლად ითხოვა. ის ამავე დროს გიორგი იმერთა მეფეს მტრობდა „და ვინათგან არ ჰქონდა გზა, სთხოვა როსტომ მეფემან გზა უსუფს, ახალციხის ფაშასა. მან სიხარულით მოსცა და მივიდა როსტომ კ ა კ ა ს ხ ი დ ს ა ზ ე დ ა ფ ე რ ს ა თ ი დ ა მ და დადიანიცა მისრულ იყო მუნ კ ა კ ა ს ხ ი დ ს ა" (ვახუშტი, საქ. ისტ. ზაქ. ჭ. გამ. 72—73). კაკას ხიდის შესახებ ვახუშტი თავის გეოგრაფიაში შენიშნავს: „ამ წყალზედვე (ე. ი. ხანის წყალზე—ნ. ბ.) მთაში არს კაკას ხიდი ფრიად მაღალს კლდესა ზედა და გზა სამცხისა" (გო. 267). მოყვანილი ამონაწერებიდან რკინის ჯვარის გზის შემდეგი პუნქტები გვაქვს: ო ზ რ ხ ე (ციხე და ქალაქი), ც ი ხ ი ს ჯ ვ ა რ ი (ციხე), რ კ ი ნ ი ს ჯ ვ ა რ ი (უღელტეხილი), კ ა კ ა ს ხ ი დ ი, ბ ა ღ დ ა თ ი, გ ე გ უ თ ი. მაგრამ ძველი დროის წერილობით დაუმოწმებელი ისეთი პუნქტებიც (და რუკებზედ აღნიშნული) როგორიცაა: „ზ ე კ ა რ ა" (გადასავალი და სოფელი), ეკლესიის ნანგრევი „ბ ა გ რ ა ტ ი ს ნ ი შ ა ნ ი" (უღელტეხილის ახლოს, იმერეთის მხრიდან) ს ა ლ ა შ ქ რ ო (ცოტა ქვემოთ), თ ხ მ ე ლ ი ს ც ი ხ ე (ოსმალთა მიერ აგებული 1703 წელს) ბაღდათს მისავალს, რა თქმა უნდა, ამ გზის მიმართულების მაჩვენებელი ადგილებია.

რკინის ჯვარის გზა ერთი მთავარი მაგისტრალთაგანი იყო. სამხედრო-პოლიტიკურთან ერთად, მას დიდი ეკონომიური მნიშვნელობაცა ჰქონდა. ბიზანტიიდან (ანატოლიიდან), და განსაკუთრებით

სამხრეთ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, უმთავრესად ამ მიმართულებით შედიოდნენ ლიხთიქით საქართველოში...

ამ გზის განსაკუთრებული მნიშვნელობა ლიხთიმერეთისათვის საერთოდ და კერძოდ იმერეთის სამეფოსათვის იმ ნაგვიანევ ხანაში თავის თავად იგულისხმება (XVII—XVIII სს.), როცა დასავლეთი საქართველო ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ მოექცა, ხოლო უკანასკნელი ამ თავის მფლობელობას ახალციხის ფაშების საშუალებით ახორციელებდა.

სამცხე, უეჭველია, ლიხთიმერეთს მხოლოდ აღწერილი გზით არ უკავშირდებოდა და ციხეები ო ძ რ ხ ე ს, კ ა რ ს უ ლ ა ს ხ ე ვ ი ს, წ ნ ი ს ი ს ხ ე ვ ი ს და ზ ი კ ი ლ ი ი ს ხ ე ვ ი ს ს ა თ ა ვ ე ე ბ შ ი, უპირველეს ყოვლისა, იმ გზების მეთვალყურენი იყვნენ. უნდა ვიფიქროთ, რომელნიც მათ ლიხთიქითიდან გადმოსულნი ხსენებულ ხეობებზე ჩამოუდიოდათ. დას. საქართველოს მხრიდან ამათი შესაბამი ხევებია ზეკარ—ხანის სანახებში განშტოებული კერშევეთა, ხანის წყალი, ლაიშურა.

საკრეულა—(ხანის წყლის აღმოსავლეთით შემდინარე) ბჟოლის ხევით (ჩხერიმელის სამხრეთიდან შემდინარე) არა ერთი ბილიკი გადადის, როგორც ხეობაში, ისე სამცხეში. ამათგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის მიმართულება, აწინდელ ვახანის სანახებიდან რომ ლომის თავს გადაივლის. სწორედ ამ ვ ა ხ ა ნ ი ს გ ზ ი თ (ნაგვიანევი ტერმინოლოგიით) გადმოვიდა ლიხთიქითიდან სამცხეს მონღოლთა უფლისწულის თეგუთარის მარბიელი ჯარი XIII ს-ის 70-იან წლებში. „წარმოვიდეს და მოვიდეს და დადგეს შთასა ზედა,.. რომელ არს ლიხი და ვითარ წარვლეს დასავლით კერძო რომელსა უწოდენ ღადოდ და ამათსა შესაყარსა დემოთისასა დადგეს თათარნი ადგილსა, რომელსა ეწოდების ლ ო მ ი ს თ ა ვ ი და მიერ არბევდეს ჯავახეთს ვიდრე ფარავანამდე“ (ქ. აღმ. 708). ვ ა ხ ა ნ ი ს ც ი ხ ე (შეიძლება ნაგვიანევი) სწორედ ამ გზის მოდარაჯე პუნქტია ლიხთიქითის მხრიდან. სამცხის მხრით ამ გზას თითქო დ ე მ ო თ ი ს ც ი ხ ე უდგა. ვ ა ხ ა ნ ი ს გ ზ ა ერთ XVIII საუკუნის ეპიზოდშიაც იხსენიება. 1774 წელს ახალციხის ფაშამ, 2700 ლეკი გაუშვა იმერეთს სათარეშოდ. ლეკთა ჯარმა ვახანის გზა ჩაიარა, ჩხერთან მას დაესხა იმერეთის მეფე სოლომონ და სასტიკად დაამარცხა (იხ. А. Цагарели, Грамоты... т. I, 401). ქუთაისის გუბერნიის „Военно-статистическое описание“-ს ავტორი ვ. ტ. მაევსკი ბაღდათ-ახალციხის გზის დასავლეთით კიდევ ერთ გზას უჩვენებს „доступной для прохождения самых больших вьюков“. ეს გზა სოფელ ფ ე რ ს ა თ ი დ ა ნ იწყება და წაბლარას წყალისა და სულორ-სუფსის წყალგამყოფ ქედით გაივლის თაფელავანს?

ნ ე ფ ი ს წ ყ ა რ ო ს, გადალახავს აჭარა-გურიის მთებს და ჩადის ქ ვ ა ბ ლ ი ა ნ ი ს ხეობაში. მოქ. მაევსკის მოწმობით ამ გზას ქვაბლიანში „თ ო ფ ჲ ო ლ ი“ ეწოდება, რაც ზარბაზნის გზას ნიშნავსო (იხ. В. Т. Маевский, Кутаисская губ. военно-статистическое описание; приложение I, 220). ხსენებული ავტორის დაკვირვება სწორი უნდა იყოს და ამ გზით თურქთა ბატონობის ხანაში, უნდა ვიფიქროთ, ზარბაზნები უტარებიათ, რა თქმა უნდა, ცხენის ტვირთით. ამ გზის თავისებურებას, რომ სულ ქედ-ქედ მიდის და ხეობას ერიდება, შეიძლება სწორედ სამხედრო მოსაზრება ედოს საფუძვლად: მოწინააღმდეგის მიერ გზის შეკვრა-ჩაკეტვის სიძნელე, ან უკეთ, შეიძლება ეს გზა ზარბაზნების გადასაზიდად მისი ამ თავისებურების გამო იყო თურქთა მიერ შერჩეული... პუნქტი „ნეფის წყაროს“ არსებობაც ამ გზაზედ ასევე ნიშნეულია, თუ, რა თქმა უნდა, ეს სახელი რომელიმე რეალურ პიროვნებასთან არის დაკავშირებული და ზედშესრული: „ძლიერ კარგი“ „უკეთესის“ აღსანიშნავად არაა ნახმარი (შდრ. „სანეფო“ ვაშლი და მისთანანი); სხვა რამ ამ გზის შესახებ, სამწუხაროდ, არა ვიცით რა.

„ქვაბლიანისა და ბოცოს წყლის სათავიდამ გარდავლენან გურიას და აჭარას გზანი“—წერს ვახუშტი (გეოგრაფია, 211), აჭარა-გურიის მთები მრავალ ადგილას არის გზებით გადასერილი, სადაც ქვაბლიანისა და მისი შენაკადების ხეობები ფრიად უახლოვდებიან ჩრდილოეთის ფერდის ხეობებს. სუფსით (თხემები: ნეფის წყარო, სანის-ლია), გუბაზეულით (თხემები: გომისციხე, ზოტიმერია, ზოტიყელი), ბახვის წყლით და ნატანებით (თხემები: ბადიშ—ბახმაროს რაიონი) გზები ჩადიან გურიას. ამ გზების მნიშვნელობაზე მიუთითებენ „ც ი ხ ე “ (მდინარე სუფსის გამოსავალი ვიწრო ხეობიდან), „ა ს კ ა ნ ი ს ც ი ხ ე“ (ბახვის წყლის ხეობაში), ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი (ხიდისთავ-ოცხანას სამხრეთით ბადიშ—ბახმაროს გზაზედ), „ს ა ბ ა ჟ ო“ (ვაკიჯვრის სამხრეთით ბადიშ—ბახმაროს გზაზედ). ქვაბლიანის ხეობის ზემო წელში ამათი შესატყვისი „საგზაო ნიშანი“ კ ე ხ ვ ი ს ც ი ხ ე ა...

ძველი წერილობითი ცნობები ამ ბილიკებით მიმოსვლის შესახებ არ შემოგვნახვია. ნაგვიანევი, XVIII—XIX საუკუნის ცნობები—განსაკუთრებით ზეპირი—ფრიად მრავალია (სამწუხაროდ, დღემდის ყურადღება მიუქცეველ-შეუსწავლელი). ერთად ერთი ცნობა ძველი დროიდან შემდეგია: XIII საუკუნის 80-ან წლებში, მონღოლთა მფლობელობის ჟამს „საქმისა რასათჳსმე განუდგეს თათართა სარგის და ძე მისი ბექა“. მონღოლებმა დამსჯელი ჯარი გამოგზავნეს. „მოვიდა არხუნცა სპითა ოცი ათასითა, ხოლო ბექამან მირიდნა მთათა, რომელ არიან შუა გურიას და აჭარას და მესხნა

შევიდეს ციხეთა, ქვაბთა და ტყეთა" (ქ. აღმ. 725). ქვაბლიანის ხეობის ზემო წელიდან გზები აჭარაშიაც გადადის ჭვანა-აჭარის წყლის სათავეებით. სამცხიდან აჭარაში გზები გოდერძისა და ურემას უღელტეხილებითაც შედის. პირველს აჭარის წყლის ხეობით დიდ აჭარაში მიჰყავს მოგზაური, მეორე სხალთის ხეობას გაივლის.

ზანავი და ჩორჩანი, სადაც ჯერ კიდევ VIII — IX საუკუნეში სამცხის მთავრის, გიორგი ჩორჩანელის „ტაძარნი შენ იყვნეს" (კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 154). ზარზმის შესანიშნავი ტაძარი და „ბოცოს წყალზედ ნაოხარს სასახლე თამარ მეფისა, დიდშენი" (ვახუშტი, 210) კარგად მოწმობენ ამ რაიონის (ქვაბლიანის ხეობის) დაწინაურებულობას. ეს გარემოება კი უფლებას გვაძლევს დავუშვათ, რომ მეზობელ ქვეყანასთან აღნიშნულ თემის შემაერთი გზაც სათანადოდ ცხოველი და განვითარებული იყო...

ამისდა მიუხედავად ძველი მოწმობანი აჭარა-სამცხეს შორის ამ გზით მიმოსვლის შესახებ ჩვენ თითქმის არ გაგვაჩნია (თუ არ დავუშვებთ, რომ ანდრია მოციქული დიდაჭარიდან სამცხეში რკინის ჯვარ-ოძრეხს გზით კი არა, არამედ გოდერძ-ქვაბლიანით შეიძლება მხოლოდ შემოსულიყო). მაგრამ წერილობითი წყაროების დუმილი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ უკანასკნელის არ არსებობას ყოველთვის როდი ნიშნავს. გზათა არსებობის შესახებ, კერძოდ, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ჩვენ სხვა არანაკლებ მეტყველი და დამაჯერებელი წყაროები მოგვეპოვება, ვიდრე წერილობითი მოწმობანი...

Чорохский край (военно-статический очерк)-ის ავტორი, გენ. შტაბის პოლკოვნიკი ვ. ლოსოვსკი, რომელსაც, სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს, სხვა ასეთ მოხელე-მწერალთაგან განსხვავებით მხარის წარსულზე დაკვირვების უნარი აქვს, თავის მიმოხილვაში აჭარის წყლის ხასიათის შესახებ შენიშნავს: „Через Аджару перекинуто около одиннадцати мостов, преимущественно каменных, древней постройки с крутою аркою". (op. cit. 14) წარსულის მატერიალურ ნაშთებზე დაკვირვების უნარმა (ლოსოვსკის, როგორც ჩანს, წერილობით მასალებსაც გასცნობია საქართველოს წარსულის შესახებ) ავტორს გაახიარებინა ძირითადად სწორი დასკვნა, რომელსაც ის შემდეგნაირად გამოსთქვამს: „В эту эпоху (თამარის დროსა) благосостояние края значительно поднялось, пути сообщения были улучшены и исправлены, через многочисленные реки устроены были прочные каменные мосты. Последние стоят до селе, свиде-

тельствуя о деятельности знаменитой царицы". (იქვე, 29). აქ გამოთქმულ აზრებს ჩვენ, რა თქმა უნდა, სათანადო შესწორებით მივიღებთ. ეს ხიდები ყველა თამარის დროის და მისი ნამოღვაწარი არ შეიძლება იყოს. მათში, უეჭველია, არა ერთია უფრო ძველი ხანისა, ისე როგორც უფრო ნაგვიანევი ხანისაც. მაგრამ სრულიად ვიზიარებთ ავტორის აზრს, რომ ეს გზების მშენებლობა ქვეყნის ეკონომიური დაწინაურების შედეგი იყო და რომ ასეთი „благосостояние" „თამარის ეპოქას" ყველაზედ უფრო შეეფერება.

ამის შემდეგ ძველი წერილობითი წყაროების დუმილი სამცხე-აჭარის სავაჭრო-სამიმოსვლო გზების შესახებ ისევ ამ წყაროთა თავისებური ხასიათით უნდა აიხსნას.

მაგრამ ჩვენ რამოდენიმე წერილობითი ცნობა მაინც მოგვეპოვება. პირველ ყოვლისა საგულისხმიეროა ის ფაქტი, რომ ლეონტი მროველის მოწმობით ძველად სამცხე და აჭარა ერთს ადმინისტრაციულ ერთეულს ქმნიდნენ და ამ ერთეულის ცენტრი ო ძ რ ხ ე იყო (XI ს-ში ეს ასე აღარ იყო...). შემდეგი ცნობა XI საუკუნისაა. 1080 წელს გიორგი მეფეს „ყუელს გარე დგომასა დაესხნეს თურქნი". გიორგი მეფე „წარვიდა მეოტი ა ჭ ა რ ი თ ა ფ ხ ა ზ ე თ ა დ" (დავ. ისტ. 282). ჩანს, ყველის ციხის რაიონიდან გზა გადადიოდა აჭარაში, ხოლო, „აჭარის ა ფ ხ ა ზ ე თ ა დ" წასვლა შეიძლებოდა. ყველის ციხის სანახებიდან აჭარაში ორი გზა შედის: ყ ვ ე ლ ი ს წ ვ ე რ ი ს გადასავალით მერეთის ხევში და უ რ ე მ ა ს გადასავლით სხალთას ხევში. ც ი ხ ე ხ ი ხ ა თ ა (ვარდის ციხე) და ს ა ე რ ი ს-თ ა ვ თ ე რ ი ს თ ა ვ ო ს ა ჯ დ ო მ ი — ხიხანი სხალთას სათავეში და შესანიშნავი ტ ა ძ ა რ ი (მონასტერი) სოფ. სხალთას კარგად მოწმობენ ამ ხეობით აჭარაში მიმავალი გზის მნიშვნელობას.

შემდეგი ცნობა XII საუკუნის შუა წლებს შეეხება. აჭარის შუაგულიდან (ცხმორისიდან თუ სხვა ადგილებიდან) „ქუეყანასა სომხეთისსა, მახლობლად თფილისსა" ან კიდევ „ნაპირსა წარმართთასა", ე. ი. სპარსულ პროვინციებში მიდიან სოფლელნი „მოსარეწელად რაისამე ღონედ სიგლახაკისა თჳსისა". და ეს ერთ გზის კი არა, არამედ მათ ჩვეულებრივ „უცხოებასა მუშაკობაჲ" აქვთ „ნუგეშინის საცემელად": ამ გზით „მოირეწენ" ისინი, „სახლეულთა დასარჩენელს" (ქრონ. II, 113—118). მართალია, მოყვანილი ამონაწერი—მეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანი—უშუალოდ გზების მოწმობა არ არის, მაგრამ უგზოობის მოწმობა ის კიდევ უფრო ნაკლებ არის.

იმავე თხზულებაში, საიდანაც ეს მოწმობა მოვიტანეთ, დაცულია ცნობა, რომ XIII საუკუნის 25—30-იან წლებში საქართველო-

ში ხვარაზმელთა თარეშის დროს მთელი სამცხე აჭარაში ილტვოდა (იქვე, 118). ასეთივე სიხიზარი იქმნა აჭარა მონღოლთა შემოსევისას XIII საუკუნის 40-იან წლებში, როცა „მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლტოდა ქვეყანად აჭარისასა" (ქ. აღმ. 594).

საქმე ისაა, რომ მთიან-ტყიანი, ვიწრო და ღრმა ხეობიანი აჭარა მტრისათვის და განსაკუთრებით ველს შეჩვეულ მომთაბარეთათვის სახიფათო და მიუდგომელი იყო... აჭარის გავლით ახალციხეს მიმყვანებელ გზას გულისხმობს ცნობა XV საუკუნიდან: ბათომს გემით მისულს ვენეტიკის ელჩებს ურჩევდნენ ყვარყვარეს სამფლობელოთი წასულიყვნენ ახალციხეს და აქედან ერანში. ცხადია, ამისთვის მათ უნდა აჭარა გაევლოთ.

აჭარა—ახალციხის გზა გაიარა XVII საუკუნის 70-იან წლებში ერანს მიმავალმა ნეგოციანტმა შარდენმა.

შიგნით სამიმოსვლო გზების განვითარებულობით, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სამხრეთ დასავლეთი ნაწილი არც ერთს სხვა დანარჩენს არ ჩამოუვარდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი. იშვიათად, რომ სადმე საქართველოს სხვა კუთხეში შეხვდეს მკვლევარი ნაქალაქევთა, ნაოხარ სოფელთა, ციხეთა და მონასტერ-ეკლესიათა ასეთ სიმრავლეს როგორც ამ კუთხეებში... სამწუხაროდ, ამ გარდასულ საზოგადოების ცოცხალი ისტორიული მოსახლეობის სურათის აღდგენა დღესდღეობით შეუძლებელია. ჩვენი მთავარი სახელმძღვანელო—ვახუშტის უკვდავი გეოგრაფია—ამ ქვეყნების მიმართ ერთობ ნაკლულია და შეცდომებსაც შეიცავს. მეცნიერ ისტორიკოსს, ჩანს, თითონ არ მოუვლია ყველა ეს მხარე და „გეოგრაფიული" ცნობები ან საკუთარ წიგნურ დაკვირვებათა შედეგად ან, ნაკლული და შემცდარი, სხვებისაგან მიუღია.

ამ მხარეთა მეცნიერულ-ისტორიულ აღწერილობის უქონლობა, არსებულ რუსულ ხუთვერსიან რუკათა და მათი ქართულად გადმონამახინჯის უვარგისობა, წერილობით წყაროთა სიმცირე და მათი სპეციფიკური ხასიათი გვაიძულებენ მხოლოდ იმ გზებზე ვისაუბროთ, რომელთა ლოკალიზაცია ასეთ პირობებშიაც შეუძლებელი ხდება. მიღებული სურათი, ვიმეორებთ, მკრთალადაც კი ვერ გამოხატავს ისტორიულ სინამდვილეს. ამაში დასარწმუნებლად, სრულიად საკმაოა ადამიანმა აიღოს ე. წ. მესხურ დავითნის ქრონიკა და იქ ნაგულისხმევ გზების სიხშირე ჩვენ მიერ ფიქსირებულ ორიოდე მარშრუტს შეადაროს.

სამცხიდან გზა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით არტაანისაკენ მიდიოდა. არტაანი დიდი მაგისტრალების საკვანძო პუნქტი

იყო. ამდენადვე სამცხე-არტაანის გზა მნიშვნელოვანი იყო. ახალციხიდან ეს გზა ვალეზე გაივლიდა. ის „ჯაყის წყლის (ფოცხოვის?) ხეობით მიდიოდა. ციხეთა ნანგრევების მთელი წყება კარგად უჩვენებს ამ გზის მიმართულებას (სამწუხაროდ, ხუთვერსიან რუკის ავტორებს ამ ციხეთა ნანგრევების სახელები არ აინტერესებდათ, ხოლო ამ რუკების ქართულ პირს არა თუ სახელები, თვით ეს ნანგრევებიც არ აინტერესებს: აქ ისინი სრულიად არ არიან აღნიშნულნი...).

ჯერ კიდევ ჯაყის ციხეს მისვლამდის ახალციხე-არტაანის გზას გამოეყოფოდა შტო, რომელიც ყველის ციხის გავლით ყველის წვერის გადასავალით არსიანს გადალახავდა და იმერხევის ანუ შავშეთის წყლის ხეობაში შედიოდა, სადაც მას ციხე გარყლობისა* უდარაჯებდა. ხსენებული მდინარის ხეობის ეს გზა გაივლიდა წეფთის ციხეს, შატბერდს (ციხე), ოპიზას და ანჩას და დოლის ყანას შეუერთდებოდა სამაგისტრალო გზას, „აფხზეთიდან“ არტაანს რომ მიდიოდა.

ახალციხე-არტაანის გზა ერუშეთში შესული კვლავ განშტოვდებოდა. აღმოსავლეთის შტო მგელციხეზე გავლით (რუს. რუკ. „Курт Кала“ ქართ. რუკ. ქურთ-ყალა—sic) და სოფელ ოლოდასთან მტკვრის ხიდით წყაროსთავს მიდიოდა. აქ ის ანის-კარისაკენ მიმავალ დიდ სამაგისტრალო გზას შეუერთდებოდა. დასავლეთის შტო ნაქალაქევზე (ქაჯთა ქალაქზე) გავლით შედიოდა არტაანში.

ვალე, როგორც სამხრეთ დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზედ მდებარე პუნქტი მოხსენებულია „მესხურ დავითნის ქრონიკაში“. 1580 წელს ათაბაგი ყვარყვარე და მანუჩარ კონსტანტინეპოლიდან დაბრუნდნენ. მათ შესახვედრადო მოგვითხრობს „ქრონიკის“ ავტორი, „პატრონი ბექა ვალიდამა გავაყენეთ. ლალაფაშა წასულიყო და ბექა ოლთისს დადგომილიყო“. მაშ, ბექას გაუვლია; ვალე — არტაანი — ოლთისი (სამი ისტორიული ქრონიკა, 108).

ამ გზაზე მდებარე პუნქტად აქვე მეორე ადგილას დასახელებულია ჯაყიც. 1578 წელს 1 ოქტომბერს ლალაფაშა აწყურს მოვიდა. აქ იყვნენ მესხეთის ათაბაგი და მისი სახლის წევრები. „თუითან ლალაფაშაც მოვიდა და გაღმა ლეკზე დადგა... პატრონი დედისიმედი გავიდა და ლალაფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქ-

---

* XI საუკ. 30-იანი წლები. კეისარი და ქართველთა მეფე იბძოდნენ. ჩანჩახ ფალელმა ქართველ მეფეს უღალატა. „წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს. მისცა ციხე გაყრილობისა (გარყლობისა) და მიერთო ბერძენთა“. შეიძლება ეს სახელი გზის გაყრილობას უჩვენებდეს.

რისა და აქლემების ჯარი იყო. „მესხეთი დაემორჩილა ლალაფაშას. ისიც უკან წავიდა და ათაბაგი ყვარყვარე თან გაიყოლა. „სამშაბათს დღეს ამბავი მოვიდა: პატრონი ყვარყვარე აღარ დაბრუნდაო. წარუდგა პატრონი დედისიმედი, ჯაყამდის სდია, ვერ მოეწია. აზნაურის შვილები წაუყვნა, ვეღარ დააბრუნა. ისრე დედისა და ძოლშვილის გამოუსალმებელი წავიდა. ოლთისს სასანჯახოდ მისცეს. იქვე მივიდა“ (op. cit. 104). ჩანს, ლალაფაშა თავის დიდი ლაშქრით შემდეგი გზით დაბრუნებულა აწყურიდან აწყური — ახალციხე — ვალე — ჯაყი — არტაანი — ოლთისი.

მესხური დავითნის ქრონიკაშივეა მოცემული ახალციხე—ერევნის მარშრუტის მოწმობაც. 1572 წელს ათაბაგის შვილი თვალშვენიერი ყაზვინს ყაენთან გააგზავნეს. „ივანობის თუჱს იზ, დღესა ოთხშაბათსა, ახალციხიდამ გავდეგით და ენკენის თუჱს ზ, ოთხშაბათ დღესა წყაროს თავიდამ გავდეგით, პარასკევ დღეს წურილნი და-ძმანი გაიყარეს ქვაკაცთა და ჩვენ ჰალას დავდეგით. ღუნობის თუჱ ია, კუირას დღესა. ვანაზიიდამ გავიყარენით დედა-ძმანი და ლაშქარნი და თუალშუჱნიერი გორს ჩავიდა იმ დღესა და ჩუენ ჯამასპს მოვედით; კ. ღუინობის თუჱსა, სამშათს დღესა, ერევნიდამ წასულიყო“ (op. cit. 83). ასე რომ ამ გზის პუნქტებია: ახალციხე—ვალე—ჯაყი—შემდეგ „ფოცხოვის წყლის სათავიდამ გარდავალს ერუშეთს გზა“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 126)—მგელციხე—ხიდი მტკვარზე ოლოდას ახლო—წყაროსთავი—ქვაკაცნი—თეთრიციხე—ჰალა—ვანაზია—ზარიშატი—გორი—ერევანი. აქ მოხსენებული ჰალა და ვანაზია სრულიად გარკვეული პუნქტებია პალაკაციოს ტბის აღმოსავლეთით. ჩანს, ეს გზა ხსენებულ ტბას აღმოსავლეთის მხრით ჩაუვლიდა.

ხიდს მდ. მტკვარზე სოფ. ოლადის ახლო და ორ სხვადასხვა გზას პალაკაციოს ტბის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებით ჰგულისხმობს ზემოდასახელებული „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარის“ ერთი მინაწერი (გვ. 265): „სოფ. ოლოდა ქენარბელის რაიონი, ჩილდირის ლივა“. ვინაიდან ხსენებული სოფლის მახლობლად მდებარე ხიდი მდინარე მტკვარზე სავაჭრო ადგილია და ვინაიდან ყარსიდან და ზერნიშარიდან (მომავალნი) და მთელი საქართველოს ვილაეთის ვაჭრები და სხვა გამვლელ-გამომვლელნი, თუ ხსენებული ხიდით არ გავიდნენ, სხვა ადგილას მტკვრის წყალზე გასვლა შეუძლებელი არის და ვინაითგან მათი სანჯაკ-ბეგის ცნობით ხსენებული სოფლის მცხოვრებთა მიერ ამ ხიდის შეკეთებისა და აღ-

დგენისათვის გაწეული შრომის სამაგიეროდ საჭირო არის და მნიშვნელოვანი (მათი) არაჩვეულებრივი გადასახადისაგან განთავისუფლება, ამიტომ ხსენებული ხიდის შესაკეთებლად (ისინი) ახალ სამეფო დავთარში შეტანილ იქმნენ განთავისუფლებულად" (თარგმანი ეკუთვნის დოც. ს. ჯიქიას).

მესხური დავითნის ქრონიკიდან კარგად ჩანს, რომ სამხრეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით მრავალი გზა მიდიოდა შავშეთისაკენ, ერუშეთ—არტაანისაკენ, თმოგვ—ჯავახეთისაკენ. სამწუხაროდ, ყველა ამათ ნიშნობლივი დადგენა ადგილობრივ შეუსწავლელად შეუძლებელია. ამ გზების არსებობა კარგად მოეხსენება ვახუშტის. ის აღნიშნავს: ფოცხოვის წყლის სათავიდამ გარდავალს ერუშეთს გზა" (გეოგრაფია, 126); „ჯაყის წყლის სათავიდამ გარდავალს აჭარის და შავშეთის გზანი" (იქვე, 126); ერუშეთსაო მზღვრის აღმოსავლეთით მტკვარი და მთა ამისი და სამცხეს შორისი და გ ა რ დ ა ვ ლ ე ნ ა ნ მ ა ს ზ ე დ ა გ ზ ა ნ ი ს ა მ ც ხ ე ს" (იქვე, 132) ან კიდევ: ერუშეთსაო „მზღვრის... ჩრდილოთ მთა ამასა და ფოცხვის ხევს შორისი. ამ მთაზედ გ ა რ დ ა ვ ლ ე ნ ა ნ გ ზ ა ნ ი ფ ო ც ხ ო ვ ი ს ქ ე ვ ს ა და ს ა მ ც ხ ე ს შ ი ნ ა". (იქვე, 132).

ყველა ამ გზიდან X—XII საუკუნეთა წერილობითი წყაროები მხოლოდ ერთს, სამცხე—ერუშეთიდან შავშეთს გარდამავალ გზას, ადასტურებენ. მაგრამ ეს, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ჩვენი წერილობითი ისტორიული წყაროების სიმცირითა და მათი სპეციფიკური ხასიათით აიხსნება მხოლოდ.

ყველის ციხის რაიონში შედიოდა გზები, როგორც სამცხიდან, ისე ჯავახეთ-ერუშეთიდანაც. ვახუშტიც აღნიშნავს: ერუშეთს „მზღვრის დასავლით მთა არსიანი, სადაც გ ა რ დ ა ვ ლ ე ნ ა ნ გ ზ ა ნ ი შ ა ვ შ ე თ ს და ტბეთს" (გეოგრაფია, 132).

როგორც ყველის ციხე, ისე გზაც სამცხე-ერუშეთიდან შავშეთს და პირუკუ მრავალჯერ იგულისხმება ან პირდაპირ არის დასახელებული ძველს წერილობით წყაროებში.

VIII საუკუნის მიწურულს აშოტ ქართლის ერისთავი არაბთა მძლავრობას გამოექცა და თრიალეთით ჯავახეთს მოვიდა. ფარავნის ტბასთან არაბთა მდევრების დამარცხების შემდეგ, აშოტ თავისი ლაშქრით და სახლეულით „წარმოვიდეს და მოიწივნეს ქევსა შავშეთისასა" (მატ. ქ-ა, 343). ჩანს, აშოტმა ჯავახეთ-ერუშეთი გამოვლო (ფ ა რ ა ვ ნ ა — წ უ ნ დ ა — თ მ ო გ ვ ი — ნ ი ა ლ ი — წ უ რ წ ყ ა ბ ი — ყ ვ ე ლ ი ს ც ი ხ ი ს ნანახები).

ყველის ციხის ნანახებიდან არსიანის, ყველის წვერისა და ჯანალის უღელტეხილებით გადადიოდა გზები: 1. სხლობან—ტ ბ ე თ—

სათლელს, 2. გარყლობის ციხე — შატბერდ — დოლისყანას, 3. წეფთის ციხე — შატბერდ — დოლის ყანას.

X საუკუნის 20-ან წლებში იუსუფ აბუსაჯის ძე არაბთა ლაშქრით ციხის აღების შემდეგ „შევიდა მუნით სამცხეს და მოაოჴრა სამცხე და ჯავახეთი, რამეთუ მოადგა ციხესა თმოგვისასა... (ვერ აიღო) აღიყარა მუნით და მოვიდა ყუელს და მოადგა გარე.. (აიღო ის) აღიყარა მუნით და წარვიდა დუინად ქალაქად“ (მატ. ქ-ა, 227). აქაც ყველის ციხეზე თმოგვიდან მოდის ლაშქარი, ალბათ, იმავ ნიალ—წუ̈რწყაბზე გამოვლით. ყველიდან დვინისაკენ კი იუსუფ აბუსაჯის ძე, ჩანს, ერუშეთ-პალაკაციოს გავლით წავიდა.

X საუკუნის მიწურულს დავით კურაპალატსა და გურგენ მეფეს შორის ომი მოხდა „გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა. გააქციეს გურგენ და შთაიხვეწა მეოტი და შევიდა ციხესა წეფთისასა“ (მატ. ქ-ა, 240—241). ტერმინი „გარდათხრილნი“ ჩვენი ამოცანისათვის ფრიად საყურადღებოა. რომელ გადასავალსაც არ უნდა ჰგულისხმობდეს (შეიძლება ჯანალის?...), სულერთია, ის მაინც უდავოა, რომ ეს ტერმინი აქ გზის მშენებლობაზე მიუთითებს (შდრ. „გაჴრილი ნაქერალა“), რაც ამ ხანებისათვის მეტად დამახასიათებელია...

XI საუკუნის 60-ან წლებში თურქები საქართველოს შემოესივნენ. ლაშქარმა „შემუსრა კანგარი და თრიელეთი და დღეს ერთს მარბიელმან მიუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს“ (მატ. ქ., 268). თრიალეთ-ყველის ყურის მიმართულება ჩვენ ერთხელ უკვე დავამოწმეთ VIII საუკუნის მიწურულის ცნობით.

XIII საუკუნის 60-იან წლებში მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული ულუ დავით ჯერ სამცხეს მოვიდა, ხოლო აქედან „გარდვიდა შავშეთს და კლარჯეთს და წარვიდა ნიგალის ჴევს“ (ჟ. აღმ. 674).

მოყვანილ ამონაწერებიდან კარგადა ჩანს, რომ სამცხე-ერუშეთიდან შავშეთისაკენ არაერთი გზა მიდიოდა. ყველა ისინი შავშეთის თუ აჭარის გადასვლის წინ ყველის ყურის სანახებში იყრიდნენ თავს და აქედან სამი უღელტეხილით გადადიოდნენ შავშეთში, ორით კი აჭარაში (ყველის ციხის სანახებიდან აჭარას გარდამავალი გზები ჩვენ ზემოთ შევისწავლეთ).

სამცხიდან ჯავახეთს მთავარი გზა მტკვრის პირით მიდიოდა. ხერთვისთან ის განშტოვდებოდა. ერთი შტო ჯავახეთის მტკვრის პირით ახალქალაქს, ხოლო მეორე არტაანის მტკვრის მარჯვენა ნაპირით წუნდას გაივლიდა.

მაგრამ ხერთვისამდისაც ამ მთავარ შარას არა ერთი შტო გამოეყოფოდა თორსა და ჯავახეთში მიმავალი. ათეული ციხეთა ნანგრევები კოდიანისა თუ ჰობარეთის ქედიდან მტკვრისაკენ მომდინარე თიხრევის, ინწყორას, ოშორას, ასპინძის, კოხტის თუ სხვა ხევებზე კარგად მოწმობენ ამ გზა-ბილიკების შესახებ. ამასვე მოწმობენ კოდიანიდან ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მიმართულ ხეობებზე „ციხე“, ციხის ჯვარის და თორის ნანგრევები...

მაგრამ ადგილობრივ შეუსწავლელად წერილობითი ცნობების უქონლობის პირობებში ამ გზა-ბილიკებზე ზედმიწევნილობითი საუბარი უხერხულია.

რომ აწყურიდან ჯავახეთს „მტკვრის პირისაგან კიდე“ შეიძლებოდა გასვლა, ამას XIII საუკუნის ერთი ეპიზოდი მოწმობს. XIII ს. 70-ანი წლები. ელხან აბაღას წინააღმდეგ აჯანყებული მონღოლი უფლისწული თეგუთარ ლიხთიმერეთში დავით ნარინთან იყო დაუპატიჟებელ სტუმრად. აქედან არბევდა ის აბაღას მორჩილ ქვეყნებს. თეგუთარმა „წარმოავლინა სამნი მჴედართა მთავარნი... წარმოვიდეს და მოვიდეს და დადგეს მთასა ზედა, რომელი აღმოივლის შტოდ კავკასისა, რომელ არს ლიხი და ვითარ წარვლეს დასავლით კერძო, რომელ არს (V. რომელსა უწოდებენ) ღადოდ და ამათსა შესაყარსა დემოთისასა დადგეს თათარნი ადგილსა, რომელსა ეწოდების ლომისთავი და მიერ არბევდეს ჯავახეთსა ვიდრე ფარვანამდე. მაშინ მდგომთა თათართა ჩამოვლეს ეკერის ჴევი და განვლეს აწყვერს ზედა ფონი მტკვრისა და გავიდეს ჯავახეთს. დახვდა ჯოგი კახა თორელსა, რომელსა აქუნდა პატივად მეჰურჰლეთ უხუცესობა და ყურუმჩის ვისმე ჯოგი ათასისა თავადისა... და წარმოიღეს და მომართეს სადგურსა მათსა ლომის თავსა. ესმა ყურუმჩის ბადურსა და მოუწოდა კახას თორელსა და დევნა უყვეს. ხოლო თეგუთარიანნი განსრულ იყუნეს მტკვარსა, სადა მოერთვის წყალი გურკლისა და ესენი მივიდეს პირსა მტკურისასა“ (ქ. აღმ. 708).

ახალციხე—ხერთვის შორის ვახუშტი სამს ხიდს უჩვენებს: „ინდუსასთან, ასპინძასთან და ხერთვისთან“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 127, 128) ინდუსა ვახუშტით არის „ოშორას ჴევის შესართავს „ზეით“. აწინდელი რუკები კი ინდუსას რუსთავის რაიონში უჩვენებენ არა „ზეით“, არამედ გაცილებით „ქვეით“ ოშორას შესართავიდან.

ორიოდე ცნობა შემონახულა ასპინძისა და მისი ხიდის შესახებ. IX ს. მიწურული. „ბაგრატიონთა სახლის“ შვილებს შორის სასტიკი ბრძოლა იყო. კონსტანტინოპოლს ლტოლვილი ნასრ გუარამის ძე „აფხაზეთს“ (—ლიხთიმერეთს) მოვიდა. აფხაზთა მეფემ ბაგრატ ჯა-

რი ათხოვა მას. „გარდამოვიდა ნასრ სამცხეს და შეკრიბა სხვაცა ლაშქარი“ (ცბა და უწყება... 347) და „შეიპყრა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჴე, ჯუარის ციხე და ლომსიანთა... მოვიდეს გურგენ და ადარნასე ძე დავითისა, უშუელეს სომეხთა, შ ე ი ბ ნ ე ს  მ ტ კ უ ა რ ს ა  ზ ე დ ა“ (მატ. ქ-ა 225). „შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჴევსა სამცხისასა სოფელსა ა ს პ ი ნ ძ ა ს“ (ც-ბა და უწყება... 347). რომ ასპინძიდან გზა თრიალეთისაკენ მიდიოდა, ამას იოსებ ტფილელის დიდმოურავიანი მოწმობს. სამცხეში ლტოლვილ გიორგი სააკაძეს მრავალი ეპატიჟებოდა სასტუმროდ. გიორგიმ მათ შორის ასპინძის ციხე აირჩია.

> დათუნა ღიასამიძე, კაცი ბრძენი და
> წყნარია,
> მან მითხრა: თ რ ი ა ლ ე თ ი ს კ ე ნ  ა ს პ ი ნ ძ ა
> ა ხ ლ ო ს  ა რ ი ა
> ყმა და ამბავი მოგწვდების...
>
> (დიდმოურავიანი, 44).

სახელგანთქმული ასპინძის ომიც (1770 წ. 20 აპრილს) ხომ საჩვენო მოწმობაა. აწყურიდან მეფე ერეკლე 7000 კაცით ასპინძას მივიდა, სადაც ახალციხე-ახალქალაქიდან მოსულ თურქ-ლეკთა ლაშქარს შეება. ასპინძის ხიდი მტკვარზედ ერეკლეს ბრძანებით წინასწარ იქნა აყრილი...

ასპინძის ხევის „შესართავს ზეით მტკვარს მოერთვის აღმოსავლეთიდამ კოხტის ჴევი. გამოსდის ჯავახეთის მთას ანუ კოდიანს და მოდის დასავლეთად... კოხტას ამ ჴევს მოერთვის სხვა ჴევი, მისვე მთის გამომდინარე. ამ ორ ჴევს შორის არს ციხე კოხტისა, დიდშენი და მაგარი“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 213). ციხე კოხტისა, აშკარაა, მტკვრის პირის გზას არ ჰგულისხმობს: ამ გზას ის საკმაოდ დაშორებულია. ამავე დროს „კოხტას თავი“, უეჭველია, მნიშვნელოვან გზაზედ იგულისხმება[3].

---

[3] ასპინძა სავსებით გასაგები გახდა, როცა კოხტას თავი ვნახე. გასაგები განდა თვით ასპინძის ციხეც.

ასპინძა—გზასაყარი: 1. აღმოსავლეთიდან თრიალეთ—ჯავახეთ (გოჯია; ალასტანი) კ ო ხ ტ ა ს თ ა ვ ი: ასპინძა უმოკლესი გზა. 2. ასპინძა—ოთა (ოთის წყლით) ყაფი—ყაია—ბაკურიანი; 3. აწყური—თისელი—რუგეთის გადასავალი—ასპინძა; 4. ახალციხე—ასპინძა; 5. ახალქალაქი—ასპინძა.

ციხე ასპინძისა შიშველ კლდეზე დიდი გალავანით (ჯაყის მსგავსი) შიგ ორი ბურჯი; ერთი უფრო ძველი, მეორე შუა საუკუნეთა.

ასპინძის ეს ციხე შეიძლება IX—X საუკუნისაც იყოს. კოხტას თავი XII—XIII საუკუნისა შეიძლება იყოს. ასეთ პირობებში ა ს პ ი ნ ძ ა (სასტუმრო) გასაგებია. ა ს პ ი ნ ძ ი ს  ც ი ხ ე  ჯ ა ყ ი ს  ც ი ხ ი ს  ტ ი პ ი ს ა ა. ეს ძველი ციხე-

XIII საუკუნის 45-ანი წლები. საქართველოში მონღოლთა მფლობელობა ის იყო დამყარდა... „ამა შფოთთა შეკრბეს ყველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი". ქართველი ფეოდალები მონღოლ დამპყრობელთა წინააღმდეგ შეითქვნენ. „ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა. წარმოვიდეს ბიჩუ და ანგურაგ და მივიდეს კოხტას თავსა. დახვდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, რამეთუ ლაშქარი გაყრილი იყო და ვერარა წინააღუდგეს, წარასხეს ქვეყანასა ანისისა და ადგილსა, რომელსა ეწოდების შირაკევანი" (ქ. ალმ. 634—635).

XIV საუკუნის ათიანი წლები. ყაენმა ოლჯაით „წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ... და ახრუჩი მამის ძმა ჩოფანისა თანა წარმოატანა, რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისა და აჩინეს ამათ შანშე მქარგძელი და ზაქარია ავაგის ასულისა ხვაშაქისა ნაშობი, მივიდეს ჯავახეთს, მიერ კოხტის თავს და აწვევდეს სარგისს და ყვარყვარეს გამოსლვად და არა ინებს" (ქ. ალმ. 784). კოხტის თავი, როგორც აქედან ვხედავთ, ჯავახეთიდან სამცხეს მიმავალ გზაზედ ძევს. ის ჯავახეთ-სამცხის საზღვარზეა და თითქო ჯავახეთს ეკუთვნის... (იხ. ვახუშტი, გეოგრაფია, 221). ამ გარემოებას მოწმობს ერთი XV საუკუნის ეპიზოდიც, რომელსაც ვახუშტი შემდეგნაირად გადმოგვცემს: 1415 წელს ალექსანდრე მეფემ დიდი ლაშქარი შემოიკრიბა „მივიდა და დადგა თავსა კოხტისასა. ამცნო ათაბაგსა, რათა არა ჰყოს განდგომილება; არამედ ათაბაგმან არა ინება და შემოიკრიბნა მიმდგომნი თვსნი, ეწყო მეფესა კოხტის თავს და შემდგომად ფიცხელისა ომისა იძლია ათაბაგი და მოსწყდენ სპანი მისნი. შეიპყრეს ათაბაგი იოანე და მოართვეს მეფესა" (ვახუშტი, ისტორია, ბაქ. გამ., 298).

კოხტას თავიდან უმოკლესი გზები მიდის თრიალეთ—ქართლისაკენ, შეიძლება, სწორედ ამ გზას მოწმობდეს „მატ. ქ-ას" ავტორის ერთი ცნობა. XI საუკუნის მიწურული. დავით კურაპალატმა ყველის ციხის სანახებში დაამარცხა გურგენ მეფე. ამ დროს გურგენის შვილი „მეფე აფხაზთა" „მოსულ იყო ბაგრატ თრიალეთს. დადგა კარუშეთს. გაგზავნა მოციქული, განიცადა ლაშქარი და იხილა, რამეთუ ძალითა არა ეგებოდა წინააღდგომა დავით კუ-

---

ები უფრო გალავანსა გვანან. სქელი კედლები, ფართე ტერიტორია. აქ ჯერ კიდევ არა ჩანს მიუვალ ციცაბო კლდეზე თითქო მთის წანაზარდიაო წოწოლა ციხის აგების ჩვეულება. ეს ძველი ციხე ხალხის თავსაცავი უფროა, ვიდრე ვინმე მებატონის საბატონო საბრძანებელი...

ასპინძა—გოკია—აზავრეთ—ბურნაშეთი (გოკია ბარალეთი) ჭალანთა — ტაბისყური — რეხა — გუნიაყალა — მანგლის — თბილისი.

რაპალატისა. მაშინ დაუტევნა სპანი თჳსნი ადგილსა ზედა და თჳთ მარტო მივიდა წინაშე მისსა“ (მატ. ქ-ა, 241). ტექსტით ისე ჩანს, რომ ეს კარუშეთი თრიალეთშია. ასევე დაასკვნის პროფ. ივ. ჯავახიშვილიც (ქართ. ერის ისტორია II, 294). მაგრამ კარუშეთი სხვა წყაროებით თრიალეთში დადასტურებული არაა. ამავე დროს კარუშეთი თრიალეთ—კოხტას თავის გზაზედ ქალაქ გოკიის დასავლეთით დადასტურებულია. რუსულ ხუთვერსიან რუკაზე ამ ადგილას აღნიშნულია «Раз. д. Курашет» (პროფ. ალ. ჯავახიშვილის რუკას კი ეს დამახასიათებელი ამოუხოცია...). ხიზაბავრელ კოლმეურნემ პეტრე პოსოშვილმა კი ვერანა კაროშეთი დაგვიმოწმა და ლექსითაც დაასაბუთა:

კაროშეთს თივა მოვთიბე
ოლდან(ს) დამიძირია.
გოგოვ შენი სიყვარულით
მე ვერ დამიძინია.

თუ ეს კაროშეთი სწორედ ისაა, სადაც ბაგრატ აფხაზთა მეფე დადგა, მაშინ სათანადო ადგილი უნდა შესწორდეს: „მას ჟამსა მოსრულ იყო ბაგრატ თრიალეთს. გარდამოვიდა და დადგა კარუშეთს“ (ჩვენ რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება, რომ ჯავახეთის კარუშეთი თრიალეთში კარუშეთის შესაძლებლობას არ გამორიცხავს)*. ახალქალაქიც კი კოხტას თავიდან ჯავახეთზე წასული გზით გაცილებით უფრო ახლოა, ვიდრე მტკვრის პირის გზით. თვით გზაც ჯავახეთის ბარით ბევრი უპირატესობების შემცველია მდინარეთა ვიწრო და ღრმა ხეობებით მიმავალ გზასთან შედარებით, და ეს არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით...

კოხტას თავიდან ჯავახეთში შემოსულ გზაზედ ქალაქი გოკია იდო. გოკიადან ღრტილას (ბარალეთს) გავლით გზა თრიალეთს მიდიოდა. გოკია ახალქალაქთანაც მარჯვედ იყო დაკავშირებული... მათ შორის იდო საუფლისწულო სადგომი ალასტანი...

ახალციხე ხერთვისის გზას სხვა განშტოებანიც, ჯავახეთში შემავალი, უეჭველია ჰქონდა. ერთ მათგანს, სოფელ საროზე რომ გადიოდა, კარგად მოწმობს ცნობილი ციხე ამავე სოფელში XIII საუკუნის წარწერით.

---

* წალკაში ადრინდელი ჯინისი ძველად ყოფილა კარუშეთი. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლება საქართველოში, ქუთაისის პედ.—ინსტ. შრომები, ტ. IV, გვ. 231. ასე რომ ბაგრატ III დადგა კარუშეთს შეიძლება მართლაც მანდ ყოფილიყოს და ამ სახელის ძებნა ხიზაბავრის რაიონში („კარუშეთს თივა მოვთიბე ოლდან(ს) დამიძირია“) შეიძლება საჭირო აღარ იყოს...

ხ ე რ თ ვ ი ს ი ს მდებარეობა განსაკუთრებულია. ორი დიდი ხეობის შესართავში, ბუნებრივია, თუ ის ძველი დროიდანვე მნიშვნელოვანი საგზაო პუნქტი შექმნილიყო. ციხე და ხიდი აქ საამისო კარგი ნიშნებია... (ხერთვისის ციხე XIII საუკუნეში აგებულად ითვლება. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს, რომ აქ ციხე ამ დრომდისაც იყო და XIII საუკუნეში გადააკეთეს).

თავისი მდებარეობით ჯავახეთი, ისე როგორც თრიალეთი, ნამდვილ გზასაყარს წარმოადგენდა. გზები აქ შემოდიოდა სომხეთიდან, ბიზანტიიდან, თბილისიდან, შიდა ქართლიდან, ლიხთიმერეთ—სამცხიდან... XI—XII საუკუნეში ეს ქვეყანა ფრიად დაწინაურებულია. ამაში საკმაოდ დამაჯერებელი მოწმობანია ქალაქთა, სოფელთა, ციხეთა და ეკლესია-მონასტერთა ნანგრევების განსაკუთრებული სიმრავლე...

XI საუკუნიდან ჯავახეთის პოლიტიკური ცენტრი ახალქალაქია. XII საუკუნის დასასრულისათვის ჯავახეთი საუფლისწულო ქვეყანაა.

გზები ჯავახეთიდან შიდა ქართლში თრიალეთსა და თორზე მიდიოდა. ამათ შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. აქ მცირე რასმე დაუმატებთ მხოლოდ. თრიალეთიდან ღრტილა—ბარალეთს ჩოსული გზა ჯავახეთ—თორის გზას გადაჰრიდა და გოკია—კოხტას თავის გავლით ასპინძის ხიდს მიადგებოდა, სადაც ის ჯავახეთიდან მტკვრის პირით მიმავალ გზას შეუერთდებოდა.

ღრტილა—ბარალეთის სამხრეთით მერენიის წყლის პირას აღნიშნული ვერანა ხ ი დ ი ს ჯ ვ ა რ ი შეიძლება აქედან ახალქალაქსაკენ მიმავალი გზის მიმართულებას გვიჩვენებდეს. ღრტილადან თორის გზით ქართლს ჩასვლის მოწმობა ჩვენ ერთხელ უკვე მოვიყვანეთ. XI საუკუნის 50-ანი წლები იყო. ბაგრატ მეფე ღრტილას იდგა. მისი მოწინააღმდეგე ლიპარიტ ქართლის ერისთავი „მოადგა ფოკათა“. მაწყვერელმა მეფეს უღალატა და ლიპარიტს მიუდგა მესხთა ლაშქრით. მეფემ საქმე წაგებულად ჩათვალა და „ზამთრის პუქთა საშინელთა გადაიარა შ ა რ ვ ა შ ე თ ი და ჩ ა ვ ი დ ა ქ ა რ თ ლ ს“ (მატ. ქ-ა, 262). ჩვენ მიერ ხაზგასმული შ ა რ ვ ა შ ე თ ი ს ნაცვლად წყაროებში „შავშეთი“ სწერია, რაც, უეჭველია, გადამწერთა შეცდომაა: ჯერ ერთი, გამოთქმა „გარდაიარა შავშეთი“ შეუძლებელია და მეორეც, შავშეთის გადასვლით მეფე ქართლს ვერ ჩავიდოდა. შარვაშეთი კი მთებია თორისა და ჯავახეთის სამზღვარზე და ამ მთების გადალახვით მეფე ბაგრატ მართლაც რომ ქართლში ჩავიდოდა.

პროფ. მანანდიანი ძველ სომხურ მეგზურებზე დაკვირვებით ფიქრობს რომ ჯავახეთიდან თორზე გარდამავალი ეს გზა ერთი

მთავარი მარშრუტთაგანი იყო, სომხეთიდან თბილისში რომ შემოდიოდა. ავტორის აზრით, გზა გუმბრს მოვიდოდა კულპიდან და შემდეგ აბოცის გამოვლით ჯავახეთში შემოდიოდა, სადაც ერთი მთავარი საგზაო პუნქტი კ ო თ ე ლ ი ა იყო (იხ. проф. Я. А. Манандян. О торговле и городах Армений в связи с мировой торговлею древних времен, стр. 173). პროფ. მანანდიანის ეს მოსაზრება შეიძლება სწორი იყო თუმცა ნინოს ცხოვრების ავტორებს სომხეთიდან ჯავახეთში და აქედან ქართლს მიმავალი მთავარი გზა კოთელია-თორზე არ წარმოუდგენიათ. მათი მტკიცებით დვინიდან ლტოლვილი და მცხეთას მომავალი ნინო „მოიწია ურბნითად (V. ორბანთად) საზღუარსავე სომხეთისათა". ზამთარი მან აქ გაატარა და მხოლოდ ივნისში „წარმოემართა და მოიწვია მთათა ჯავახეთისა, სადა იგი მიემთხვია ტბასა დიდსა, გარდმომდინარესა, რომელსა ეწოდების ფარავანა". სამწუხაროდ, ეს ურბნითი (V. ორბანთი). „საზღუართავე სომხითისათა" დადგენილი არაა და ჩვენ დვინ-ჯავახეთის ამ გზის მიმართულება არ ვიცით. პუნქტი—ფარავანის ტბა თითქოს იმას გვიჩვენებს, რომ გ ზ ა ს ო მ ხ ე თ ი დ ა ნ ჯ ა ვ ა ხ ე თ—თ რ ი ა ლ ე თ შ ი ა ბ ო ც ზ ე შ ე მ ო დ ი ო დ ა. (ამ გზის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი). ფარავნის ტბის გარსადინელს ნინოს წინაშე მცხეთას მიმავალი ორი გზა იყო: 1. მდინარის პირით და 2. მთით. „ნინოს შეუძნდა სიგრძე გზისა მის (ე. ი. მდინარის პირით) და სიბრტყე მთათა მათ" (ე. ი. მთის გზა). ის მოერიდა მთის გზას და „წარემართა და მიჰყუა წიაღ კერძო მდინარისა, რომელი იგი წარმდინარეობს დასავლით, მერმე კუალად იწყების აღმოსავლით, მიუდგა გზათა ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან და შიშნი დიდნი მხეცთაგან, ვიდრე მიწევნადმდე ადგილსა მას, რომელსა იწყებს წყალი იგი აღმოსავლით დინებასა კერძ და მიერითგან იქმნა ლხინება მისი, რამეთუ პოვნა მუნ მოგზაურნი, რომელთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი" — (ლ. ცხორება მეფეთა... 69).

ცხორების ავტორთა წარმოდგენით ჯავახეთ—სამცხის ეს გზა ნაკლებად ცხოველი ყოფილა იმ პუნქტამდის მაინც, საიდანაც მტკვარი იწყებს „აღმოსავლით დინებასა". მეოთხე საუკუნისათვის ასეთი წარმოდგენა ჯავახეთის მტკვრის პირის გზაზე სწორი ჩანს: ამ დროს ჯერ კიდევ ახალქალაქი არ არსებულა, მაინცა და მაინც ჯავახეთის პოლიტიკური ცენტრი ამ დროს აქ არ ყოფილა და ამ ქვეყნის მთავარი გზა ჯავახეთის მტკვრის პირს არ მიჰყვებოდა. ასე რომ ფარავნიდან ხერთვისამდის ეს გზა IV საუკუნეში ჯერ კიდევ ადგილობრივი ხასიათისა და მცირედ განთელილი უნდა ყოფილიყო.

ჯავახეთიდან სომხეთში ორი გზა მიდიოდა: აბოცზე და პალაკაციოზე. ორივე ეს მიმართულება წერილობითი წყაროებით არის დამოწმებული. ლეონტი მროველისათვის ცნობილია „გზა აბოცისაკენ". II საუკუნეში მისი გადმოცემით სომხებმა წუნდა (ჯავახეთი) და დემოთის ციხე (სამცხეში) ხელთ იგდეს და „ოძრქეს ბრძოდეს". „ხოლო თვით მეფენი ქართლისანი მცხეთით გაღმართ ევნებოდიან სომხეთის გზასა აბოცისსა და მარადის ეგრე ეკირთებოდეს ქართველნი და ოვსნი" (ლ. ცხორება მეფეთა, 35).

ცხადია ლეონტის წარმოდგენით, სომხები წუნდაზე და აქედან დემოთზე „გზა აბოცისა"-ს მოჰყავდა. წუნდა ამ დროს ჯავახეთის პოლიტიკური ცენტრი იყო. მისი ადგილმდებარეობა კარგად არის გარკვეული. საფიქრებელია, აბოციდან წუნდაზე მომავალი გზა შემდეგ დროინდელ ახალქალაქის ადგილს არ გაუვლიდა, არამედ უფრო მარჯვეთ ხოჯაბეგ — ღულალის — ვაჩიან„კუმურდოზე გავლით ჩადიოდა არტაანის მტკვრის პირს ჭალაში, სადაც იყო წუნდა. ვაჩიან კუმურდოს შორის ჩვენ მიერ ნაპოვნი „სუინაკტი", ვინმე ბერი ზრესკელის მიერ აღმართული XII საუკუნის მიწურულს, თუ ამ გზის ნიშნად არა, ამ გზაზედ მდგომ ნიშნად მაინც შეიძლება მივიღოთ.

ამრიგად, ხერთვისიდან არტაანის მტკვრის პირით წამოსული გზა წუნდაზე გამოვლით კუმურდოს ამოდიოდა ჯავახეთის პლატოზე.

აქედან ორი მიმართულებით მიდიოდა ის: 1. აბოცზე ზემორე ნაჩვენებ მარშრუტით და 2. სულდაზე გავლით პალაკაციოს ტბის აღმოსავლეთ ნაპირს ჩაუვლიდა და თეთრციხე—ჭალა-ვანაზიის გავლით ზარნიშატს მივიდოდა, საიდანაც ერთის შტოით ანისისაკენ, მეორეთი ყარსისკენ მიიმართებოდა.

კუმურდოდანვე, უნდა ვიფიქროთ, (ოკამ — წყაროსთავით?) გზა მიიმართებოდა არტაანისაკენ.

დასასრულ, დასაშვებია, რომ თრიალეთიდან ფარავანზე გადმოსული გზა აქავ, წუნდა—კუმურდოს სანახებში შეუერთდებოდა ზემოდასახელებულ გზა-შარებს. სომხეთიდან აბოცს შემოსული გზა, საფიქრებელია, ხოჯაბეგში განშტოვდებოდა. ერთი წუნდას, ხოლო მეორე ჩრდილოეთის მიმართულებით მიდიოდა ღრტილა-ბარალეთისაკენ (კოთელია?), საიდანაც თოჩის ვადალახვით შიდა ქართლში ჩადიოდა. ამ მიმართულებას შეიძლება ყაურმას ხიდი (ყაურმა ქეფრ) ჯავახეთის მტკვარზე და ხიდის ჯვარი მერენიის წყალზე მოწმობდეს... მაგრამ ყველაფერი ეს ასე იყო მანამდის, სანამ ახალქალაქი არ შეიქმნა ამ ქვეყნის ჯერ ეკონომიური და შემდეგ პოლიტიკური ცენტრი. ამიერიდან აღწერილ გზათა სურათი

ამ მხრით შეიცვალა, რომ აბოცით თუ პალაკაციოთი, არტაანით თუ სამცხით, თორით თუ თრიალეთით შემომავალი გზები ყველანი გაივლიან ახალქალაქს. წუნდა—კუმურდო კი ამიერიდან ამ გზების კიდეგან რჩებიან და ახალქალაქ—ხერთვისის გზა ადგილობრივი ხასიათის მარშრუტიდან სამაგისტრალო მნიშვნელობის შარად იქცევა...

გზა ჯავახეთიდან სამცხე—ერუშეთში თმოგვზე მიდიოდა. წუნდის სამხრეთ-დასავლეთით ეს გზა მტკვრის ხიდს გადალახავდა და თმოგვის ციხის (და შემდეგ ქალაქის) სანახებში შედიოდა. თმოგვიდან გზა ნიალის ველში გადაივლიდა. აქედან ერთის მხრით ფოცხოვის ხეობაში ან ყველის ციხის სანახებში მიდიოდა გზა, ხოლო მეორეს მხრით არტაანისაკენ (ნაქალაქევზე გავლით).

ძველს ქართულს წერილობით წყაროებში ჯავახეთი ხშირად იხსენიება, მაგრამ უმრავლეს შემთხვევებში, სამწუხაროდ, ამ ქვეყნის საგზაო პუნქტები მოხსენებული არ არის. ყველა ამ მოწმობათა მოყვანა უსარგებლო იქნებოდა. ამიტომ ჩვენ რამოდენიმე შერჩეულ მაგალითით დავკმაყოფილდებით.

გზა ჯავახეთ—ანისი.

XI საუკუნის 65-ანი წლები. თურქთა სულტანი ალფარსლან საქართველოს შემოესია. ის თრიალეთს დადგა. მარბიელი გაუშვა. შემდეგ ჯავახეთს წავიდა. ახალქალაქი აიღო. აქედან „მოიქცა სულტანი ანისად". აიღო ის. „მისცა მანუჩარს, ძესა აბულსავარისსა და წარვიდა ქუეყანად თჳსად სპარსეთად" (მატ. ქ-ა 269).

XIII საუკუნის 45-ანი წლები. ქართველ დიდებულებმა კოხტას თავს მონღოლთ საწინააღმდეგო შეთქმულება მოაწყვეს. საქმე შიგნითგან გაცემულ იქნა. მონღოლებმა შეთქმულთ ადგილზევე მოუსწრეს, მათი დიდი ნაწილი დააპატიმრეს და „წარასხეს ქვეყანასა ანისისასა ადგილსა, რომელსა ეწოდების შირაკევანი". ამასობაში ცოტნე დადიანი შეთქმულთა პაემნის თანახმად ლიხთიქითის ლაშქრით რკინის ჯვარს ამოვიდა. აქ მას აცნობეს შეთქმულების ჩაშლის შესახებ. ცოტნემ ლაშქარი უკან დააბრუნა, თითონ კი „განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა" (ჟ. ალმ., 635—636).

გზა ჯავახეთი—კარი.

ჯავახეთიდან კარისაკენ გზა, რა თქმა უნდა, უწინაც საგულვებელია, ვიდრე ეს ქალაქი საქართველოს სამეფოში შემოვიდოდა. ეს ქალაქი თავისი ოლქით, ჯერ კიდევ XI საუკუნის 80-ან წლებში, თურქთა შემოსევის წინაშე უძლურმა ბიზანტიის მთავრობამ დაუთმო საქართველოს მეფეს გიორგი II-ს, მაგრამ ის ქართველთა მეფე-

მაც ჩქარა დაკარგა და მუსლიმანთა ხელში იყო ვიდრე 1206 წლამდის. ეს დიდმნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი დვინ—არზრუმისა და არტანუჯ—დვინის გზებზე ქართველებმა მტკიცედ შემოიერთეს 1206 წელს. თამარმაო „ოც და მესამედ, გინა თუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისასა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა. რამეთუ მრავლით ჟამითგან ჰბრძოდეს სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი, ვერა ღონე ქმნეს აღებისა".. მეფემ „განიზრახა და წარავლინა დავით ზემოთ ლაშქრითა. წაიტანა ზაქარია და ივანე და უბრძანა, რათა დადგენ მუნ და ძლიერად ეომონ და ხანგრძლად იქმნა ესე და თვთ თამარ დადგა ჯ ა ვ ა ხ ე თ ს და მუნ მოელოდა ამბავსა მათსა" (თ. ისტ. ქცა, 509, შენ. 10).

რუქნედდინთან ომი გადაწყდა. „მოუწოდეს სპათა... და შეკრბეს ჯავახეთს. და მოვიდა (თამარ) ვარძიას (ილოცა და) გაგზავნა ვარძიით ლაშქარნი... და წარუძღვა ბასიანის კერძოთა და მ ი ი წ ი ვ ნ ე ს მ ა ხ ლ ო ბ ლ ა დ კ ა რ ი ს ა და დადგეს დღისა ერთისა სავალსა"; თამარი უკუმოიქცა, ხოლო ლაშქარი წავიდა და „ვითარ მ ი ი წ ი ვ ნ ე ს ქ ვ ე ყ ა ნ ა დ ბ ა ს ი ა ნ ს ა, მუნ იყო სულტანი დაბანაკებული ადგილსა ბ ო ლ ო ს ტ ი კ ე დ წოდებულსა" (იქვე, 500—502). ჯავახეთ-ყარსის გზის დამოწმების გვერდით უკანასკნელ ამონაწერში ჩვენთვის საყურადღებო ისიცაა, რომ ჯავახეთიდან ქართველთ ლაშქარი ბ ა ს ი ა ნ—ყ ა რ ს ი ს გ ზ ი თ და არა არტაან — ოლთისზე გავლით მიდის.

ყარსის ქვეყანა ჯავახეთის ქვეყანას უშუალოდ ეკვროდა. მათ შორის მდებარე პალაკაციო XII საუკუნეში ჯავახეთში შემოდიოდა ადმინისტრაციულად, ის ჯავახეთის ერისთავის „სანაპიროს" წარმოადგენდა. XII ს. 85-ანი წლები იყო. „მოვიდეს ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა თურქთანი ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლის ქევად წოდებულსასა (v. და მოარბიეს ქვეყანა პალაკაციოსი ძაღლის ქევად წოდებული) და მომრბეველთა ზედა გ ა მ რ ე კ ე ლ ი კ ა ხ ა ს ძ ე მიუჴდა და სუისაგან თამარ უძლეველისა მცირეთაგან დიდნი იძლივნეს" (ისტ. და აზმ. 418).

გამრეკელ კახასძე (თორელი) ჯავახეთის (—ახალქალაქის) ერისთავი იყო (ასევე იყვნენ შემდეგ მისი ჩამომავალნიც: შალვა— XII—XIII სს., კახა—XIII ს., გამრეკელ-ჯავახიშვილი XIII— XIV სს., შალვა — XIV ს.).

ყარსიდან პალაკაციოს მომავალ გზას მოწმობს განთქმული ჩილდირის ომი 1578 წლისა თურქ-ოსმალთა და ერანელთ შორის. „მარიამობისთვის თ, შაბათსა დილას ძურძნასა (v. ძურძანას) და წინწალს შუა აზრუმისა და ვანის ფაშა მოვიდეს და სულთანი და ყარახან ბაზუქლუ, კიდევ მუღალუს ბატონი იქ შეიყარნეს... შეებ-

ნეს ურუმთა. პირველად გაიმარჯვეს ყიზილბაშთა და მერმე ურუმნი მოერივნენ და გაიმარჯვეს" (სამი ისტ. ქრონიკა, მესხური დავითნის მატიანე, 98—99).

აქ დასახელებული ძ უ რ ძ ნ ა (ძურძანა) და წ ი ნ წ ა ლ ი ესაა აწინდელ რუკებზე თურქული გამოთქმით აღნიშნული ზურზუნა და ზინზალი პალაკაციოს (—ჩილდირის) ტბის ჩრდილოეთით, მტკვრის შემდინარე ყარაჩაის (შავი წყალი?) ხეობაში. ძურძნა—წინწალთეთრი ციხე (ალჯაყალა) და ჰალა თითქო მოწმობენ, რომ სამხრეთიდან (ანისიდან, ყარსიდან) წამოსული გზა ჰალას განშტოვდებოდა. ე რ თ ი თ ე თ რ ი ც ი ხ ე—წ ი ნ წ ა ლ—ძ უ რ ძ ნ ა ზ ე გ ა ვ ლ ი თ, არტაან ახალქალაქის გზას შეუერთდებოდა (ჯაყის ციხეს), მეორე სულდა-ვაჩიანის გავლით ახალქალაქში შედიოდა.

ჯ ა ვ ა ხ ე თ — ა რ ტ ა ა ნ ი ს გ ზ ა.

უძველესი თუ ნაგვიანევი ცნობები ამ გზის შესახებ მრავლად მოიპოვება. „ქართლის მოქცევის" ავტორთა წარმოდგენით ამ გზით მიდიან მირიან მეფესთან კონსტანტინე კეისრის ელჩები: იოანე ეპისკოპოსი და მისთანა მოციქული. „და ვითარ მ ო ი წ ი ვ ნ ე ს ა დ გ ი ლ ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ჰ ქ ვ ა ნ ე რ უ შ ე თ ი და დაუტევნა [მუნ ხურონი] საქმედ ეკლესიისა ...და წამოვიდა და მოვიდა მანგლის დაიწყო ეკლესიასა" (ლ. ცხორება მეფეთა, 99). თუ აქ მოხსენებული „ერუშეთი" შემდეგ დროის ერუშეთია (და არა თვით არტაანი...) ან კიდევ აწინდელი ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი, როგორც ამას ვახუშტი ჰგონებს (იხ. გეოგრაფია, 221—222), ორივე შემთხვევაში ჩვენ არტაან-ჯავახეთის გზის უძველესი მიმართულება გარკვეული გვექნება: ა რ ტ ა ა ნ ი—ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი (ე რ უ შ ე თ ი) — ე რ უ შ ე თ ი — ჩ ი ა ლ ი ს ვ ე ლ ი — თ მ ო გ ვ ი — ხ ი დ ი მ დ ი ნ ა რ ე მ ტ კ ვ ა რ ზ ე — წ უ ნ დ ა.

ამავე მ ა ნ გ ლ ი ს — ე რ უ შ ე თ ი ს გზით წავიდა საბერძნეთს ერაკლე კეისარი VII საუკუნის 30-იან წლებში და თან „წარიტანა მანგლისით და ერუშეთით ფერქთა ფიცარნი და სამსჭუალნი..., რომელნი მოცემულ იყუნეს კოსტანტინესაგან მირიან მეფისად" (ჯ. 196). ეს გზა შემდეგ დროებშიაც არსებობდა და, უნდა ვიფიქროთ, მნიშვნელობაც საკმაოდ შენარჩუნებული ჰქონდა. ამას თმოგვის ადგილმდებარეობა და მისი მნიშვნელობა მოწმობს თითქო. თმოგვი, როგორც საგზაო პუნქტი, ზემოთ ჩვენ რამოდენიმეჯერ დავიმოწმეთ ყველის ციხესთან დაკავშირებით. მოვიყვანოთ კვლავ.

1190 წელი. მეფე თამარის წინააღმდეგ განდგომილთა ერთი ნაწილი სამცხეს შეიყარა. აქ მათ „გააგეს პირველად აღება ჯავახეთისა თმოგვისა და ახალქალაქისა, კუალად თრიალეთისა და სომხითისა" (ისტ. და აზმ. 437). თავისი მომხრენი თამარმა აჯანყებულთ

წინ მიაგება „ქუეყანასა ჯავახეთისასა... და მივიდეს მტერსა ზედა, ვინათგან იგინიცა მუნვე მოსრულ იყუნეს... და იქით ესენი მისულნი მტკუარსა ზედა და იგინი მუნით ხ ი დ ს ა ზ ე დ ა შეიბნეს". აჯანყებულნი დამარცხდნენ „და გამვლელთა ჴიდისათა მიმართეს მთასა ტ ო რ ნ ა ძ ი ა დ სახელდებულსა". აქაც ვერ დამაგრდნენ და „გარიდეს და მიიწივნეს ვ ე ლ ს ა ნ ი ა ლ ი ს ა ს ა და წყალსა ხინგრისასა თმოგუს და ერუშეთს შუა" (ისტ. და აზმ. 439). ხიდი თმოგვთან ვახუშტის დამოწმებული არ აქვს. ჩანს, თმოგვის ხიდი მის დროს უკვე ნანგრევი ყოფილა, როგორიც არის ის დღეს. ნ ი ა ლ ი „თმოგვსა და ერუშეთს შუა", როგორც საგზაო პუნქტი, სხვაგანაც მოიხსენება.

1021 წელი. „გამოვიდა ბასილი მეფე ბერძენთა ამა გიორგი მეფესა ზედა... და იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა, რომელსა ჰქვან შირიმნი (v. შირიმთა)". ქართველები დამარცხდნენ „და წარმოვიდეს. წარმოუდგეს უკანა ბერძენნი... მოუწია ლაშქარმან არტაანს. ტყუე ყუეს და მოაოჴრეს არტაანი და რაჟამს წავიდა გიორგი მეფე თრიალეთს, მ ო უ დ გ ა უ კ ა ნ ა (ბასილიცა) და ა ს წ ყ ვ დ ე ს ქ უ ე ყ ა ნ ა ჯ ა ვ ა ხ ე თ ი ს ა და გ ა რ დ ა ვ ი დ ა თ რ ი ა ლ ე თ ს" (მატ. ქ-ჲ, 248).

სუმბატ დავითის ძეს ამავე ამბების გადმოცემისას საინტერესო დეტალი მოჰყავს:

